სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 ოქტომბერი 1999 №207 (980) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპრიზოებიც დაადგინეს

გუშინ ფიფამ გამოაცხადა, რომ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული, პრიზად ექვს მილიონ დოლარს მიიღებს, ფინალში დამარცხებული ხუთს, მესამეადგილოსანი — ოთხს. გარდა ამისა, რვავე მონაწილე სულ მცირე 2,5 მილიონს ირგუნებს.

შეგახსენებთ, რომ 5-დან 14 იანვრამდე ბრაზილიაში კლუბთა პირველი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება და მასში რვა კლუბი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ ოთხგუნდა ჯგუფად დაყვეს. A ჯგუფში ესპანური მადრიდის „რეალი", საუდის არაბეთის „ალ ნასრი", ბრაზილიური „კორინთიანსი" და აფრიკის წარმომადგენელი, ხოლო B-ში: ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი", მექსიკური „ნაკაქსა", ბრაზილიური „ვასკუ და გამა" და ავსტრალიური „საუთ მელბურნი" იასპარეზებენ.

ფიფას დიდმოხელეებმა ასევე თქვეს, რომ 23 კაციანი განაცხადები გუნდებმა ტურნირის დაწყებამდე არა უგვიანეს ათი დღით ადრე უნდა გამოაცხადონ. მონაწილეებს უფლება აქვთ შეჯიბრში 15 ნოემბრამდე აყვანილი ყველა ფეხბურთელი ათამაშონ.

3 დიდმის ბაზა სასამართლოში

„დინამოს" **TBC** ბანკის 202 ათასი დოლარი მართებს

4 მთავარია, ძამუკაშვილს სჯერა

სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გუნდები საკუთარი ტელევიზორებით დადიან

5 ევროპელების მაჯალითი გადამდებია

ლიბერტადორესის თასზეც 32 გუნდი ითამაშებს

2 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ალექსანდრე მეტრეველი

ბატიგოლი მეთოფეთა მიქელ გაბრიელი

ჩემპიონთა ლიგის წუხანდელ მატჩებში კიდევ ხუთი ისეთი გუნდის ვინაობა გაირკვა, რომლებმაც პირველი ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ტურით ადრე შემდგომ წრეში გასვლა გაინაღდეს. ესენია: ლაციო, ფიორენტინა, რუსენბორგი, მანჩესტერი და მარსელი

იხილეთ მეორე გვერდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

V ტური

A ჯგუფი

ლაციო	1
ლევერკუზენი	1
მარიბორი	1
დინამო	2

B ჯგუფი

ბარსელონა	5
აიკ	0
არსენალი	0
ფიორენტინა	1

C ჯგუფი

რუსენბორგი	2
ბოვიშტა	0
დორტმუნდი	1
ფეიენოორდი	1

D ჯგუფი

კროაცია	1
მანჩესტერი	2
შტურმი	3
მარსელი	2

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ფიორენტინა 0:1. მატჩის გმირი ფიორენტინელი გაბრიელ ბატისტუტა (მარცხნივ) მეთოფე პატრიკ ვიეირას წინააღმდეგ

ბატიგოლი მეთოფეთა მიქელ გაბრიელი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. V ტური

REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — ფეიენოორდი 1:1. დორტმუნდელი მიროსლავ სტევიჩი (№4) როტერდამელი იან დე ვისერის წინააღმდეგ

REUTERS რომიდან

ლაციო — ლევერკუზენი 0:0. ბორის ჟივკოვიჩი (მარჯვნივ) და მატიას ალმეიდა ბურთისთვის იბრძვიან

A ჯგუფი

ლაციო 1:1 ლევერკუზენი

1:0 ნედვედი (1), 1:1 კირსტენი (43)

ლაციო: მარკეჯანი, ფავალი, მიხაილოვიჩი, პანკარო, ფერნანდო კოუტუ, ნედვედი, ვერონი (სიმეონე 89), სერჯიო კონსეისაო (დ. სტანკოვიჩი 75), ალმეიდა, ბოკშიჩი (ს. ინძაგი 59), სალასი

ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები (პეიდუკი 67), ი. ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, გრეშკო (ჰაპე 25), რამელო, ემერსონი, ბაინლიხი, შნაიდერი, კირსტენი (მამიჩი 87), ნოიოილი

მსაჯი: ჰ. დალასი (შოტლანდია)

მარიბორი 1:2 დინამო

0:1 რებროვი (37), 1:1 ბალაიჩი (50), 1:2 რებროვი (84პ)

მარიბორი: გრესაკი, ვუგდალიჩი, ჩიპი, სარკეზი (ფილეკოვიჩი 87), ჟიდანი, კარიჩი, სესლარი, დიურანოვიჩი, ბალაიჩი (ბოზგო 61), ფილიპოვიჩი (პრეგელი 69), სიმუნჯა

დინამო: შოვკოვსკი, გუსინი, მამედოვი, დმიტრულინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, ძალაძე, კოსოვსკი, იაშკინი (ბელკევიჩი 6), რებროვი, შაცკიხი

მსაჯი: ხუან ანტონიო მარინი (ესპანეთი)

ლაციო	5	3	2	0	12:3	11
დინამო	5	2	1	2	8:7	7
ლევერკუზენი	5	1	3	1	7:7	6
მარიბორი	5	1	0	4	2:12	3

2 ნოემბერი. VI ტური. ლევერკუზენი — მარიბორი, დინამო — ლაციო

B ჯგუფი

არსენალი 0:1 ფიორენტინა

0:1 ბატისტუტა (75)

არსენალი: სიმონი, დიქსონი (შუკერი 74), კიოუნი, ადამსი, უინტერბერნი, პარლოუ (ლუნგბერგი 57), ვიეირა, პეტი (ვივასი 61), ოვერმარსი, ბერხკამპი, კანუ

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პიერინი, ფერიკანო, ჰაინრიხი, დი ლივიო, კოისი (ადანი 46), რუი კოშტა, როსიტო, ბატისტუტა, კიზა

მსაჯი: ლ. მიჩელი (სლოვაკეთი)

ბარსელონა 5:0 აიკ

1:0, 2:0 კლუივერტი (14, 32), 3:0 ზენდენი (42), 4:0 გაბრი (53), 5:0 დეუ (55)

ბარსელონა: არნაუ, პუიოლი (ნანო 46), დეუ, აბელარდო (რაიციგერი 80), რ. დე ბური, ლიტმანენი (მარიო 60), ხავი ერნანდესი, გაბრი, ზენდენი, კლუივერტი, სიმაო

აიკ: ასპერი, კიოლო, ლიუნგი, ბრუნდინი, კამარკი, კორნელიუსონი, ნორდინი, გუსტაფსონი, ტიერნსტრიომი, ნოვაკოვიჩი, პოჩი

მსაჯი: ლ. ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

ბარსელონა	5	4	1	0	16:6	13
ფიორენტინა	5	2	2	1	6:4	8
არსენალი	5	1	2	2	6:7	5
აიკ	5	0	1	4	2:13	1

2 ნოემბერი. VI ტური. აიკ — არსენალი, ფიორენტინა — ბარსელონა

C ჯგუფი

დორტმუნდი 1:1 ფეიენოორდი

1:0 ადო (45), 1:1 ვან ფოსენი (73)

დორტმუნდი: ლემანი, ადო, როიტერი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, ნერლინგერი, დედე, ჯ. რეინა, ბობიჩი (ბარბარესი 74), მიოლერი

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი (კორნევი 78), კონტერმანი, პაუვე (ვან ფოსენი 58), დე ვისერი, ბოსველტი, დალ ტომასონი, დე ჰაანი, რზასა, სომაღია (კაირო 58), კალუ

მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)

რუსენბორგი 2:0 ბოავიშტა

1:0 ბერგი (62), 2:0 დალუში (66)

რუსენბორგი: იამტფალი, რ. სტრანდი, ბრანსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, ვინსნესი, სკამელსრუდი, ო. ბერგი (ინგე იოსენი 89), სორენსენი, კარეუ, მინი იაკობსენი (დალუში 58)

ბოავიშტა: რიკარდუ, ჟორჟე სილვა, ლიტუში, პაულო სოუზა, პედრო ემანუელი, რუი ბენტუ, ლუიშ მანუელი (აჰინფული 71), ჟორჟე კოუტუ, ტიმოფტე, ნილტონი, ველიტონი (ჟილმარი 84)

მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

რუსენბორგი	5	3	2	0	12:4	11
დორტმუნდი	5	1	3	1	7:8	6
ფეიენოორდი	5	0	5	0	6:6	5
ბოავიშტა	5	0	2	3	3:10	2

2 ნოემბერი. VI ტური. ბოავიშტა — დორტმუნდი, ფეიენოორდი — რუსენბორგი

D ჯგუფი

კროაცია 1:2 მანჩესტერი

0:1 ბექემი (32), 0:2 კინი (49), 1:2 პროსინეჩი (90)

კროაცია: ბუტინა, ტოკიჩი, სედლოსკი, იურიჩი (პროსინეჩი 35), მუიჩინი, რუკავინა, მიკიჩი (ი. სიმიჩი 54), სარიჩი, ცვიტანოვიჩი (მუმლეკი 69), ტომაში, შოკოტა

მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი, სტამი, ბერგი, ბექემი, კოული (კრუიფი 79), გიგზი, ფ. ნევილი, რ. კინი, სქოულზი (გრინინგი 67), იორკი (სოლსკიაერი 59)

მსაჯი: დ. იოლი (ჰოლანდია)

შტურმი 3:2 მარსელი

1:0 მაელიხი (17), 1:1 დიუგარი (51), 2:1 კოციანი (62), 2:2 დიუგარი (78), 3:2 კოციანი (85)

შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, მაელიხი, შუპი, ვასტიჩი, პრილასნიგი, ჟ. მარტენსი, ფელდჰოფერი (შტრაფნერი 39), შოპი (რაინმაიერი 81), მინავად ჩალი (ბარდელი 76), კოციანი

მარსელი: პორატო, ბლონდო, პერესი, ისა (დე ლა პენია 46, დიუგარი 49), ბერიზო, პირესი, მორისი (ლ. რეინა 70), რავანელი, დალმა, გალასი, ლუქსენი

გაძევება: ბლონდო (68)

მსაჯი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)

მანჩესტერი	5	3	1	1	7:3	10
მარსელი	5	3	0	2	8:6	9
შტურმი	5	2	0	3	4:10	6
კროაცია	5	1	1	3	5:5	4

2 ნოემბერი. VI ტური. მანჩესტერი — შტურმი, მარსელი — კროაცია

A ჯგუფში რომის „ლაციომ“ შინ, ოლიმპიურ სტადიონზე ფრედ 1:1 ითამაშა ლევერკუზენის „ბაიერთან“ და მეტოქეთათვის მიუღწეველი გახდა. რომაელთა ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში. ლევერკუზენელთა ვეტერანმა ფორვარდმა ულფ კირსტენმა კი პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გაათანაბრა.

ჯგუფის მეორე მატჩში კიევის „დინამოს“ ბედი წყდებოდა. მოგება უკრაინელებს შემდგომ ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს უნარჩუნებდა და ლობანოვსკის გუნდმაც თავი არ შეირცხვინა. თუმცა, თავად ლობანოვსკი ავადმყოფობს და მატჩს არ ესწრებოდა. კიეველთა თამაშს ანატოლი პუზაჩი, ანატოლი დემიანენკო და ალექსეი მიხაილიჩენკო უძღვებოდნენ. შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთი რჩებოდა, ანგარიში 1:1 გახლდათ, და სწორედ ამ დროს სლოვენიელებმა საკუთარ საჯარიმოში ჩვენი კახა კალაძე წაიქციეს.

პენალტი ზუსტად გამოიყენა სერგეი რებროვმა 2:1. ასე რომ, ქართველმა გადამწყვეტ გოლში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მანამდე, პირველ ტაიმში, იმავე რებროვმა ეფექტური დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე ნახევრის დასაწყისში კი სტიპე ბალაიჩმა გაათანაბრა.

პირველ ადგილზე „ლაციოა“, მეორე გამსვლელი საგზურის ბედი კი ბოლო ტურში გაირკვევა. კიეველები შინ რომაელებს მასპინძლობენ და კვლავ აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, რადგან ამავე დღეს „ლევერკუზენი“ „მარიბორს“ იღებს და ალბათ მოუგებს კიდეც.

B ჯგუფში ყველაფერი წუხელ გაირკვა. „ბარსელონამ“, რომელსაც 16 გუნდში მოხვედრის საგზური უკვე მოპოვებული ჰქონდა, ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით შავი დღე აყარა შვედურ აიკ-ს — 5:0. კატალონიელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ლიდერები დაასვენა. პატრიკ კლუივერტმა კი ორი თავად გაიტანა და ერთიც ზენდენს გაატანინა.

ლონდონში უიღბლო „არსენალმა“ „ფიორენტინასთან“ 0:1 წააგო. მეთოფეებმა უამრავი მომენტი ვერ გამოიყენეს. აი, ფლორე-ნციელთა არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ კი ულამაზესი გოლი გაიტანა და თავისიანები შემდგომ ეტაპზე გაიყვანა, ლონდონელთა სალიგო იმედი კი საბოლოოდ დაასამარა. „არსენალს“ უეფას თასზე მოუწევს გადაბარგება.

C ჯგუფში ერთი იღბლიანის, ნორვეგიული „რუსენბორგის“ ბედი გაირკვა. ტრონჰეიმელები თექვსმეტს შორის მოხვდნენ. „ფეიენოორდისა“ და „დორტმუნდის“ ბედი კი ბოლო ტურზე ჰკიდია.

D ჯგუფში თითქმის ყველაფერი ნათელია. „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მარსელის „ოლიმპიკი“ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას აგრძელებენ. აქ მხოლოდ მესამეადგილოსნის, ანუ იმ გუნდის ვინაობაა გასარკვევი, რომელიც უეფას თასზე გადაერთვება.

REUTERS ზაგრებიდან

როაცია — მანჩესტერი 1:2. ხორვატი დანიელ სარიჩი (მარცხნივ) თავის მეტოქე რაიან გიგზს ამაოდ გადაეღობა

დინამოს TBC ბანკის 202 000 დოლარი მართებს

ექსპერტთა ვარაუდით, დიდუბე-ჩულურეთის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონი დიღმის ბაზის გარეშე დარჩება

თბილისის „დინამოს“ მეპატრონეთა ოპტიმიზმი, რომ TBC ბანკთან ურთიერთობა მალე მოგვარდებოდა და დიღმის ბაზა აუქციონზე არ გაიყიდებოდა, უსაფუძვლო გამოდგა.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონულმა სასამართლომ უკვე მიიღო საქმე TBC ბანკი თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ, რომელსაც მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი წარუძღვება.

სარჩელის არსი ასეთია: 1997 წელს თბილისის „დინამომ“ TBC ბანკთან სესხად აიღო 150000 დოლარი და ამის სანაცვლოდ დიღმის ბაზა დააგირავა.

სესხის დაფარვის დრო რომ მოვიდა, აღმოჩნდა, რომ „დინამო“ ვალს ვერ აბრუნებდა. კლუბს დღეისთვის მხოლოდ ერთი ჯარიმა — 1610 დოლარი აქვს გადახდილი. „დინამოს“ მთლიანი დავალიანება კი უკვე 202 000 ამერიკულ დოლარს აჭარბებს.

TBC ბანკი აცხადებს, რომ მხოლოდ მას შემდეგ მიმართა სასამართლოს, რაც დარწმუნდა, რომ „დინამო“ მოლაპარაკებებით მხოლოდ დროს აჭიანურებდა.

საქმის განხილვის პირველ დღეს დიდუბე-ჩულურეთის სასამართლოში თბილისის „დინამოს“ მეპატრონეთა ერთი ნაწილი — ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ წარმომადგენლები გამოცხადნენ. მათი პოზიცია ასეთია: დიღმის ბაზა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს, რადგან ბაზა „დინამოს“ კიდევ ორმა მეპატრონემ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და ფირმა „ბერმუხა 92“-მა (პრეზიდენტი მერაბ რატიანი) მათი თანხმობის გარეშე დააგირავა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონით კი სესხისა და კრედიტის აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას, პარტნიორთა კრების გადასაწყვეტია. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ასევე აცხადებს, რომ შპს „დინამოს“ შექმნისას შპს-ს კაპიტალში დიღმის ბაზა სწორედ მათ შეიტანეს.

ჩივის ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამოც“ დიდუბე-ჩულურეთის სასამართლოში. შეტანილ სარჩელში იგი აცხადებს, რომ სესხი გასასტუმრებელია, მაგრამ არა დიღმის ბაზის გაყიდვის ხარჯზე.

ერთი სიტყვით, საქართველოს ათგზის ჩემპიონი ძალიან რთულ ვითარებაშია. ცნობილმა ადვოკატმა, რომელიც საქმეს გაეცნო, ივარაუდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს დიღმის ბაზის საჯარო აუქციონზე გაყიდვის შესახებ.

TBC ბანკისა და „დინამოს“ ურთიერთობის სასამართლოში გარჩევა მიუთითებს, რომ საქართველოს ჩემპიონის თავზე შავი ღრუბლები იყრის თავს. TBC ეჭს სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის მძლავრი მხარდაჭერით აღმოცენებული ფინანსური ჯგუფია. ნიკო ლეკიშვილი და მერაბ ჟორდანია „დინაოს“ ყოველთვის კეთილი მეგობრები იყვნენ. ერთხანს ლეკიშვილი „დინამოს“ ხელმძღვანელ საბჭოშიც შედიოდა. სწორედ ამან განაპირობა ის ცნობილი შელავათი, როდესაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ „დინამო“ გადასახადების გადახდისაგან გაათავისუფლა და საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ აქციების 35 პროცენტი აჩუქა. დღეს კი ლეკიშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია.

TBC ბანკის სარჩელი მიუთითებს, რომ ნიკო ლეკიშვილს „დინამოს“ მიმართ სიმპათიები გაუქრა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ნაბიჯებს გადადგამენ ბატონები მერაბ ჟორდანია და მერაბ რატიანი. მერაბ რატიანმა ამას წინათ „სარბიელთან“ საუბრისას ივარაუდა, რომ „დინამო“ სულ მალე დაფარავდა სესხს და ბაზა არ გაიყიდებოდა. თუმცა ასე არ მოხდა.

მერაბ ჟორდანიას კი, რომელიც ახლახან გამოეწერა ნევროლოგიის ინსტიტუტიდან, ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

სიმონ მენაბდე

კოშკა სტალინის ბუნკერში გააშაყირეს

ბაბრი ჯიმსელაძის ფოტო

დავით გვარამაძე

რუსეთის ჩემპიონატის 28-ე ტურში ქართველების „კრილიამ“ შინ დაამარცხა სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ და ფაქტობრივად უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა. მოგეხსენებათ, სამარელთა კლუბში სამი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს — მეკარე დავით გვარამაძე, მცველი ზურაბ ფოფხაძე და თავდამსხმელი ზურაბ წიკლაური.

ამჯერად თქვენს ყურადღებას „კრილიასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების კარის დარაჯ დავით გვარამაძეზე შევაჩერებთ. „ზენიტთან“ მატჩში კოშკამ ჯერ კიდევ 0:0-ზე სტუმარ პაბის პენალტი აუღო და თანაგუნდელები მეკარის როლისგან იხსნა. ამან კარგად იმოქმედა სამარელებზე, რომლებმაც საბოლოოდ 3:2 დაამარცხეს სანკტპეტერბურგელები და, როგორც აღვნიშნე, „ოქროს სამ ქულა“ მოიპოვეს.

სხვათა შორის, რაც გვარამაძე რიგის „სკონტოდან“ „კრილიაში“ გაანთხოვრეს, რუსული სპორტული პრესა ქებას არ აკლებს 23 წლის ქართველ გოლკიპერს, რომლის საალბანეთოდ ჩვენს ეროვნულ ნაკრებში გამოძახება სფფ-მ რატომღაც ვერ მოახერხა...

„ზენიტთან“ მატჩამდელ და შეხვედრის პერიპეტიებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რატომ ვერ მოხვდა ნაკრებში, დავით გვარამაძეს „სპორტ-ექსპრესი“ გაესაუბრა. ეს ინტერვიუ, ეფიქრობთ, ქართველი გულშემატკივრებისთვისაც საინტერესო იქნება.

— იგრძენით, რომ თქვენს მიერ მოგერიებულმა თერთმეტმეტრიანმა „ზენიტთან“ თამაშში გარდატეხა შეიტანა?

— რა თქმა უნდა. მომეჩვენა, რომ სტუმრები ამის შემდეგ მოდუნდნენ. ჩვენები კი პირიქით — თუ დასაწყისში თამაში არ გამოსდიოდათ, პენალტის მოგერიების შემდეგ დალაგებულად და ენერგიულად ამოქმედდნენ.

— წინასწარ ხომ არ სწავლობთ, როგორ ურტყამენ თერთმეტმეტრიანებს მომავალი მეტოქის ფეხბურთელები?

— არა. ჯერ ერთი, დიდი ხანი არცაა, რაც მე რუსეთის ჩემპიონატში ვთამაშობ, მეორეც — თითქმის ყოველთვის დარტყმის შემდეგ ვაკეთებ რეაგირებას და იმაზე არ ვფიქრობ, კარის რომელ კუთხეში დამირტყამს ესა თუ ის ფეხბურთელი.

— ისე, თქვენთვის უინტერესო არ იქნება, იცოდეთ — ზენიტელი ბაბი ყოველთვის კუთხეში და ძლიერად ურტყამს, ამ შემთხვევაში კი თქვენი მოტყუება სცადა და ბურთი კარის ცენტრისკენ გაგზავნა.

— ვერ გეტყვით, რომ ამან დიდად დამაინტერესა. მთავარია — თერთმეტმეტრიანი მოვიგერიე.

— „კრილიაში“ ივნისიდან ხართ. ხომ არ გაგიჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება?

— არა. არ მიძნელდება ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა. განსაკუთრებული პრობლემები არ მქონია.

— თქვენ საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე ხართ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი რატომ გამოტოვეთ?

— ძალიან მინდოდა თამაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოტოვება სულელური მიზეზის გამო მომიხდა — მიწვევის მაუწყებელი ფაქსი ვერ მივიღეთ... გაბრაზებული ვიყავი, რომ არ გამომიძახეს და უცებ ტელეფონზე შემეხმიანნენ, რატომ არ ჩამოხვედი, ხვალ მივფრინავთო. ჩასწრების არანაირი შანსი არ მქონდა.

— ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვა უფრო გსურდათ, თუ ალბანეთის ნახვა? ამ ქვეყანაში ალბათ არასდროს ყოფილხართ.

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, მთავარი ეროვნულ ნაკრებში თამაშია. რაც შეეხება ალბანეთს, არ მეგულება ისეთი ადამიანი, რომელსაც ახალ ქვეყანაში მოგზაურობა არ აინტერესებდეს.

— „ზენიტთან“ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე „კრილიამ“ ექსკურსია მოაწყო სტალინის ბუნკერში.

— ჩემს სოფელში დღემდე პატივს სცემენ სტალინის პიროვნებას. მის დაბადების დღეს განსაკუთრებით აღნიშნავენ. რა თქმა უნდა, მაინტერესებდა ამ ექსკურსიაზე წასვლა. მით უმეტეს, რომ ზურაბ ფოფხაძემ მითხრა, სტალინ-ს ბუნკერიდან გვირაბია გაყვანილი მოსკოვამდე, რომელშიც მატარებელსაც შეუძლია გაიაროსო. ეს ყველაფერი შაყირი აღმოჩნდა...

სპორტ-ექსპრესი
27 ოქტომბერი

გიორგი ქინქლაძის ბედი შეფილდის ფანებზე ჰკიდია

ახლა ქართველის გადმოყვანა ჩვენთვის პრიორიტეტული არ არის — განაცხადა გუშინ შეფილდის პრეზიდენტმა მაიკ მაკდონალდმა

„ჩვენ გვაქვს ფული და ახლავე შეგვიძლია გიორგი ქინქლაძის გადმოყვანა, მაგრამ ეს ტრანსფერი ახლა ჩვენთვის პრიორიტეტული არ არის“ — ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ „შეფილდ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა მაიკ მაკდონალდმა, მას შემდეგ, რაც ამსტერდამიდან მოვიდა ცნობა, რომ „აიაქსმა“ ქართველი 500 000 გირვანქით გაამარა და ახლა 3 მილიონ გირვანქას ითხოვს.

მაკდონალდის თქმით, „შეფილდ იუნაიტედისთვის“ ახლა უფრო მომგებიანია „პორტ ვეილიდან“ მარკუს ბენტის, „ბრედფორდიდან“ დარენ მურის და „ევერტონიდან“ მიჩ უარდის გადმოყვანა. „ამ ტრანსფერების მოგვარების შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ დავფიქრდებით, გვჭირდება თუ არა ქინქლაძე და გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ“ — თქვა მაკდონალდმა.

„შეფილდის“ პრეზიდენტმა დიდი როლი მიანიჭა გუნდის ქომაგებს: „თუ „სამართებლების“ ფანები მოითხოვენ, რომ ქინქლაძის „ბრომენ ლოუნზე“ გამოჩენა საჭიროა, ჩვენ ახლავე გადმოვიყვანთ მას. კიდევ ვიმეორებ, ამის ფული გვაქვს“.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გავლენას იქონიებს მაკდონალდის ეს განცხადება შეფილდის მწვრთნელის, ადრიან ჰითის გეგმებზე. როგორც გუშინ ვწერდით, იგი ამ კვირაში უნდა სწვეოდა ამსტერდამს და კიდევ ერთხელ დალაპარაკებოდა გიორგი ქინქლაძეს.

რეალურად კი საქმეს ისეთი პირი უჭანს, რომ „შეფილდი“ არ გარისკავს, უთამაშებელ და მოუმზადებელ ქინქლაძეში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

სიმონ მენაბდე

რუსებმა ქართული ლეგიონი აღიარეს

მართალია, რუსეთის ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა და მასში მონაწილე გუნდთაგან ზოგს ერთი, უმეტესობას კი ორ-ორი თამაში დარჩა ჩასატარებელი, რუსულმა სპორტულმა გაზეთმა, „სპორტ-ექსპრესმა“ უკვე გამოაქვეყნა სეზონის ლაურეატ ფეხბურთელთა სიები.

„სპორტ-ექსპრესი“ ყოველწლიურად აქვეყნებს-ხოლმე მსგავს სიებს. მათში კი მეკარიდან დაწყებული ნებისმიერი ამპლუის მოთამაშეთა წლის მონაგარია უმცირეს ნიუანსამდე გათვლილი და სულ თექვსმეტ ნომინაციაზეა საუბარი.

გასულ წლებში არაერთ ქართველ ფეხბურთელს დაუმშვენებია რუსული სპორტული მასმედიის გიგანტის ნომინაციები. შელია, კობიაშვილი, ყაველაშვილი, გახოკიძე, დემეტრაძე, ჯანაშია არაერთხელ გამხდარან „სპორტ-ექსპრესის“ ნომინატები — ზოგი საუკეთესო მცველი ხდებოდა, ზოგი საუკეთესო ლეგიონერი, ზოგი საუკეთესო დებიუტანტი და ამგვარად გადიოდა დრო.

გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონია — რუსული გაზეთის ნომინანტი ერთბაშად ოთხი ქართველი ფეხბურთელი გახდა. „სპორტ-ექსპრესის“ ყურადღება ზაზა ჯანაშიას, გიორგი დემეტრაძის, მამუკა წერეთლის და დავით გვარამაძის თამაშმა მიიქცია (მართალია, ლაურეატთა შორის ერთ დროს საქართველოში მოთამაშე ახრიკცვეიბა და ზაურ ხაპოვიც არიან, მაგრამ მათ შეგნებულად არ ვასახელებთ).

მაშ ასე: ორ-ორ ნომინაციაშია მოხსენიებული ჯანაშიას, დემეტრაძისა და წერეთლის გვარი. ზაზა ჯანაშია აღიარეს საუკეთესო „პირველ თავდამსხმელად“, ამასთან ერთად ზაზა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მეათე ადგილზე გავიდა. ამავე გამოკითხვაში მეექვსე ადგილი დაიკავა გიორგი დემეტრაძემ. ამასთან ერთად იგი სეზონის საუკეთესო „მეორე თავდამსხმელიც“ გახდა და თუ ყველაფერს დემეს ფაქტობრივად განაღებულ ბომბარდირობასაც მივუმატებთ, შარშანდელ საუკეთესო დებიუტანტობაზე დამატებული „ჰეთ თრიკიც“ სახეზეა.

რაც შეეხება მამუკა წერეთელს, იგი მეხუთე ადგილზეა, „მარცხენა მცველებს“ შორის. წერეთელი ასევე მეხუთე ადგილზე გავიდა „ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელთა“ ნომინაციაშიც (აქ ცოტა შეეშალათ რუს კოლეგებს, წერეთელი ახალგაზრდულში კი არა, ეროვნულ ნაკრებში თამაშობს რახანია).

დაბოლოს, დავით გვარამაძე. კოშკას რუსეთის წლევანდელი ჩემპიონატის გამორჩეულ ახალბედათა შორის მესამე ადგილი უკავია და სულ რაღაც 0,2 ბალით ჩამორჩება პირველ-მეორე ადგილებზე გასულ ოლეგ შიშკინსა (ცსკა) და მაკსიმ ლევიცკის (ჩერნომორეცი).

დასასრულს კი ამას ვიტყვით — მიუხედავად „ქართული გუნდების“ არცთუ სახარბიელო მონაგარისა, რუსეთში მაინც აღიარეს ჩვენები, რაც, თქმა არ უნდა, სასიამოვნო ფაქტია.

ლუკა თალაკვაძე

მთავარია, ძამუკაშვილს სჯერა

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგაო, ვწერდით სამშაბათის „სარბიელში“ გამოქვეყნებულ „მერანი“ — „ხობის“ მატჩის მიმოხილვაში. როგორც იცით, მერანელები „ხობთან“ თამაშის წინ ერთი ტურით ადრე სამტრედიელებთან უსამართლოდ გაძევებული პაატა ლურსმანაშვილის დაბრუნებას ითხოვდნენ. ფეხბურთის ფედერაციის შესაბამისი კომიტეტი ამის წინააღმდეგი იყო. ყველაფერი ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას ჩარევის შემდეგ მოგვარდა — ლურსმანაშვილმა ხობელების წინააღმდეგ ითამაშა. სწორედ ამას ვგულისხმობდით სანთელ-საკმეველში, თუმცა... სიმართლე ხვალ გაირკვევაო, გვითხრა გუშინწინ „მერანი“ — „იბერიას“ მატჩის დელეგატმა გია ძამუკაშვილმა.

გუშინ მართლაც ყველაფერი გაირკვა.

„მიეცეს რეკომენდაცია სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს, რათა იმსჯელოს „მერანი“ — „იბერიას“ მთავარი მსაჯის, ალექსანდრე კრიჭაშვილის მიერ დაშვებული მეთოდური შეცდომების შესახებ, ხოლო „მერანის“ ფეხბურთელებს პაატა ლურსმანაშვილსა და დავით ჯიშკარიანს მიეცეთ გაფრთხილება. ასევე გაფრთხილებულია „სინათლის“ სტადიონიც“ — ასეთი განაჩენი გამოიტანა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინოტექნიკური კომიტეტის სხდომამ.

სხდომა გუშინ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიის რექტორის, ომარ ბოგიაშვილის კაბინეტში გაიმართა. ბოგიაშვილი სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარეა, თუმც იგი გუშინდელ შეკრებას არ დასწრებია. სხდომას ამავე აკადემიის პროექტორი გურამ ძაგანია ხელმძღვანელობდა. ძირითადი განსახილველი საკითხები 16 ოქტომბერს პირველ ლიგაში „მერანი“ — „იბერიას“ მატჩში მომხდარი გახმაურებული ფაქტი და 24 ოქტომბერს რეგიონალლიგის შეხვედრაში ბორჯომის „თორსა“ და ხაშურის „ივერიას“ შორის მომხდარი ინციდენტი გახლდათ. სხდომა 13 საათზე დაიწყო და სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

თავიდან „მერანი“ — „იბერიაზე“ ვქქათ. კიდევ ერთხელ (ვინ იცის, უკვე მერამდენედ) გეტყვით საქმის არსს.

შეხვედრის 77-ე წუთზე შეტევაზე გადასული პაატა ლურსმანაშვილი მიქელთაძემ საჯარიმოსთან წააქცია, კრიჭაშვილმა თამაშის გაგრძელება ბრძანა, სამტრედიელს მერანელი დავითაშვილი მივარდა და ბურთისთვის ბრძოლისას ფეხი ჩაარტყა. არბიტრმა თამაში გააგრძელა. სტუმრებმა ბურთი აუტში მოიგერიეს და წაქცეულ მიქელთაძეს შემოეხვივნენ. თან მსაჯსაც რაღაც უთხრეს, კრიჭაშვილმა ლურსმანაშვილს დაუძახა და ყვითელ-წითელი ბარათები აუფრიალა, მიზეზს სტადიონზე მყოფთაგან ვერავინ მიხვდა. სტადიონიდან წასულმა მატჩის დელეგატმა გია ძამუკაშვილმა თან ლურსმანაშვილის მონაწილის ბარათიც წაიღო. მის გარეშე კი, მოგეხსენებათ, ფეხბურთელს თამაშის უფლება არა აქვს. „მერანის“ ხელმძღვანელობა მის დაბრუნებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონატს მივატოვებთო, იმუქრებოდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაფერი ჟორდანიას, უფრო სწორად კი საგანგებო კომიტეტის ჩარევამ გადაწყვიტა, რომელშიც ცნობისათვის მერაბ ჟორდანიას გარდა გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე შედიან.

სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ყველა მხარე გამოცხადდა — სამივე მსაჯი: კრიჭაშვილი, მეშკოვი და დოლიძე, დელეგატი — ძამუკაშვილი, სამტრედიელი მიქელთაძე, მერანელი ლურსმანაშვილი და „მერანის“ ხელმძღვანელები — ვიცე-პრეზიდენტი ბესიკ მაღრაძე და აღმასრულებელი დირექტორი ანზორ მამალაძე. „მერანი“ სრული აღჭურვილობით მოვიდა. კლუბის წარმომადგენლებმა თან ტელევიზორი, ვიდეომაგნიტაფონი და კასეტ-გაზეთებიც მოიტანეს, სადაც ყველაფერი დეტალურად იყო ასახული. სხდომას, საბოლოო ვერდიქტის გამოტანის გარდა, იქ მყოფი ჟურნალისტებიც დაგვასწრეს. თავიდან მხარეებს მოუსმინეს.

ალექსანდრე კრიჭაშვილი: „მიქელთაძეს ჯერ დავითაშვილმა ჩაარტყა, თუმცა ეს სათამაშო ეპიზოდში მოხდა, მერე კი ლურსმანაშვილმა. იგი გასაძევებელი იყო, მაგრამ მინდოდა, სასჯელი შემრბილებინა და პირდაპირ წითელი არ ვუჩვენე, მეგონა, ყვითელი ბარათი მანამდეც ჰქონდა მიღებული“.

გია ძამუკაშვილი: „არბიტრს ძალიან კარგი შეფასება მივეცი. მან ეს დაიმსახურა. მართალია, ლურსმანაშვილმა რომ მიქელთაძეს ჩაარტყა, პირადად ვერ დავინახე, მაგრამ კრიჭაშვილის მჯერა. მატჩის შემდეგ გულშემატკივართა ნაწილმა ჩვენს მიმართ აგრესია გამოხატა. „მერანის“ უფროსობამ კი ზომები არ მიიღო. მოგვიანებით დავით ჯიშკარიანმა სიტყვიერი შეურაცხყოფაც მოგვაყენა“.

ზაზა მიქელთაძე: „დავითაშვილის უხეშობის შემდეგ მწვავე ტკივილი ვიგრძენი. წაქცეულს თვალები სიმწრისგან დახუჭული მქონდა, ამ დროს ვიგრძენი, რომ ვიღაც შემეხო, ვინ, არ ვიცი. ნამდვილად ვერ დავინახე“.

ბადრი კეთილაძის ფოტო

წინა ტურის (ანტი)გმირი პაატა ლურსმანაშვილი

პაატა ლურსმანაშვილმა განაცხადა, სამტრედიელს ახლოსაც არ გავკარებივარო. ტრანსპორტელთა ხელმძღვანელებმა კი, ამდენი ლაპარაკი რად გვინდა, აგერ კასეტა, ვიდეო და ტელევიზორი და ყველაფერი თქვენი თვალით იხილეთო, თქვეს. სადისციპლინო კომიტეტის წევრებიც დათანხმდნენ და მატჩის 77-ე წუთზე მომხდარი მომენტი ბარე შვიდ-რვაჯერაც დაატრიალებინეს. ამის შემდეგ განმარტოვდნენ, ცალკე იმსჯელეს და საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღეს. ლურსმანაშვილის გაძევება კი არა, მიქელთაძე ორჯერ იყო ერთი წამის განმავლობაში დასაჯარიმებელიო, როგორც შევიტყვეთ, ამ აზრამდე მისულა კომიტეტი.

ვიდრე განაჩენს გამოიტანდნენ, დერეფანში მიქელთაძემ ეს გვითხრა — წაქცეულმა შეხება კი ვიგრძენი, მაგრამ იგი ძალიან უმნიშვნელო იყო, ჩარტყმას ნამდვილად არ ჰგავდა. ვინ იცის, იქნებ თანაგუნდელი შემეხო. სამაგიეროდ, კრიჭაშვილი საპირისპიროს ამტკიცებდა, ჩემი თვალით დავინახე, ლურსმანაშვილი რომ მივიდა და დაუნდობლად ჩაარტყაო. სწორედ ამაზეა ნათქვამი — ფიცი მწამს, ბოლო მკვირვებსო.

ვერდიქტის შემდეგ კი ანზორ მამალაძე კარგ ხასიათზე გახლდათ.

— მოხარული ვარ, რომ სიმართლემ გაიმარჯვა. სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მადლობელი ვარ — განაცხადა აღმასრულებელმა დირექტორმა.

სამაგიეროდ, ძამუკაშვილი ვერ მალავდა უკმაყოფილებას.

— ლურსმანაშვილმა მიქელთაძეს ნამდვილად ჩაარტყა, ამას სამტრედიელიც აღიარებს, უბრალოდ, კასეტაზე არ ჩანს.

— თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია შეცდა, როცა დაშაშვე ლურსმანაშვილს თამაშის ნება დართო.

— ვერაფერს გეტყვით, სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა ასე.

ისე, ძამუკაშვილის მართლაც გაგვკვირვებია, მან თავისი თვალით მხოლოდ დავითაშვილის ჩარტყმა დაინახა (ეგ მომენტი მსაჯის გარდა არავის გამოჰპარვია), მაგრამ მაინც ძველებურად ამტკიცებს, ლურსმანაშვილმაც ივივე ჩაიდინაო. მგონი, თავისი ნათქვამისა, სჯერა კიდეც. აკი ამას წინათაც თქვა, კრიჭაშვილი იმიტომ არის უმაღლესი კატეგორიის მსაჯი, რომ ის მომენტი მის გარდა ვერავინ დაინახაო. ეს თუ მართლა ასეა, მაშინ ალავერდს ფედერაციასთან გადავდიავართ — იქნებ ფიფაშიც წარგვედგინა მისი კანდიდატურა.

ახლა სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის მიერ განხილულ მეორე საკითხზე ვთქვათ. კვირას გამართული „თორი“ — „ივერიას“ მატჩი 82-ე წუთზე ჩაიშალა. ამ დროს ხაშურელები 3:1-ს იგებდნენ. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მსაჯობით უკმაყოფილო ბორჯომელი ქომაგები მინდორზე შეცვივდნენ და არბიტრ სერგო კვარაცხელიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მასპინძლები კვარაცხელიას იმაში ადანაშაულებდნენ, რომ „ივერიას“ კარში ორი პენალტი არ დანიშნა. მათ „ივერიას“ მიერ გატანილ პირველ გოლზეც ჰქონდათ პრეტენზია — ხაშურელები თამაშგარეში იყვნენ. კომიტეტის წევრებმა ამ შემთხვევაშიც ელექტრო ტექნიკას მიმართეს. მართალია, კასეტაზე ცუდად ჩანდა, მაგრამ საერთო აზრამდე ისინც მივიდნენ — კვარაცხელია ყველა შემთხვევაში გაამართლეს. იგივე დასკვნა გამოვიტანეთ ჩვენც.

„თორის“ ქომაგების აღელვება კი ძირითადად მაინც 55-ე წუთზე დაიწყო. ხაშურელი წიკლაური და ბორჯომელი გლუნჩაძე ერთმანეთში წაკინკლავდნენ. მსაჯმაც ორივე გასახდელის გზას გაუყენა. დაძაბულობამ კულმინაციას 82-ე წუთზე მიაღწია, როცა კვარაცხელიამ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო „თორის“ კიდევ ორი ფეხბურთელი — ციცქიშვილი და ელისაშვილი გააძევა მოედნიდან. სწორედ ამის მერე შეეხივნენ მინდორს ვაი-გულშემატკივრები.

საბოლოოდ „თორის“ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი ძალიან მკაცრი გამოდგა. ბორჯომელებს პირველი წრის ბოლომდე აეკრძალათ საკუთარ მინდორზე თამაში, თანაც სეზონის ბოლომდე სტადიონს პირველ ბითურ დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს.

12 თვით აეკრძალა ფეხბურთის თამაში და ასევე ერთი ლარი დაჯარიმდა ციცქიშვილი, რომელმაც მსაჯისთვის წიხლებთან ერთად, საკუთარი ნერწყვიც არ დაიშურა. მომავალი წლის გაზაფხულამდე ვერ ითამაშებს ელისაშვილი, რომელიც ამავდროულად 12-თვიანი პირობითი დისკვალიფიკაციით და სამასი ლარით დაისაჯა. ერთ თამაშს გამოტოვებს და 50 ლარით შეუთხელდებათ ჯიბე ბორჯომელ გლუნჩაძეს და სულავას, ასევე ხაშურელ წიკლაურს. ალბათ იკითხავთ, სულავამ რაღა დააშავაო? მართალია, მას ამ მატჩში არ უთამაშია, მაგრამ სტადიონზე მომხდარ უწესრიგობებში, მასაც გვარიანი ბრალი მიუძღვის. სულავა მთელი მატჩის განმავლობაში სათადარიგოთა სკამიდან აქეზებდა ქომაგებს და თავისი გუნდის ფეხბურთელებს — წერია დელეგატ ადიკ დურსუნიშის მიერ სადისციპლინო კომიტეტისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში. შეიძლება ითქვას, „თორი“ სამაგალითოდ დაისაჯა.

სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე, სხვა შედარებით უფრო წვრილმან დარღვევებზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ მინდორზე გამოვლენილი უდისციპლინობისათვის ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს და ასი ლარით დაჯარიმდნენ — ტარიელაშვილი („არსენალი“), მერაბაშვილი (საუ), ბურჯანაძე („ბრეტები“), მარღიშვილი („აკადემია“), ქურასპელიანი („ენერგეტიკოსი“), ახალაძე (თსუ), ლომიძე („დილა“), ხვიჩია („მეტალურგი“) და ძაგნიძე („რაჭა“). ერთ მატჩს გამოტოვებენ და 50 ლარის გადაიხდიან — ბეტაშვილი (საუ), ბეგოიძე („ვარძია“), ვასილ გოგიჩაიშვილი („აკადემია“), სალუქვაძე („ლოკომოტივი 2“), კალატოზი („მეშახტე“), ნაყოფია („ლაზიკა“), ასათიანი („ინტერი“), ყოლბაია („არსენალი“) და გიორგი მიქაძე („თბილისი“).

სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით გამოეცხადა „არსენალის“ გუნდის უფროსს თემურ ცერცვაძეს, რომელმაც „ლოკომოტივთან“ შეხვედრის შემდეგ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის დელეგატს.

ახევე უკანასკნელი გაფრთხილება მიეცათ ბათუმის „დინამოსა“ და სამტრედიის „ერისი მანჯგალაძის“ სახელობის სტადიონებს, სადაც საფეხბურთო კლუბებმა „ბათუმმა“ და „იბერიამ“ მატჩის სათანადო ორგანიზაცია ვერ შეძლეს. ზემოაღნიშნული სტადიონები 250-250 ლარითაც დაჯარიმდნენ.

სხდომის დასასრულს სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ, რომ ორი კვირის თავზე კვლავაც შეიკრიბებიან და მანამდე ჩატარებულ მატჩებში მომხდარ უდისციპლინობებზე ისაუბრებენ.

ვანო ოძროპირიძე

ეპლე ჩამოვა და...

ჩვენებურები კი ამბობენ გვეხმარებიანო, მაგრამ ამ შვიდი წლის მანძილზე, რაც სფფ უეფას ზევრია, ქართულ ფეხბურთს როგორც დაეტყო ევროპულ ფეხბურთის მამათა თუ მათ ქეშეევრდომთა სტუმრობა, კარგად ხედავთ.

ჩამოვლენ, შეხვდებიან ჩვენი ფედერაციის მუშაკებს, შემოივლიან ქალაქებს, სტადიონებს, ინსტანცია-სამინისტროებს და უკანვე გაბრუნდებიან.

ახლაც, უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების და განვითარების კომიტეტის უფროსის ერიხ ეპლეს მორიგი ვიზიტის დრო დამდგარა. ამჯერად, პატივცემული ეპლე უეფას პროექტ-მენეჯერ ფრანსუა ბოსართან ერთად ჩამოვა თბილისს, როგორც ყოველთვის ფედერაციის ჩინოსანთ შეხვდება, ფეხბურთის განვითარებაზე ილაპარაკებს და ბოსარს, მისთვის უკვე კარგად ნაცნობ საქართველოს გაპარტახებულ სტადიონებს დაათვალიერებინებს.

საკითხავი კი უწინდებურად, ესლა გვაქვს — მერე რა, რომ ეპლე ჩამოდის?

კობა ინასარიძე

ერიხ ეპლე

შელიას უარი, ცხადაძეს თანხმობა

გუშინ ინგლისურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისის პირველი დივიზიონის ლიდერ „მანჩესტერ სიტის“ შეიძლებოდა დაებრუნებინა ქართველი მცველი მურთაზ შელია. შეგახსენებთ, რომ შელიამ ერთი თვის წინ, „სიტის“ პრეზიდენტ დავიდ ბერნშტეინთან მოლაპარაკების შემდეგ დატოვა გუნდი და ახლა საქართველოში იმყოფება. გუშინვე „სიტის“ მწვრთნელმა ჯო როილმა უარყო ეს ხმები. როილის თქმით, 31 წლის ქართველთან იმიტომ გაწყდა ურთიერთობა, რომ იგი „სიტის“ პირველ გუნდში ვერ ხვდებოდა, ახლა კი მისი დაბრუნება არარეალურია. სამაგიეროდ, როილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ძალიან მალე „სიტის“ ძირითადში გამოჩნდება მეორე ქართველი — კახი ცხადაძე, რომელიც შარშან აგვისტოში დაიმტვრა და შემდეგ გერმანიაში ურთულესი ოპერაცია გაიკეთა. ცხადაძემ შეიძლება უკვე მომავალ კვირაში ითამაშოს დივიზიონის ლიდერის რიგებში.

სიმონ მენაგდე

რა ხდება ბავშვთა ფეხბურთში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ იმ მიზეზებს ჩამოვთვლი, რამაც 16-წლამდელთა ნაკრების წარუმატებლობა განაპირობა, შემდეგ გადმოგცემთ ჩემს აზრს იმის შესახებ, თუ რა ხდება ბავშვთა ფეხბურთში და რით ვუწამლოთ. მიზეზი სამი იყო: 1. ნაკრების წევრთა არასწორი შერჩევა (21 ფეხბურთელი იყო წარდგენილი); 2. მოსამზადებელი ციკლის არასწორი დაგეგმვა; 3. არასწორი ტაქტიკური მოდელის შემუშავება თუგინდ იმ ძირითადი 11 ფეხბურთელის შემადგენლობის მიხედვით.

შერჩევა: ყველამ ვიცით, რომ გუნდი განსაკუთრებით ნაკრები, არ შეიძლება ჩამოყალიბდეს 11 კაცით. ნაკრები — ეს არის 22 კაცი, საიდანაც შედეგ განაცხადში შეგვყავს 18 ფეხბურთელი. ეს 22 ფეხბურთელი შერჩეულია იმ მიზნით, რომ გუნდში გვქონდეს ძლიერი, ჯანსაღი კონკურენცია. მათგან შეირჩევა 11 საუკეთესო ფეხბურთელი, რომელთაც იციან, რომ თუ ვერ ითამაშებენ, უპრობლემოდ გამოცვლიან. ეს მათთვის დამატებითი იმპულსია. იმუშაონ, შეასრულონ მწვრთნელის დავალებები. წლევანდელ ნაკრებში (და არა მარტო წლევანდელში) რას ვხედავთ: იმ ძირითადი მოთამაშეების გარდა გუნდში ირიცხებოდნენ ყოვლად დაუმსახურებელი (ნაკრებისთვის) ფეხბურთელები, რომელთა გვარებსაც შეგნებულად არ ვასახელებ, რადგანაც არ მინდა, რომ მამიკოებისა და ნაკრების მესვეურთა გამო გული მათ ვატკინო. მე მხოლოდ მათ დავასახელებ, რომელთაც დამსახურებულად ეკუთვნოდათ ადგილი ძირითადში თუ არა, სათადარიგოში მაინც. ისინი არიან: მეკარე ჯაბა სამსონია („ოლიმპიკი-2“), რომელიც დაიწუნეს სიმაღლის გამო, როდესაც ნაკრებში მასზე ერთი თავით დაბალიც არის; ლადო გელაშვილი („XXI საუკუნე“), რომელმაც წარმატებით ჩაატარა მეორე წრის თამაშები წყალტუბოს „სამგურალი 2“-ის შემადგენლობაში, საქართველოს II ლიგის ერთ-ერთ ძლიერ ზონაში; კოპალიანი (წყალტუბოს „სამგურალი“) შუა ხაზის მოთამაშე, დღესაც ასპარეზობს I ლიგაში, ძირითად შემადგენლობაში; ხაჩიძე („ვაკე-91“), ათლეტური ტანის ტექნიკური მარცხენა ნახევარმცველი; გიორგი მჭედლიძე („ოლიმპიკი-2“), 1984 წელს დაბადებული (ერთი წლით პატარა), მეტად ათლეტური, ნიჭიერი ნახევარმცველი. მომავალ წელს იგი 16-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იქნება და თუნდაც ამიტომ აქედანვე ჩაუყრიდი საფუძველს მის შემდგომ წარმატებას; გიორგი გოდერძიშვილი („ოლიმპიკი-2“), ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკური, სწრაფი მარჯვენა ფრთის გინდა მცველი, გინდა ნახევარმცველი, შემტევი ფეხბურთელი; ირაკლი ებანოიძე („ოლიმპიკი-2“), მაღალი, ათლეტური, შემტევი ფეხბურთელი; მოდებაძე („ოლიმპიკი 1“), ერთ-ერთი მარგი კოეფიციენტის მქონე ათლეტური თავდამსხმელი; გიორგი ჩუხუა („XXI საუკუნე“), ათლეტური, სწრაფი, უძლიერესი დარტყმის მქონე მარცხენა ფრთის შემტევი ფეხბურთელი; მალანია („ავაზა“) ფიზიკურად ძლიერი, ათლეტური, ნიჭიერი ახალგაზრდა. თითოეულმა მათგანმა თავისი, ორიგინალური სიტყვა თქვა 1983 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა პირველობებსა თუ ტურნირებზე, მათი თამაში ბევრ დიდი წლოვანების გუნდებთან ასპარეზობაშიც თვალსაჩინო იყო, მაგრამ — მიზეზი მარტო თქვენ იცით, ვისთვისაც წერილია განკუთვნილი, თქვენ კი არაფერს ამბობთ, მეც გამიჭირდებოდა ამის დაწერა, ერეკლე ელყანიშვილის („ვაკე-91“) ცრემლები რომ არ მენახა რატომღაც ტრიბუნაზე, ბერძნებთან თამაშის დროს. იგი ნაკრებში ითვლება, სათადარიგოთა სკამზე(კი მისი ადგილი არ აღმოჩნდა მაშინ, როცა საინელი შეცვლები გაკეთდა, მე ვიტყოდი, ყველას თვალებში მოგვაფურთხეს.

ბადრი კვირკელიძის ფოტო

რევაზ გაგუა

მოსამზადებელი ეტაპი: არ მინდა იმაზე საუბარი, რატომ დაიწყო ფეხბურთელების შერჩევა მარტი-აპრილიდან და არა იანვრიდან, შერჩევაც და მომზადებაც. ეს, ალბათ, ნაკრების მესვეურებმა უფრო კარგად იციან. ერთს ვიტყვი, არავითარი პრობლემა არ იყო, თუ გინდ თბილისელი ბიჭებისთვის, რომ საფუძვლიანი ფიზიკური მომზადება იანვრიდან ჩატარებულიყო. .

ძირითადი მომზადება ივნისის შუა რიცხვებიდან დაიწყო, როდესაც უკვე ყველა პირველობა და ტურნირი ერთი დღის დამთავრებული იყო და შერჩეული ფეხბურთელები (დაახლოებით 30) დასვენების მაგივრად 20-დღიან შეკრებაზე წაიყვანეს ლაგოდეხში, სადაც ორჯერადი, ხან სამჯერადი, ვარჯიშები ჰქონდათ. ბევრმა პირველი დარტყმა ჯანმრთელობაზე იქ მიიღო. თქვენ მაინც ხომ იცით, რომ გადაღლა სხვადასხვა სიმპტომებს იწვევს, რაც შემდგომ თავს იჩენს ვარჯიშებსა თუ თამაშებში. ამის მრავალი ფაქტი იყო, ჩამოთვლა შორს წაგიყვანს, შედეგი კი სახეზეა. წინ გავუსწრებ მოვლენებს და, საბერძნეთთან რამდენი დაცვიდა მოედანზე ეგრეთ წოდებული „სუდარგების“ (კუნთის გამაგრება) გამო. ან თუ გინდ ბოლოსწინა შეკრება ავიღოთ ერთი თვით ადრე ზღვისპირეთში, სადაც სილაში(!) არბენინებდნენ. კიდევ ვიმეორებ, ერთი თვით ადრე, ეს ხომ სისწრაფის დაკარგვას და ბურთთან გაუხეშებას გამოიწვევდა, ხოლო ის, რომ ნაკრებს ერთი-ორი საერთაშორისო ტურნირი მაინც ეთამაშა უცხოეთში, ეს, ცოდვას ვერ დავიდებ, დღევანდელი ნაკრების მესვეურთა ბრალი ნამდვილად არ არის. ფეხბურთის ფედერაციას უჭირს ფინანსურად, ძველი ხელმძღვანელების ვალების გამო.

ტაქტიკური მოდელი, რომელიც საერთოდ არ ჩანდა (სხვათა შორის, არც ბულგარელებს ეტყობოდათ ხორვატიის ნაკრებთან). გაუგებარ, ყველაგვარი მონახაზის გარეშე, უდისციპლინო ფეხბურთის თამაშობდნენ. ან დათო ნაკანს (ტრიბუნებზე ბავშვებიც კი გაოცებას ვერ მალავდნენ) რა უნდოდა ღრმა ზურგში. ის ხომ შემტევი, ერთ-ერთი სწრაფი, მეგოლე ფეხბურთელია. გიორგი ქოქიაშვილი ცენტრალური ნახევარმცველია და არა ფლანგის, თან ძლიერი დარტყმით დაჯილდოებული ახალგაზრდაა და მისი კოზირის გამოყენება ცენტრიდან უფრო უპრიანია, ვიდრე ფლანგიდან. და თუ ერთი თავდამსხმელით ვთამაშობთ, მაშინ ხომ ფლანგის ნახევარმცველები ის ფეხბურთელები უნდა იყვნენ, ვისაც სწრაფად სირბილი შეუძლია. ან შეცვლები რა იყო, და თუ მთავარი მწვრთნელი ამბობს, მოუმზადებლები მოვიდნენო, მე უკვე ჩამოვთვალე ის ფეხბურთელები (თავისი ღირსებებით), რომელნიც მის ტაქტიკურ ჩანაფიქრს წაადგებოდნენ, თავის დროზე გულისყური რომ გამოეჩინა ამ ბიჭების მიმართ, მაგრამ რა მოხდა, ან რა ხდება წლევანდელ ან შარშანდელ 16-წლამდელთა ნაკრებ გუნდში, ჩემთვის გამაცანაა. არაპროფესიონალიზმი? კორუფცია? გავლენიანი მშობლები თუ თავხედური საბოტაჟი ფედერაციის თუ დღევანდელი საქართველოს მთავრობის მიმართ? ვერ მივმხვდარვარ, ჩემო კოლეგებო, და ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, განსაკუთრებით იმ ახალი ფეხბურთის სკოლების დამაარსებლებს — კარლო მჭედლიძეს, გრიგოლ ცაავას, თენგიზ სულაქველიძეს. თქვენ ხომ მაინც შეულახავი რეპუტაცია გაგაჩნიათ. ან მითხარით, რომ ვცვდები და ჯობს წავიდე ფეხბურთიდან, ან ერთიანი ძალისხმევით მოვკვეთოთ ის პიროვნება ფეხბურთის სამყაროდან, ვინც ამ უმსგავსობის უკან დგას. აი, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში. ამით უნდა დავიწყოთ ყველაფერი და შემდგომ უფრო ადვილად გამოჩნდება, რა პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი.

ახლა, რით ვუწამლოთ ბავშვთა ფეხბურთს...

იქნებ ჯობდა, ერთიანი სასწავლო ცენტრი შეგვექმნა მწვრთნელებისთვის. წინასწარ გეტყვით, განათლების სამინისტრო (მინიტსრი ალ. კარტოზია) და სამინისტროს აღზრდისა და სპორტის სამმართველო (დ. ბერძენიშვილი) მზად არის, შესაბამისი შენობა და თანხებიც გამოყოს ამ ცენტრისთვის. იქ უნდა შევიმუშაოთ ერთი სტრატეგიული გეგმა ბავშვთა ფეხბურთში მუშაობისთვის, მისი მეთოდებისთვის. მწვრთნელებს ექნებათ ადგილი, სადაც სისტემატურად გაიღრმავებენ ცოდნას, იქნება სწავლისა და ჯანსაღი კამათის საშუალება პრობლემურ საკითხებზე, მათთან მუშაობის შედეგად ჩვენც შევიტანთ კორექტივებს ჩვენს შემდგომ მუშაობაში. იქნება ეს გახდეს საწინდარი იმ გენერალური მიმართულების მონახვისა და დახვეწისა, რაც ასე ესაჭიროება ქართულ ფეხბურთს, რაც უნდა გვქონდეს და დღეს არა გვაქვს. კოვერჩიანოს (იტალია) სკოლაში მოსმენილმა ლექციებმა კიდევ ერთხელ დამანახა, თუ იტალიელები როგორ უფრთხილბედიან თავიანთ, იტალიურ ფეხბურთს, რომელიც ჩამოყალიბდა, წლების განმავლობაში იხვეწებოდა და კვლავ ახლის ძიებაშია. ეს ყველაფერი ნათლად შეიმჩნეოდა იტალიის ფეხბურთის ცენტრში, კოვერჩიანოში. ისინი იღებენ ყველაფერ ახალს, რაც ხდება მათთან და სხვა ქვეყნებში, ჯერ ამუშავებენ და შემდეგ ამყნობენ იტალიური ფეხბურთის ფესვებზე, თან ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიაყენოს იმას, რასაც ჰქვია „იტალიური ეროვნული ფეხბურთი“. მწვრთნელების შერჩევაშიც და შემდგომ მათ შესწავლაშიც ერთგვარი კრიტერიუმები აქვთ. მათი ლიცენზიის გარეშე ბავშვთა ფეხბურთშიც კი ვერ იმუშავებ, გინდ ინგლისში გქონდეს შესაბამისი კურსები დამთავრებული. ჩაკეტილი არიან-მეთქი ვერ გეტყვით, რადგან არის ქვეყნები, რომლის ლიცენზირებულ მწვრთნელებს შეუძლიათ იმუშაონ იტალიაში, როგორც ბავშვებში, ისე დიდებში. ამას რომ მივაღწიოთ, ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ როდესმე ხომ უნდა დავიწყოთ, მით უმეტეს, მთავრობა გვეხმარება, ოღონდ ჩვენი მონდომებაა საჭირო. თუ დავიწყეთ, ბევრი შემოგვერთდება, ფეხბურთის სკოლები მაქვს მხედველობაში. თანაც დღეს ჩვენ გვყავს უეფას მიერ ლიცენზირებული სპეციალისტები, რომელთაც უფლება აქვთ, მწვრთნელებს წაუკითხონ ლექცია. მათ ხელთ ხომ უამრავი თანამედროვე მასალაა. ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული, ჩვენს ძალისხმევაზე და ფეხბურთის ფედერაციაც შემოგვეშველება, რათა შეიქმნას ერთიანი ფრონტი ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად. მერე კი მოვა დრო, ვერ იმუშავებს გაუნათლებელი, ულიცენზიო ბოგანო ბავშვთა ფეხბურთში. ნაკრების მწვრთნელებიც იძულებული იქნებიან, თავიანთი სამუშაო გეგმა წარმოადგინონ, რაც პროფესიონალთა განხილვის საგანი გახდება. მაშინ ვერც დაუმსახურებელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებენ ნაკრებ გუნდებს. რა თქმა უნდა, მწვრთნელებს თავისუფლად მოქმედების საშუალება ექნებათ, მაგრამ ჯანსაღი კონტროლიც აუცილებელია. ასევე დაცული იქნება მათი ხელშეუხებლობა გარეშე ჩინოვნიკებისა და ფულიანი მამებისგან.

ამავე ცენტრთან იმუშავებს თანამედროვე დიაგნოსტიკური ცენტრი, სადაც ყველა სახეობის სპორტსმენებს შეეძლება გაიაროს ლაბორატორიული შემოწმება, დაადგინოს რა მდგომარეობაშია იგი, რა დატვირთვით შეიძლება მუშაობა, როდის შეიძლება დაიზიანოს კუნთი ან მყესი...

აი, სად ვხედავ ქართული ფეხბურთის ხსნის გზას. თუ არა, კიდევ დიდხანს იქნება ზურგსკუან ქილიკი და გინება, გვეყოლება სულიერად ტრავმირებული ბავშვები.

დროა, დავიწყოთ, შევუდგეთ გზას, რომელიც დაკარგულ, ჭეშმარიტად ქართულ ფეხბურთს გვაპოვნინებს.

პასუხი 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის რევაზ გაგუას განცხადებაზე: „ნაკრებში მოუმზადებელი ფეხბურთელები მოდიან“

განათლების სამინისტროს,
რესპუბლიკური საფეხბურთო
სკოლა „XXI საუკუნის“ დირექტორი

ნუგზარ ლეჟავა

როცა ჭკუას ისწავლით...

მადლობა უთქვამს თუ შემოუთვლია უეფას ჩინოვნიკს — რა ყოფილხართ ეს ქართველები, დაკისრებულ მოვალეობას ჩინებულად გაართვით თავი, ამგვარი მასპინძლობა ჯერ არ გვინახავსო.

ახლა არა აქვს მნიშვნელობა, უეფასგან შემონათვალი რეალობაა, თუ ვინმე ჩვენებურის ფანტაზიის ნაყოფი. განა გულშემატკივარს გულს მოეფონება უეფას მადლობა მაშინ, როცა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი დავკარგეთ?

სამარცხვინო, სხვას ვერაფერს დაარქმევ ქართველი თექვსმეტწლამდელების ნაღვაწს. ბოლოობისთვის რომ ვიყავით განწირულები, ამას ჭკვიანი კაცი მაშინ მიხვდებოდა, თუ ქართველთა მწვრთნელის წინა სატურნირო ინტერვიუს წაიკითხავდა.

რევაზ გაგუას ნაუბრიდან აშკარად ჩანდა, რომ ნაკრები ტურნირს მოუმზადებელი ხვდებოდა. ჰოდა, პირველ რიგში პასუხი მწვრთნელთა კორპუსს მოეთხოვება.

შეცდომა იქნა დაშვებული ფეხბურთელთა შერჩევაში, მომზადებასა და სათამაშო ტაქტიკაშიც (რა თქმა უნდა, თუ გაარჩდა ეს უკანასკნელი თექვსმეტწლამდელთა ნაკრებს).

ადრეც გვითქვამს, მაგრამ კიდევ გავიმეორებთ, ნუთუ სამეგრელოსა და იმერეთში თექვსმეტწლამდელთა მესვეურების მოსაწონი სამი-ოთხი მოთამაშე ვერ შეირჩა. ეს ხომ წარმოუდგენელია. ბეცი მოახერხებს აღნიშნულ რეგიონებში იმედისმომცემი მოზარდების აღმოჩენას. დასავლეთ საქართველოში ახლა ნამდვილად საფეხბურთო ბუმია.

მწვრთნელების თქმით, მათ რამდენიმე ახალგაზრდა კი გასინჯეს, მაგრამ მომზადების დონემ არ დაკმაყოფილათ და დაითხოვეს.

ნაკრების მომზადების გეგმა და უშუალოდ ტურნირზე ფეხბურთელთა მზადყოფნა ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლებდა. ნავარჯიშევისა არაფერი ეტყობოდათ ქართველებს.

ტაქტიკაზე ნუ იტყვით, თურმე ირაკლი სამხარაძემ მოწინააღმდეგის მთელი გუნდი უნდა მოატყუოს (ნახევარი მაინც) და მერე გოლის გატანას წინ რა დაუდგება. ბუნებრივია, ვერ იზამდა ამას სამხარაძე, თუმცა იმედისმომცემი ახალგაზრდა კი ჩანს.

იმ სამარცხვინო ტურნირის მერე რამდენიმე ხანი უკვე გამოხდა. იმედია, მწვრთნელები მიხვდნენ თავიანთ შეცდომებს (მით უმეტეს, რომ ხალხი შეგნებულ შეცდომებზე საუბრობს), არადა, გედის სიმღერა სამარცხვინო გამოუვიდათ და არა გვგონია, ფედერაციამ შედეგი მოიწონოს.

ბოლოს უეფას მადლობაზეც ვთქვათ. კარგია, როცა ზემდგომი ორგანო ნაჯაფარს გიფასებს, მაგრამ ვითომ მართლა მოიწონა უეფამ ტურნირის ორგანიზაციული მხარე?!

რახან ამბობენ, ჩვენც ასე ჩავთვალოთ და ამით ფეხბურთის ფედერაციას ქულებიც მივუთვალოთ აქტივში, მაგრამ...

საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრები გერმანიის ეროვნული გუნდის სამოსით რომ დაიარებოდა, ვითომ კარგია ეს? არც ერთი თავმოწონე ნაკრები არ ჩაიდენს მსგავს საქციელს. ხომ ვნახეთ, რა ეცვათ ბერძნებს, ხორვატებს და ბულგარელებს.

საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრებს ტურნირზე მუდმივი ნომრებით რომ არ უასპარეზია, ვთქვათ და მოეგო გაგუას გუნდს შეჯიბრი, მერე ვინ აგებდა პასუხს ძალად წაგებულ მატჩებზე. უეფასგან მადლობას რაღა სჯობს, მაგრამ ასეთი წვრილმანი (ჩემი აზრით, წვრილმანი კი არა, მეტად მნიშვნელოვანი) საკითხების გათვალისწინება არ უნდა გვეშლებოდეს.

არა, ნამდვილად საშინელი საფეხბურთო წელი ჰქონდა ფეხბურთის ფედერაციას. ყველა ნაკრებმა და კლუბმა მოიჭრა თავი ევროსარბიელზე.

ჭკუა კი მაინც ვერ ვისწავლეთ. ალბათ რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ ქართველებმა ფეხბურთის თამაში გაიხსენონ. იქნებ არც დავიწყებიათ, უბრალოდ, დილეტანტების და გაუმაძღარი ხალხის ბრალია ყველაფერი?!

მაშინ უარი ვუთხრათ ძველებს და დავნიშნოთ ახლები — გამოსავალიც ეს თუ იქნება.

მამუკა ძვანტალიანი

ბასკეზმა კლემენტე გაიხსენეს

„რეალ სოსიედადმა“ მიმდინარე სეზონში მეტად ცუდი სტარტი აიღო. იგი ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია. კლუბის ხელმძღვანელობამაც არ დაყოვნა და გერმანელი მწვრთნელი ბერნდ კრაუსი გაათავისუფლა. ბასკური კლუბის ახალ დამრიგებლად ასევე ბასკი ხავიერ კლემენტე დაინიშნა.

ხავიერ კლემენტე

კლემენტემ ფეხბურთის თამაში ბასკთა უპირველეს გუნდში, ბილბაოს „ატლეტიკში“ დაიწყო. თუმცა მისი, როგორც ფეხბურთელის კარიერა უიღბლო გამოდგა. 24 წლისამ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, თამაშისთვის თავი დაენებებინა. კლემენტეს ფეხბურთიდან სამუდამოდ წასვლა არ სურდა და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. ბილბაოელთა საუკეთესო შედეგებიც სწორედ მის სახელს უკავშირდება. კლემენტეს ხელმძღვანელობით „ატლეტიკი“ 1983 წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს კი დუბლი შეასრულა — ჩემპიონობასთან ერთად ქვეყნის თასიც მოიგო.

შემდეგ კლემენტე ესპანეთის ნაკრებს თავკაცობდა. გვახსოვს, ამ თანამდებობიდან ის შერცხვენილი წავიდა. უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელებმა სენსაცია მოახდინეს და... ქვეჯგუფიდან ვერ გავიდნენ. ამას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველივე შეხვედრაში კვიპროსთან დამარცხებაც დაემატა.

ნაკრებიდან წასვლის შემდეგ კლემენტე „ბეტისში“ მუშაობდა. აქ კი ბასკ სპეციალისტს კლუბის პრეზიდენტთან მოუვიდა უთანხმოება, რის შედეგადაც, გასული სეზონის ბოლოს, მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს.

ალბათ ბედის ირონიაა, რომ ახალ კლუბში თავის პირველ ბრძოლას კლემენტე სწორედ „ბეტისს“ გაუმართავს. ეს გუნდები ერთმანეთს კვირას ხვდებიან. კლემენტეს კონტრაქტი 2001 წლის 30 ივნისამდე გრძელდება.

გიორგი დარჯანია

ევროპელების მაგალითი გადამდებია

ბოლო რამდენიმე წელიწადია, ევროპულ ფეხბურთში რევოლუციური ცვლილებები ხდება. სხვადასხვა პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეთა მომრავლებამ, ცხადია, შემოსავლებიც არნახულად გაზარდა. ჩართავ ტელევიზორს და ლამისაა, ყოველდღე უმაღლესი დონის ფეხბურთს უყურებ. ევროპელთა მისწრაფება სამხრეთამერიკელებსაც მოსწონებიათ და მომავალი სეზონიდან ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, 1960 წელს დაარსებული ეს ტურნირიც მნიშვნელოვნად გაფართოვდება. მონაწილეებს რვა ოთხგუნდა ჯგუფებად დაყოფენ. პირველ-მეორე ადგილზე გასულები მერვედფინალში გავლენ. ამ ეტაპიდან ტურნირი პლეი ოფის სისტემით ჩატარდება. ოთხ-ოთხი წარმომადგენელი ეყოლებათ ბრაზილიასა და არგენტინას, სამ-სამი — ბოლივიას, ჩილეს, კოლუმბიას, ეკვადორს, პარაგვაის, პერუსა და ურუგვაის. ორი გუნდი ვენესუელიდან და მექსიკიდან იქნება, ერთიც წინა გათამაშების გამარჯვებული. ამასთან, მეორე, ნაკლებად პოპულარული კონმებოლის თასი, რომელშიც ლიბერტადორესის თასზე ვერმოხვედრილი გუნდები ასპარეზობენ, წლეულს ბოლოჯერ ტარდება.

ლიბერტადორესის თასის გათამაშების ფორმულაში ორი ძირითადი ცვლილება მოხდება. პრიზის მფლობელი, რომელიც ადრე მერვედფინალამდე თავისუფალი გახლდათ, ამიერიდან ჯგუფური ტურნირიდანვე ჩაებმება შეჯიბრში. და კიდევ, აუცილებელი აღარ იქნება, პლეი ოფში ერთი ქვეყნის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ასე რომ, პირველად შეჯიბრის ისტორიაში შესაძლებელი გახდება, ფინალში ერთი და იმავე ქვეყნის წარმომადგენლებმა ითამაშონ.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციას (კონმებოლი) გადაუწყვეტია, სპონსორები გამონახოს და წელიწადში დაახლოებით 40 მილიონი დოლარი მიიზიდოს. ეს კი ნიშნავს, რომ კლუბები თითო თამაშში დაახლოებით 100 ათას დოლარს მიიღებენ.

კონმებოლის მამებმა ასევე დაამტკიცეს, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტურნირი სამხრეთ ამერიკაში ძველებური სისტემით ჩატარდება. 10 ქვეყნის ეროვნული ნაკრები ერთ ჯგუფში გაერთიანდება. ისინი ერთმანეთს შინ და სტუმრად შეხვდებიან. მატჩები გაისად 28-29 მარტს დაიწყება და 2001 წლის 13-14 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე ლივერპულის „ევერტონის“ მთავარმა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გუნდის ხორვატი ლეგიონერი სლავენ ბილიჩი ალბათ ფეხბურთს თავს დაანებებს. ეს მისი ხანგრძლივი ტრავმითაა გამოწვეული. გუნდმა მოთამაშის სამედიცინო დასკვნები სადაზღვევო კომპანიას გადაუგზავნა, რათა ამ უკანასკნელმა კლუბს სადაზღვევო თანხა აუნაზღაუროს. ბილიჩი სამი წლის წინ „ვესტ ჰემიდან“ გადაბარგდა „ევერტონში“, მაგრამ მერე მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც მის საფეხბურთო კარიერაზეც იმოქმედა.

უნგრულმა კლუბმა „დიორ ეტომ“ მთავარი მწვრთნელი კაროლაი დერდელი გაათავისუფლა. მიზეზი მარტივია — გუნდი ცუდად თამაშობს. მისი ადგილი კლუბის ყოფილმა თავკაცმა იოზეფ დარამმ დაიკავა, რომლის კონტრაქტიც 2001 წლის ივნისამდე გაგრძელდება. უნგრეთის ჩემპიონატში. „დიორ ეტო“ 10 ტურის შემდეგ მეათე ადგილზეა.

ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ ნახევარმცველი ბრუნო რიბეიროო შესაძლოა უახლოეს მომავალში „შეფილდ იუნაიტედში“ გადავიდეს. იგი „ლიდსს“ 1997 წელს 500 ათას გირვანქად „ვიტორიაა სეტუბალიდან“ შეუერთდა, მაშინ ინგლისურ კლუბს ჯორჯ გრემი ხელმძღვანელობდა. ხოლო ახლა დევიდ ოლირი პორტუგალიელ ნახევარმცველს საერთოდ არ ახვედრებს გუნდის შემადგენლობაში. რიბეიროს თქმით, მას ძლიერ სურს ფეხბურთის თამაში და კლუბსაც ამიტომ ტოვებს.

ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე „ლესტერი“ ასევე პრემიერლიგული „შეფილდ უენსდიდან“ თავდამსხმელ ენდი ბუტის გადაბირებას აპირებს. სატრანსფერო თანხა 2,75 მილიონი გირვანქის ოდენობით განისაზღვრა. ორივე კლუბის განცხადებით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია და სულ მალე ბუტი ახალი კლუბის მაისურას მოირგებს. „ლესტერის“ ხელმძღვანელობის აზრით, გუნდის დამრტყმელი დუეტს, ჰესკი-კოტის დამხმარე სჭირდება და ასეთად მათ ბუტი ეგულებათ. აღსანიშნავია, რომ სატრანსფერო თანხა — 2,75 მილიონი გირვანქა სარეკორდოა კლუბისთვის. ადრე ეს რეკორდი ფრედერიკ სინკლერს ეკუთვნოდა, რომელიც 15 თვის წინ 2,3 მილიონ გირვანქად „ჩელსიდან“ შეუერთდა „ლესტერს“.

არგენტინულმა „ბოკა ხუნიორსმა“ გააგრძელა მიმდინარე კონტრაქტი თავის მწვრთნელ კარლოს ბიანკისთან. კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, იგი თავის პოსტზე 2002 წლის იანვრამდე დარჩება. ბიანკი არგენტინულ კლუბს 1996 წელს იტალიური „რომადან“ შეუერთდა. როგორც ფეხბურთელს, მას არგენტინული „ველეს სარსფილდის“ რეკორდი ეკუთვნის — ამ გუნდის შემადგენლობაში 206 გოლი გაუტანია, 70-იან წლებში კი ფრანგული „რეიმსისა“ და პსჟ-ს რიგებში საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირიც იყო. მწვრთნელის რანგში ბიანკიმ „ველეს სარსფილდთან“ ერთად არგენტინის ჩემპიონობა მოიპოვა, ამის შემდეგ კი, 1995 წელს (საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრაში), ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „მილანი“ დაამარცხა.

ინგლისური „ასტონ ვილას“ გოლკიპერი მაიკლ ოუქსი შესაძლოა მალე „ვულვერჰემპტონს“ შეუერთდეს. ღღესდღეობით იგი დევიდ ჯეიმსისა და პიტერ ენკელმანის შემდეგ „ასტონ ვილას“ მესამე მეკარეად ითვლება. ბრანნგემული კლუბი ესპანური ეგოს ხელმძღვანელობას ნასეირმაალ ხამე ტეიქვოს შეძენას აპირებდა, მაგრამ 5 მილიონ გირვანქად დაგეგმილი ტრანსფერი ჩაიშალა. „ვულვერჰემპტონმა“ კი 1 მილიონ გირვანქად „სუნდერლენდიდან“ ჯორჯ ნდა გადაიბირა. გუნდმა ამ დღეებში კიდევ ერთ ახალი ფეხბურთელი შეიმატა — ფრანგი მცველი ლუდოვიკ პოლეტი „ლეავრიდან“ 350 ათას გირვანქად განათხოვრებით გადავიდა.

ინგლისური „დერბი ქაუნთის“ ცნობით, მათ შოტლანდიელი კოლინ ჰენდრის შეძენა სურთ. ჰენდრი ახლა „გლაზგო რეინჯერსში“ ასპარეზობს და მისი თქმით, ამ კლუბში მომავალი აღარ აქვს. 33 წლის მცველს ინგლისში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს, 15 თვის წინ „ბლეკბერნ როვერსი“ დატოვა და სწორედ ამის შემდეგ შეუერთდა შოტლანდიურ კლუბს. „დერბის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი უახლოეს მომავალში „რეინჯერსთან“ მოლაპარაკებას გამართავენ ჰენდრის გადაბირების თაობაზე.

იტალიური „მილანის“ შანსები ჩემპიონთა ლიგაში, ბუქმეიკერთა შეფასებით, საკმაოდ შემცირდა — ადრინდელი 9:1-დან, 25:1-მდე. ცნობილი კანტორა „ლენდბროუკსის“ პროგნოზი იტალიურ გუნდს, უეჭველია, კარგს არაფერს უქადის. ჯერჯერობით ლიგის ფავორიტად ესპანური „ბარსელონა“ ითვლება, რომლის მაჩვენებელიც 7:2-ია.

ფრანგმა ფეხბურთის ვარსკვლავმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ზინედინ ზიდანმა ერთ-ერთ გასართობ სატელევიზიო შოუპროგრამაში მიიღო მონაწილეობა. მისი სახელწოდებაა — „გაუმარჯოს კვირას“. ამ შოუზე ზიზუმ სიამოვნებით წარმოადგინა ახალი საავტორო თხზულებათა კრებული სათაურით — „ზიდანი, რომანი მოგებაზე“, რომელიც სპეციალისტთა აზრით წლის საუკეთესო ბესტსელერი გახდება. თავად წიგნი ზიდანის დაწერილი არ გეგონოთ. იგი საფრანგეთში შეიქმნა და ავტორი ცნობილი მწერალი დანომ ფრანკო გახლავთ. თუმცა კრებული თითქმის მთლიანად ზიდანის მოგონებებს ეყრდნობა.

ესპანური „ვალიადოლიდის“ ყოფილი ფეხბურთელი ვალტერ ლოზანო, რომელიც ახლა ერთ-ერთ ღამის კლუბრესტორნის მეპატრონეა, ნარკოტიკების არალეგალური გასაღებისთვის დააკავეს. პოლიციელებმა მის კაბინეტში 40 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება კოკაინი აღმოაჩინეს, თუმც დაკავებულმა განაცხადა, რომ იგი პირადი მოხმარებისთვის სჭირდებოდა. პოლიცია მაინც ეჭვობს, რომ ლოზანო რეალიზატორი იყო, ამის შესახებ ინფორმაციაც გააჩნდათ. თუ ფეხბურთელს სასჯელი დაუმტკიცდა, მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ინგლისური „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი კლუბის ნიგერიელ ფორვარდ ნვანკვო კანუს, მშობლებისთვის ვიზის მიღების საკითხში დაეხმარა. ფეხბურთელის მშობლებს საკონსულო პრობლემების გამო არ შეეძლოთ შვილს ლონდონში სწვეოდნენ და მოენახულებინათ. თავად კანუ ძალიან მადლიერია ვენგერის და ამბობს, მშობლები თებერვლის შემდეგ არ მინახავსო. მისი თქმით, ანალოგიური პრობლემები მას მილანის „ინტერში“ ასპარეზობის პერიოდშიც ჰქონდა. ხოლო ვენგერი კმაყოფილია იმით, რომ შეძლო, კანუს დახმარებოდა და მომავალშიც მის მშობლებს ყოველმხრივ მხარდაჭერა აღუთქვა.

ზამერი ბრუნდება?!

თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ ლიბერო მატიას ზამერი ვარჯიშის განახლებას და დიდ ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს. მთელი ამ ხნის მანძილზე მას მუხლის სერიოზული ტრავმა აწუხებდა და თამაშს ვერა და ვერ ახერხებდა. 32 წლის მატიასმა 1997 წლის შემოდგომაზე ოპერაციაც კი გაიკეთა, რის გამოც თავის კლუბსა და ევროპის ჩემპიონ ნაკრებს გამოაკლდა. შეგახსენებთ, რომ ზამერმა 1997 წელს „ბორუსიას“ რიგებში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიგო, ხოლო 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობის გამო, იგი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს.

მატიას ზამერი

თავისი პირველი სანაკრებო მატჩი ზამერმა აღმოსავლეთ გერმანიის ეროვნულ გუნდში ჩაატარა, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, უკვე გაერთიანებული გერმანიის ნაკრებში ჩაირიცხა და 51-ჯერ მოირგო ბუნდესნაკრების მაისურა.

ასე რომ, გამოცდილი გერმანელის თამაში, შესაძლოა უახლოეს მომავალში ვიხილოთ.

პოლიცია საბრძოლველად მზადაა, არმია... თადარიგში

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მსვლელობისას, რომელიც 2000 წლის ზაფხულში ჰოლანდიისა და ბელგიის მინდვრებზე გაიმართება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით პოლიციის ქვედანაყოფები გაძლიერებული რეჟიმით იმუშავებენ, ხოლო თუ საჭირო გახდა, არც საჯარისო შენაერთების გამოყენებას გამოვრიცხავთ. აუცილებლობის შემთხვევაში ჯარისკაცები იქ ქალაქების ქუჩებში განაწილდებიან, სადაც ჩემპიონატის მატჩები გაიმართება — დაახლოებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ამ დღეებში ჰოლანდიის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომლის ძირითადი თემაც სწორედ ევრო 2000-ზე საზოგადოებრივი უსაფრთხოება გახლდათ.

აქედან გამომდინარე, ჰოლანდიის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უარყო უმსხვილესი ოპოზიციის — ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მოწოდება, პოლიცია და საჯარისო ნაწილები ჩემპიონატის დაწყებისთანავე ერთდროულად გამოეყენებინათ. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა ვიმ კოკმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას მიაჩნია, რომ ძირითადად მოქალაქეთა დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა პოლიციას უნდა დაეკისროს, ჯარის გამოყენება კი მხოლოდ საგანგებო სიტუაციის დროს არის აუცილებელი. ჩვენ თავიდანვე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩემპიონატის დღეებში ეს საჭირო არ გახდეს.

ყოველივე ზემოთქმულზე თავისი აზრი გამოთქვა ჰოლანდიის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრამ პეპერმა: „მიმაჩნია, რომ მთავრობას საკმარისი რაოდენობის ჰერსონალი და ტექნიკური არსენალი გააჩნია, რათა სრულიად უზრუნველყოს ევრო 2000-ის უსაფრთხოება“. ამავე დროს ჰოლანდიის უმსხვილესი ოპოზიციური, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა იაპ დე ჰოფ შეფერმა გამოთქვა საშიშროება, რომ სამართალდამცავთა მუშაობა თავის ეფექტურობას და სპეციფიკურობას იმ ქალაქებში დაკარგავენ, სადაც არ ჩატარდება ევრო 2000-ის მატჩები, თან დასძინა, რომ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ საკითხი, როგორი ფორმით უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის განაწილება პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებს შორის.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატს ამსტერდამი, როტერდამი, ეინდჰოვენი და არნემი უმასპინძლებენ.

გიორგი ვაშაკიძე

არ მჯერა, გოლი რომ გავიტანე

— ოდინდელ არსენალელსა და გამოცდილ მცველს, ალბათ, თანაგუნდელების ყველა თვისება ზედმიწევნით მოგეხსენებათ. ვარჯიშებზე რომელ თავდამსხმელთან გიჭირთ პაექრობა?

— ადრე ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო იოლი საქმე იყო. ყოველთვის შეიძლებოდა ერთი-ორი მოთამაშის გამოყოფა, დღეს კი „არსენალში“ თუ მის გარეთ ასობით მაღალი კლასის ოსტატია. და მაინც, მსურს ჩემი თანაგუნდელი დენის ბერხკამპი გამოვყო, რომელიც ვარჯიშებსა და თამაშებში დიდებულია. იცით, ბევრი მინახავს, ვარჯიშზე რაღაცას რომ ცდის და მერე თავს ანებებს. დენისი ასე არ არის. იგი ილეთს კარგად ამუშავებს და აუცილებლად იყენებს შეხვედრების დროს.

— ფრედერიკ ლიუნგბერგზეც გვითხარით თქვენი აზრი.

— ფრედერიკს გუნდთან შესარწყმელად დრო დასჭირდა. ხან იყო შემადგენლობაში, ხან არა, მაგრამ დღეს ყველაფერი მოგვარებულია, იგი დიდ სამუშაოს ასრულებს და ხშირად ისე თამაშობს, ამასწინათ, შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში რომ ითამაშა. სხვათა შორის, ამ ქვეყნიდან რამდენიმე საუცხოო ფეხბურთელი გამოდის პრემიერლიგაში: ანდერს ლიმპარი, შტეფან შვარცი, იგივე ფრედი...

— გასულ ზაფხულს „არსენალმა“ ორი ახალი მცველი, სილვინიო და ოლეგ ლუჟნი შეიძინა. რას იტყოდით მათზე, მით უფრო, რომ ისინი თქვენი და ნიჯელ უინტერბერნის შემცვლელებად არიან ჩაფიქრებულნი.

— მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ შემადგენლობის გაძლიერება სურს და საამისოდ ორი მცველიც იყიდა. ზოგადად, ინგლისში თამაშთან შეგუება ერთობ რთული საქმეა, მაგრამ ოლეგმა პრობლემა სულ რაღაც ორსამ შეხვედრაში გადაჭრა. მან გვაჩვენა, რომ მაღალი კლასის, ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. სილვინიოს კი ათი წლის ბიჭის ენთუზიაზმი ახასიათებს. ის დაუღალავად დარბის, რაც ხალხს ძალიან მოსწონს.

— ეს მცველები მართლაც ჩამოყალიბებული ფეხბურთელები არიან. ხომ არ ჯობდა თქვენს შემცვლელად ვინმე ახალგაზრდა შეერჩიათ და აღეზარდათ?

— ზოგადად, როდესაც გუნდში შენი ამპლუის მზა ფეხბურთელი მოჰყავთ, ყოველთვის ნერვიულობ. კაცმა არ იცის რა უტრიალებს მწვრთნელს თავში, მაგრამ ამას სხვა თვისებაც სდევს, საგანგებოდ ინდომებ, რათა შენი ადგილი შეინარჩუნო.

— როდესაც „არსენალს“ გოლი გააქვს, ნაიჯელ უინტერბერნი ჭკუიდან გადადის, თქვენ კი ასეთი რამ არასდროს მოგსვლიათ. რატომ? და საერთოდ, რას ფიქრობთ, როდესაც უინტერბერნის ზეიმს უცქერთ?

ლი დიქსონი

— მართლაც, ზეიმში ნაიჯელს ბევრნი არ ვგავართ. ცხადია, გოლის გატანა ყველას ძალიან გვიხარია, მაგრამ გამოხატვის ფორმები სხვადასხვა გვაქვს. მე იმიტომ არ ვგიჟდები, რომ, როგორც წესი, არ მჯერა გოლი რომ გავიტანე. ჩემი ჩვეული მდგომარეობა დაცვაში დარჩენა და მეტოქის მეურვეობაა, მაგრამ თუ ვატყობ, რომ წინ არავინაა, იქითკენ ვეშურები.

— ამ ბოლო დროს გავრცელდა ხმები, თითქოს მარკ ოვერმარსი და დენის ბერხკამპი გუნდიდან წასვლას აპირებენ...

— იცით, ჩვენ ჩვეულებრივი მოთამაშის დაკარგვაც არ გვინდა, ვარსკვლავებზე რომ არაფერი ვთქვათ. გუნდში ამ საკითხზე ცხადია, ვილაპარაკეთ, მაგრამ სერიოზული ვერაფერი შევნიშნეთ. ასეა თუ ისე, ეს მოთამაშეები შემდგომ სეზონში მაინც ჩვენთან იქნებიან.

— გავიხსენოთ მარცხი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ბარსელონასთან“. იმსახურებდით?

— იცით, „ბარსელონამ“ ოთხი გოლი გაგვიტანა და ამის წინააღმდეგ სიტყვა უძლურია. ამის შემდეგ პრესაში ეწერა, თითქოს დაგვჯაბნეს და გაგვაცამტვერეს, მე კი გეტყვით, რომ ეს იყო ერთობ უცნაური თამაში. ჩვენ მივიღეთ ცუდი და უიღბლო დაცვის ნაჯვარი, რასაც უკბილო შეტევისა და ცუდი მსაჯობის ნაჯვარიც დაემატა. იმ შეხვედრაში ორი პენალტი უნდა დაგვერტყა, მეტოქისა კი მეტად საეჭვო გახლდათ, თუმცა მესმის, რომ მსაჯმა თავისი კუთხიდან ზუსტად ვერ დაინახა, სინამდვილეში რაც მოხდა. ერთს ვიტყვი და ეს უდავოა, ჩვენ არ გავნადგურებულვართ.

— „ბარსელონაზე“ რას იტყვით. არის თუ არა უძლიერესი მათ შორის, ვის წინააღმდეგაც ოდესმე გითამაშიათ?

— როდესაც თამაშში ხარ ჩაბმული, შეფასება რთულია, მაგრამ ნახევარდაცვა და თავდასხმა „არსელონას“ მართლაც ჩინებული ჰყავს. ისინი ძალიან სწრაფად გადადიან დაცვიდან შეტევაზე. თამაშის მერე ჭიდაცამ მითხრა, ასეთი გუნდი შეჯიბრებაში სხვა არ მოიძებნებაო. შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ბარსელონელებს ზეადამიანებს ნამდვილად ვერ დავარქმევ. ნეტავ ერთხელაც შევხვდებოდე.

— კარიერის დასრულებას „არსენალში“ აპირებთ თუ სტივ ბოულდივით ბოლო ორი წლით სადმე გადახვალთ?

— აქ მინდა დარჩენა. ჩემთვის „არსენალთან“ კიდევ ერთსეზონიანი კონტრაქტის გაფორმება იდეალური იქნება.

— შემდგომ მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?

— არა მგონია. ეს საჩემო საქმე არ არის. კარიერის დასრულების შემდეგ რაიმე სხვა საქმეს ვიპოვნი. რესტორნები უკვე მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი ბიზნესი მხოლოდ ვითარდება, ფეხზე დგება. მერე ვნახოთ.

— სად არის თქვენი რესტორნები?

— მთი საერთო სახელია „შიმლა ჰენკს“. მე და ჩემმა კომპანიონებმა ისინი ბირმინგემში, სოლიჰალში, ნოტინგემში, მანჩესტერში, ოქსფორდში, გლაზგოსა და ახლახან ლონდონშიც გავხსენით.

— რესტორანი კარგია, მაგრამ პენალტების დარტყმას რატომ დაანებეთ თავი?

— ორ თუ სამ სეზონში 13 თუ 14 პენალტი დავარტყი, ოღონდ ზედიზედ სამი გავაცუდე და თავი დავანებე. ორის ვერგატანის მერე ვფიქრობდი, მაინც არ შევეშვები-მეთქი, მაგრამ მესამე მეტისმეტი გამოდგა. ისე, რომ იცოდეთ, ჩემს მერე „არსენალში“ საქმე მაინცდამაინც არ გამოსწორებულა. ასე რომ, შეიძლება კიდევ ვცადო ბედი.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

იან რაიტი

რაიტი სქოთთა ქვეყანაში

- ინგლისის ნაკრების და „არსენალის“ ყოფილი ფეხბურთელი იან რაიტი შოტლანდიურ „სელტიკში“ გადასვლას აპირებს. რაიტი, რომელსაც ერთ თვეში 36 წელი შეუსრულდება, ამჟამად „ვესტ ჰემის“ საკუთრებაა. „ვესტ ჰემს“ ფეხბურთელი „ნოტინგემ ფორესტში“ ჰყავდა განათხოვრებული, მაგრამ კონტრაქტის ვადა რამდენიმე დღის წინ დაუმთავრდა და ვეტერანი ლონდონურ კლუბს დაუბრუნდა.

ცნობილია, რომ „სელტიკმა“ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გასულ ხუთშაბათს უეფას თასზე შეხვედრაში სქოთთა შვედმა თავდამსხმელმა ლარსონმა ფეხის უმძიმესი მოტეხილობა მიიღო. „სელტიკის“ თავკაცებს ლარსონის შემცვლელად სწორედ რაიტი მიაჩნიათ. ამასთანავე მას „ვესტ ჰემთან“ კონტრაქტის ვადა გასდის.

ლონდონელთა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა: „ვიცი, რომ რაიტს მაღალი კლასის გუნდში თამაში სურს. ვფიქრობ, იანი ლარსონს ღირსეულად შეცვლის. ჩვენთან იგი იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ გადასვლაში ხელს არ შევუშლი“.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

დააპატიმრეს...

გერმანიის პოლიციამ სამი ჰოლანდიელი მოქალაქე დააკავა, რომლებიც გერმანია-ჰოლანდიის საზღვრის უკანონოდ გადალახვას ლამობდნენ. ეს სამი პიროვნება გერმანიას ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის უნდა სწვეოდა, რომელიც დორტმუნდში „ბორუსიასა“ და „ფეიენოორდს“ შორის გაიმართა. მათ მატჩზე დასასწრები ბილეთებიც ჰქონდათ. მოგეხსენებათ, „ფეიენოორდის“ ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად შეზღუდა ჰოლანდიელთა გერმანიაში გამგზავრება და ეს უსაფრთხოების ზომებით იყო გამოწვეული. დაკავებულები მატჩის დასასრულამდე საკანში შეაყოვნეს, ხოლო ამის შემდგომ მათ ალბათ გაათავისუფლებენ. გერმანია-ჰოლანდიის საზღვრისპირა ქალაქ ვენელოში კი გერმანულმა პოლიციამ საგანგებო პატრული დააყენა ჰოლანდიელ ფანთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად.

REUTERS ელტენიდან

დაკავებულებს ჩემპიონთა ლიგის მატჩზე დასწრება სურდათ

არეულობა ევერტონში

ქართულ კლუბებს რომ უფულობა აწუხებთ, ყველამ ვიცით. როგორც ირკვევა, ფინანსური პრობლემები პრემიერლიგის გუნდებისთვისაც არ ყოფილა უცხო.

გასულ კვირას „ევერტონის“ აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრება ჩატარდა, რომელზეც მეტად შემაშფოთებელი ამბები გამომზეურდა. კრებაზე განაცხადეს, „ევერტონმა“ გასულ ფინანსურ წელს 10,8 მილიონი ფუნტი იზარალაო. საინტერესოა, რომ ზარალის დაანგარიშება ახალი წესით მოხდა. ფული ადრე მიღებული სისტემით რომ დათვალათ, ზარალი 19 მილიონ ფუნტს მიაღწევდა. ინგლისური კლუბების ფინანსური წელი 31 მაისს, ანუ ჩემპიონატის დასრულებისთანავე მთავრდება.

1998 წლის მონაცემებით, ლივერპულულმა კლუბმა სეზონი 2,3-მილიონიანი მოგებით დაასრულა. მაშ, რა მოხდა 1998-99 წლების სეზონში? საქმეში ჩახედულმა ხალხმა, ანუ მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა და კლუბის თავმჯდომარე ფილიპ კარტერმა, განტევების ვაცი უცებ მოძებნეს. ეს პიტერ ჯონსონი აღმოჩნდა. ვაცის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯონსონი დიდი ბობოლა ვინმეა. „ევერტონის“ აქციების 68 პროცენტი მისი საკუთრებაა. ჯონსონსავე ეკუთვნის პირველდივიზიონელი „ტრანმერი“.

სმიტმა, რომელიც კლუბს 1998 წლიდან წვრთნის, მკვახე სიტყვები არ დაიშურა: „გუნდში მოსვლისას ჯონსონი ყოველმხრივ დახმარებას დამპირდა, პირველ ყოვლისა, ახალი ფეხბურთელების შეძენას. მაგრამ მერე მისი დაპირებები უკვალოდ გაქრა და შედეგად ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას ვიმკით“.

მწვრთნელმა მაგალითად დანკან ფერგიუსონის ტრანსფერი მოიყვანა. „ფერგიუსონის გაყიდვის შესახებ (იგი 8 მილიონ ფუნტად შეაფასეს), უკვე შემდგარი გარიგების მერე შევიტყვე. ერთი ფეხბურთელის ყიდვას რომ მოვითხოვ, სანაცვლოდ ორ სხვას გუნდიდან უშვებენ. ამგვარი პოლიტიკით პრემიერლიგის ლიდერთა შორის ვერ დავბრუნდებით“ — თქვა მან.

კლუბის თავმჯდომარემ ჯონსონი იმაში დაადანაშაულა, უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დაგვიმალაო. „მე ვესაუბრე ჩვენს ბანკირებს, ისინი მეტად შეშფოთებულნი არიან შექმნილი სიტუაციით“ — განაცხადა კარტერმა.

თავად ჯონსონი საქმის გარჩევას არ ესწრებოდა. შემდგომ მან განაცხადა, „ევერტონის“ აქციების გაყიდვას ვაპირებო. მიზეზად კი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის კანონი დაასახელა, რომელიც კრძალავს ორი კლუბის ერთდროულად ფლობას.

გიორგი დარჯანია

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. E ჯგუფი

პორტუ 3:1 მოლდე

1:0, 2:0 დეკო სოუზა (I, 27), 3:0 ჟარდელი (57), 3:1 ჰესტადი (82)
პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, ეორეე კოშტა, ალოიზიო ალვეში, ესკერდინია, დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო, ჩაინიო (რიკარდო სოუზა 69), პეიშე, დეკო სოუზა (ალესანდრო ოლივეირა 28), ჟარდელი (დომინგუშ ოლივეირა 75)
მოლდე: ბაკუ, დოს სანტოსი, გინგასანი, ლიდერსენი, სტრანდი, ოლსენი (სანდგოტი 83), ფიორტოფტი, ჰესტადი, ტესემი (ლინდბეკი 60), ლუნდი, ჰოსეტი (მორკი 84)
მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)

ბრაზილიელმა დეკო სოუზამ 34-ე წამზე გახსნა ანგარიში და საფუძველი ჩაუყარა „პორტუს" მიერ „მოლდეს" 3:1 ძლევას, რაც პორტუგალიელთა მეორე ეტაპზე გასვლის ტოლფასი გამოდგა. სოუზამ ლიუბინკო დრულოვიჩის პასს თავური შეაგება. სანამ ნორვეგიელები „ანტაშის" სტადიონის გარემოს შეეგუებოდნენ, ანგარიში უკვე 1:0 იყო.

REUTERS პორტუდან

პორტუ — მოლდე 3:1. მოლდელი ანდრე ლინდბეკი (№15) და პორტუელი ლიუბინკო დრულოვიჩი ბურთისთვის იბრძვიან

შეხვედრის განმავლობაში სტუმრებმა მასპინძელთა კართან სულ ორჯერ-სამჯერ მოახერხეს ხიფათის შექმნა, მათ მეკარეს კი მრავალი უსიამოვნო წუთის განცდა მოუხდა.

სოუზამ მეორე გოლი 27-ე წუთზე შეაგდო, როდესაც ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო.

მეორე ტაიმის დასაწყისში „მოლდემ" მცირე ხნით მოახერხა გაყოჩაღება: ტრონდე სტრანდმა თავურით აჯობა ცნობილ პორტუგალიელ გოლკიპერ ვიტორ ბაიას, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. ნორვეგიული გუნდის ბომბარდირს, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში სამი გოლის ავტორს, ანდრეას ლუნდსაც ჰქონდა საშუალება გოლი გაეტანა, მაგრამ მისი დარტყმული მიზანს ცოტათი აცდა.

შემდეგ კი ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც უნდა დალაგებულიყო: მოუხელთებელმა მარიო ჟარდელმა ისარგებლა სტუმარ ნახევარმცველთა და მცველთა უყურადღებობით, ბურთი იხელთა და თავისი საქმე უშეცდომოდ შეასრულა.

გამარჯვების მიუხედავად მასპინძელთა მწვრთნელი ფერნანდო სანტოსი მაინც უკმაყოფილო გახლდათ იმით, რომ მისი მოთამაშეები პერიოდულად კონცენტრაციას კარგავდნენ.

„გვქონდა რამდენიმე დიდებული მონაკვეთი, მაგრამ დანარჩენი დრო არაფრად ვარგოდა. არა უშავს, მთავარია, რომ შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გავედით" — ბრძანა მან.

82-ე წუთზე, როდესაც სტრანდის პასით ბერგ ჰესტადმა გულის მოსაფხანი გოლი შეაგდო, ტრიბუნებზე შეკრებილი 30 ათასი მაყურებლიდან ბევრი უკვე გასულიყო სტადიონიდან. სულ ბოლოს შეცვლაზე შესულ ოლე სანდგოტს შეეძლო კიდევ ერთის შეგდება, მაგრამ ბაიამ არ გაატანინა.

რეალი 3:0 ოლიმპიაკოსი

1:0 რაული (20), 2:0 მორინტესი (63), 3:0 რობერტო კარლოსი (82)
რეალი: ბიზარი, ხერეზი (მიჩელ სალგადო 61), იერო (ივან კამპო 41), ხულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ელგუერა, გუტი (მაკმანამანი 70), რედონდო, ზიდანი, მორინტესი, რაული
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, პურსანიდისი, ამპონსა (იანაკოპულოსი 61), ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი (ნინიადისი 76), პასალისი, ზაპოვიჩი, ანატოლაკისი, გოგიჩი
მსაჯი: მ. მორკი (გერმანია)

მადრიდელებმა პრიმერადივიზიონში ცუდი თამაში ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლით გაალამაზეს.

„იღბალი, რომელსაც შიგა და შიგ ჩვენთვის ზურგი უქცევია, დღეს ერთი გვწყალობდა. ალბათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასია ნესტელროისა და ცოტა მოვუშალეთ მიზანი. ეს „ერეალ" შემდგომ ეტაპზე" — განაცხადა მატჩის შემდეგ „სამეფო გუნდის" მწვრთნელმა ჯონ ტოშაკამ.

ტოშაკი ესპანეთის ნაკრების ფორვარდებს, რაულსა და ფერნანდო მორიენტესს უნდა უმადლოდეს, რომელთაც ზუსტად გაართვეს თავი ამოცანას, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც ერთს, ასევე მეორეს კიდევ შეეძლოთ გოლების გატანა.

„ოლიმპიაკოსის" მცველებს სანერვიულო საათნახევრის განმავლობაში არ მოკლებიათ. მაგალითად რაულს, გოლის გატანამდე, ორჯერ შეეძლო ბურთის კარში შეგდება, მაგრამ ეთხელ — მეექვსე წუთზე — მაგალითად, ძელს გაარტყა. აღსანიშნავია, რომ რაულმა ანგარიში მორიენტესის პასით გახსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბერძნებმა სიცოცხლის რაღაც ნიშანწყალი გამოამჟღავნეს, მაგრამ მორიენტესმა ახლა უკვე თავისი გოლით ყოველგვარი იმედი მოუკლა.

მადრიდელთა მესამე გოლი ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა გაიტანა. მას ასისტენტობა ჰოლანდიელმა თანაგუნდელმა, კლარენს ზეედორფმა გაუწია. სხვათა შორის, ტოშაკს ზოგიერთი ეპიზოდის ობიექტურად შესაფასებლად სავსებით ეყო ვაჟკაცობა, „ბერძნებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ იღბალმა ზურგი აქციათ. ჩემი თვალით დავინახე, როგორ ითამაშა საჯარიმოში რობერტო კარლოსმა ხელით. მსაჯს შეცდომა რომ არ დაეშვა, ჩვენს კარში პენალტი უნდა დანიშნულიყო, ბრაზილიელი კი უნდა გაეძევებინათ".

„ოლიმპიაკოსის" მწვრთნელმა დუშან ბაევიჩმა ამ ეპიზოდის კომენტარისგან თავი შეიკავა: „ყველამ ყველაფერი დაინახა".

ეს ყველა 9 ათასი მაყურებელი გახლდათ. ცნობისათვის: „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩვეულებრივ 70 ათასი დადის ხოლმე.

3 ნოემბერი. VI ტური. ოლიმპიაკოსი — პორტუ, მოლდე — რეალი

	E ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	პორტუ		2:1	2:0	3:1	9:5	12
2	რეალი	3:1		3:0	4:1	14:7	10
3	ოლიმპიაკოსი	3.XI	3:3		3:1	8:12	4
4	მოლდე	0:1	3.XI	3:2		6:13	3

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. F ჯგუფი

პსვ 2:1 ბაიერნი

1:0 ვან ნისტელროი (40), 1:1 სანტა კრუზი (51), 2:1 ნილისი (57)
პსვ: ვაბერეუსი, დირქსი, ფაბერი, ჰაინეკე, ადო, კოლკა (ივანი 88), ფოგელი, ვან ბომელი, სტინგა, ნილისი (ბრუგინკი 71), ვან ნისტელროი
ბაიერნი: ჯეკელსი, პანდერსონი, ლინდ, მთეუსი, ბაბელი (სალაჰამიჯიჩი 68), ლიზარაზუ, ეფენბერგი, იერმისი, ციკერი (იანკერი 74), პაულო სერგიო (სანტა კრუზი 26), ელბერი
მსაჯი: ჰ. დარკინი (ინგლისი)

ეინდჰოვენის გუნდმა მიუნხენის მრისხანე სახელის მქონე გუნდს 2:1 მოუგო და 16 უძლიერესს შორის მოხვედრის შესაძლებლობა ბოლო ტურამდე შეუვიწროვა. გამარჯვების მომტანი გოლები პსვ-ს შემტევმა წყვილმა, ჰოლანდიელმა რუუდ ვან ნისტელროიმ და ბელგიელმა ლუკ ნილისმა გაიტანეს.

„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი სულის უტეხობა გამოვავლინეთ და ბრძოლით გავიკაფეთ გზა" — თქვა ვან ნისტელროიმ — „გამარჯვებას ვიმსახურებდით".

პსვ-მ აშკარად უფრო ძლიერად დაიწყო, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგემ. სახიფათო მომენტები ჰქონდათ ვან ნისტელროისა და მოუქნაცავ ნახევარმცველს მარკ ვან ბომელს, მაგრამ მე-40 წუთამდე სტუმართა კარში გოლი არ გასულა.

ვან ნისტელროიმ ანგარში ასე გახსნა: მას ვან ბომელმა მიაწოდა პასი, მან ნილისს. ნილისმა გონივრული პაუზა გააკეთა და ბურთი ისევ ვან ნისტელროის დაუბრუნა...

მეორე ტაიმში „ბაიერნმა" გაქვითა: იენს იერემისმა შტეფან ეფენბერგი მოძებნა, ეფენბერგმა დაარტყა, მოგერიებულს კი პარაგვაელმა როკე სანტა კრუზმა ხუთიოდ მეტრიდან დაამატა და — 1:1.

შემდეგ ისევ პსვ გამოფხიზლდა, ბურთი ნილისმა იხელთა, პატრიკ ანდერსონს გაცდა და ძლიერად და ზუსტად დაარტყა.

„ჩვენს შორის ასეთი რამის შესრულება მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო. ეს ლუკია" — შეაქო თანაგუნდელი ვან ნისტელროიმ.

„ჩვენ ძალიან პასიურად ვითამაშეთ. პსვ გამარჯვებას იმსახურებდა... ნილისის ჩინებულმა დარტყმამ გაგვტეხა" — აღიარა „ბაიერნის" ბებერმა ვარსკვლავმა ლოთარ მათეუსმა.

ვინაიდან ჰოლანდიური და გერმანული გუნდების დაპირისპირება ჩხუბის გარეშე არ შეიძლება, გამონაკლისი არც ეინდოვენში გამართული თამაში ყოფილა.

რეინჯერსი 1:2 ვალენსია

0:1 მენდიეტა (35), 0:2 კლაუდიო ლოპესი (45), 1:2 მური (60)
რეინჯერსი: კლოსი, ბორინი, ლ. ამორუზო, მური, ვიდმარი (ალბერტაცი 61), ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მაკკინესი (კანელესკისი 37), მაკკენი, მოლსი, ფოლესი (ოლანსონი 75)
ვალენსია: ბალბი, კარბონი, ჰელეგრინი, ჯუკიჩი, ანგულო, კილი გონსალესი (ფარინოსი 67), ხერარდი, ალბელდა, მენდიეტა (სორია 81), კლაუდიო ლოპესი, ილიე (სანჩესი 61)
მსაჯი: გ. ბენკო (ავსტრია)

REUTERS ეინდჰოვენიდან

პსვ — ბაიერნი 2:1. ეინდჰოვენელმა იონას კოლკამ (№11) სტუმარ შტეფან ეფენბერგს გასაქანი არ მისცა

ექტორ კუპერს ემოციის დამალვა აღარ შეეძლო. მისმა „ვალენსიამ" გლაზგოში „რეინჯერს" 2:1 მოუგო და ლიგის 16 უძლიერესს შორის მოხვდა.

ესპანურმა გუნდმა დაადუმა „აიბროქს პარკის" გიჟმაჟი ფანობა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ „რეინჯერსი" გაიმარჯვებდა და შემდგომ ეტაპზე გასვლას თავად გაინაღდებდა.

„გასახდელში შესულს დამახვედრეს ცნობა, რომ „ბაიერნმა" წააგო, რამაც ჩვენ საქმე გაგვიკეთა. ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენი გუნდი ახლა აღმასვლას იწყებს და მომავლის ეროობ მეიმედება" — განაცხადა კუპერმა, რომელმაც ესპანურ პრიმერადივიზიონში ვერაფრით მოახერხა ფეხბურთელების ისევე დარაზმვა, როგორც ლიგაში.

„რეინჯერსმა" ბოლომდე იბრძოლა, მით უფრო მას: მერე, რაც მე-60 წუთზე კრეიგ მურმა სხვაობა შეამცირა, მაგრამ კუპერმა განაცხადა, რომ „ვალენსიას" მეორე ტაიმში ნაპერწკალი არ დაუკარგავს.

„უბრალოდ „რეინჯერსმა" შესვენების შემდეგ გაცილებით უკეთ ითამაშა და გაცილებით სახიფათოდ უტევდა" — თქვა მან.

პსვ-მ რომ „ბაიერნს" მოუგო, ამით პსვ-ს ყოფილმა მწვრთნელმა, დღეს „რეინჯერსის" თავკაცმა, დიკ ადვოკაატმაც შვებით ამოისუნთქა. ახლა მის გუნდს მიუნხენში, უშუალო დაპირისპირებისას მოუწევს გამსვლელ-დამრჩენის გარკვევა, თუმცა ადვოკაატი ხმამაღლა ასე მსჯელობს:

„შეჯიბრების დასაწყისში რომ გეთქვათ, შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ბოლო ტურში, მიუნხენში ფრე დაგჭირდებათ, გულწრფელად გავიხარებდი, მაგრამ დღეს გულნატკენი ვარ, რადგან შემდგომ ეტაპზე გასვლა შინ, „ვალენსიასთან" წარმატებით შეგვეძლო. ვიცი, „ბაიერნი" დღეს საუკეთესო ფორმაში არ არის, რაც გარკვეულ შანსს გვაძლევს, მაგრამ ამისთვის იქ მაქსიმუმის გაღება გვმართებს".

3 ნოემბერი. VI ტური. ბაიერნი — რეინჯერსი, ვალენსია — პსვ

	F ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ვალენსია		2:0	1:1	3.XI	7:4	9
2	რეინჯერსი	1:2		1:1	4:1	7:6	7
3	ბაიერნი	1:1	3.XI		2:1	6:6	6
4	პსვ	1:1	0:1	2:1		5:9	4

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. G ჯგუფი

სპარტაკი 1:1 ტილბურგი

1:0 ბეზროდნი (25), 1:1 სანუ (69)

სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, პარფიონოვი, ბარანოვი (ევსეევი 46), ბულატოვი (კეჩინოვი 58), ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო, ბეზროდნი

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, ჰილი, ჯენტილე, ვიქტორია, ვან ნიუსტადტი, შუკოვი (ჰერმესი 77), ლანდზაატი (ვალკი 83), შენინგი, სესაი, სანუ (შულპი 87)

გაძღვება: კოვტუნი (89)

მსაჯი: ლ. ბატისტა (პორტუგალია)

ძნელია ისეთი სპექტაკლის გახსენება, სადაც კედელზე თოფი ჰკიდია, მაგრამ რადგანაც ადამიანებს გამოთქმა მოუგონებიათ, თუ სპექტაკლში თოფი ჰკიდია, ბოლოს აუცილებლად გაისვრისო, ესე იგი ასეთი რამ ყოფილა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია აზრი გვესმის: თუ ჯგუფში „ტილბურგია“, ბოლოს აუცილებლად დააკარგვინებს ვინმეს ქულას. ეს ვინმე მოსკოვის „სპარტაკი“ გამოდგა, რომელსაც ეტყობა თეატრალურ საკითხებში განათლება აკლია და კანონზომიერებები კარგად არ იცის.

წვიმდა. „ლუჟნიკის“ მინდორზე მოსკოვური შემოდგომა ითითხნებოდა, ხოლო „სპარტაკს“ იმედი ჰქონდა, რომ ყველასგან ნაცემ ტილბურგელებს ერთხელაც აჭმევდა ალიყურს და შემდეგ ეტაპზე გასვლის ამბავს ბოლო ტურისთვის გადადებდა. ბოლო ტურში მოსკოველები პრაღაში, „სპარტას“ უნდა ეთამაშონ.

ახლა საქმე ისე მოტრიალდა, რომ „სპარტაკმა“ იმ პრაღაში 0:10 რომც წააგოს, აღარაფერი შეიცვლება, ისევე როგორც 10:0 მოგება ვერ გაუკეთებს ვერაფერს. ჩემპიონთა ლიგაში წლევანდელი მოღვაწეობა მისთვის დამთავრებულია. წინ უეფას თასი ელის.

აღსაწერად კი მატჩი დიდი ვერაფერი შვილი გამოდგა. იგი იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, ეს ხომ ნანახი მაქვსო, კაცი რომ იტყვის. პირველ ტაიმში სპარტაკელებმა ანგარიში გახსნეს, მორიგი გოლი რუსეთის 21 წლამდელთა ნაკრების წევრმა არტიომ ბეზროდნიმ გაიტანა, ხოლო მეორე ნახევარში ჰოლანდიელებმა გაქვითეს — ეს ოსმან სანუმ შეძლო.

კიდევ, თამაშის მიწურულს მსაჯმა მოედნიდან იური კოვტუნი გააძევა, რომლისთვისაც წითელი ფერი ყველა სხვაზე ნაცნობია — ლიგაში უკვე მეორედ ისჯება.

ბორდო 0:0 სპარტა

ბორდო: რამე, ჟემალი, საველიჩი, ბონისელი, მარტენსი (მიკუ 76), რუვიე, პავონი, დიაბატე (ბატლე 66), ალიკარტე, ლასლანდი, ვილტორდი (ზანატი 90)

სპარტა: პოსტულკა, ფუკალი, ი. ნოვოტნი, გაბრიელი, ჰორნაკი, ლაბანტი, ჰაშეკი, ბარანეკი (სვობოდა 89), როსიკი (იაროსიკი 90), სონკო, ლოკვენცი (ზიგლი 81)

მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

პრაღის „სპარტამ“ ბორდოში 0:0 ითამაშა და ლიგის 16 უძლიერესს შორის დაიმკვიდრა ადგილი. ამ შედეგმა ბორდოელები ცხრილში პირველ ადგილზე დატოვა. მოგეხსენებათ, მათ თავი ისედაც ქუდში ჰქონდათ და პრაღელებთან შეხვედრის ანგარიშს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

სხვათა შორის, „სპარტას“ კიდევ შეუძლია ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვება. ამისთვის მან ბოლო ტურში შინ „სპარტაკი“ უნდა დაამარცხოს, ხოლო „ბორდომ“ ტილბურგში უნდა წააგოს, მაგრამ პირველმეორეობას ამ შემთხვევაში აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა.

„ბორდოსა“ და „სპარტას“ შეხვედრაში, 30-ე წუთზე, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელ სილვენ ვილტორდს, რომელსაც ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ორი გოლი აქვს გატანილი, შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ჩეხთა მეკარემ ტომაშ პოსტულკამ ჩინებულად ითამაშა.

„სპარტამ“ მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთხელ სცადა კარში დარტყმა, მაგრამ ბარანეკის დარტყმული გოლკიპერმა ულრიხ რამემ მოიგერია.

3 ნოემბერი. VI ტური. სპარტა — სპარტაკი, ტილბურგი — ბორდო

	G ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ბორდო		0:0	2:1	3:2	7:4	11
2	სპარტა	0:0		3.XI	4:0	9:4	9
3	სპარტაკი	1:2	1:1		1:1	7:7	5
4	ტილბურგი	3.XI	3:4	1:3		7:15	1

სპარტაკი — ტილბურგი 1:1. ანდრეი ტიხონოვი (№11) ტილბურგელი დელანო ჰილის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. H ჯგუფი

მილანი 1:1 ჩელსი

1:0 ბირპოფი (74), 1:1 უაიზი (77)

მილანი: აბიატი, მალდინი, კოსტაკურტა, აიალა, ამბროზინი, გულიელმინპიეტრო, გატუზო, სერჟინიო (ორლანდინი 86), ლეონარდო (ბობანი 57), შევჩენკო, ბირპოფი

ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი, უაიზი, პოიეტი (დი მატეო 75), პეტრესკუ (მორისი 46), ფერერი, ფლო, ძოლა (ამბროზეტი 81)

მსაჯი: ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)

„ჩელსიმ“ „მილანთან ფრედ ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ტურში მილანელებმა სტამბოლში აუცილებლად უნდა დაამარცხონ „გალათასარაი“ და თან ილოცონ, რომ ლონდონში „ჰერტას“ სტუმრობა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდეს.

„დღევანდელი გადასახედიდან „ჰერტა“ და „ჩელსი“ ფავორიტები არიან. აქამდე ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთ იყო, ამიერიდან კი სხვებზეც ვართ დამოკიდებული“ — განაცხადა „მილანის“ მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

ერთ-ერთი სხვათაგანი, რომლისაც იტალიელებს ეიმედებათ, გახლავთ მათი გუნდის დიდებისდროინდელი მოთამაშე, დღეს კი „ჩელსის“ მცველი მარსელ დესაი, რომელსაც „სან სიროს“ ტრიბუნები სამშობლოს საღამოს დიდი ოვაციით შეხვდა.

„ხალხის რეაქციას რომ შევეგებე, სულში განსაკუთრებული სითბო და სიამოვნება ჩამეღვარა. ვერც წარმოვიდგენდი თუ, აქ ასეთი სიყვარულით მიმიღებდნენ. ახლა, მე და ჩემი თანაგუნდელები ყველა ღონეს ვიხმართ, რათა 3 ნოემბერს „ჰერტა“ დავამარცხოთ. იმედი მაქვს, რომ ამით „მილანს“ დავეხმარებით“ — თქვა დესაიმ.

მილანი — ჩელსი 1:1. ლონდონელი ტორე ანდრე ფლო (ბურთით) „მილანის“ დაცვას ხშირად აწიოკებდა

„ვამყობთ საკუთარი ფეხბურთით, მაგრამ ჯერ არაფერი დამთავრებულა. ჩემმა ბიჭებმა დიდი შემართება გამოავლინეს, გოლის გაშვებიდან სამ წუთში გათანაბრება ადვილი საქმე არ გახლავთ“ — გაიხარა „ჩელსის“ თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ.

„ჩვენ ალბერტინი და ჯუნტი გვაკლდა. ამიტომაც გვაჯობა მოწინააღმდეგემ მოედნის ცენტრში“ — დასძინა ძაკერონიმ.

ჰერტა 1:4 გალათასარაი

1:0 რეკდალი (35ა), 1:1, 1:2 ჰაქან შუქური (48, 66), 1:3 თუგაი (81), 1:4 ოქანი (90)

ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, სვერისონი, ვოში, რეკდალი, პრეეტეი (არაჩიჩი 75), მიხალკე, დაისლერი, ჰელმერი (ჰ.ჰერცოგი 14), შმიდტი, დაეი

გალათასარაი: ტაფარელი, ჯიკა პოპესკუ, აბმეთი, ოქანი, ბელოზოღლუ, სუათი, არიფი (ერმა 86), ჰაქან შუქური, ჰასან სასი (თუგაი 71), აკიელი (ერგუნი 46), კაპონე

მსაჯი: კ. ნილსენი (დანია)

თურქთა თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია: შინ „ჩელსისთან“ 0:5 დამარცხების შემდეგ „გალათასარაიმ“ ბერლინში „ჰერტას“ 4:1 მოუგო.

„ჩვენ დავუშვით ისეთი შეცდომები, რომელთაც ლიგის წინა შეხვედრებში თავი დავაღწიეთ. ამჯერად ამ შეცდომათა გამო დავისაჯეთ“ — განაცხადა „ჰერტას“ მთავარმა მწვრთნელმა იურგენ რიობერმა — „მართალია, ამ თამაშის წინ ფავორიტებად მიგვიჩნევდნენ, მაგრამ ვიცოდით, რომ „გალათასარაისთან“ უძნელესი მატჩი გველოდა, მით უფრო იმიტომ, რომ სტამბოლელებმა წინა შეხვედრაში, „ჩელსისთან“ 0:5 წააგეს“.

„ის, რომ 4:1 მოვიგეთ, ცალსახად მიგვანიშნებს ერთ რამეზე: ჩვენ შანსის გამოყენება ვიცით. ძალიან ძნელი თამაში გადაგვხდა, რომელშიც გამარჯვებას ვიმსახურებდით“ — ეს თურქული გუნდის მწვრთნელის, ფათიჰ თერიმის სიტყვები გახლავთ.

3 ნოემბერი. VI ტური. ჩელსი — ჰერტა, გალათასარაი — მილანი

	H ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ჰერტა		2:1	1:0	1:4	7:8	8
2	ჩელსი	3.XI		0:0	1:0	8:3	8
3	მილანი	1:1	1:1		2:1	4:4	6
4	გალათასარაი	2:2	0:5	3.XI		7:11	4

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„პროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
კიოლნი	9	6	2	1	17:7	20	4	1	0	12:2	2	1	1	5:5
კოტბუსი	9	6	0	3	18:8	18	4	0	1	10:4	2	0	2	8:4
ბერლინი	9	5	3	1	19:11	18	3	1	0	7:2	2	2	1	12:9
ალემანია	9	5	2	2	18:17	17	3	2	0	12:6	2	0	2	6:11
ქემნიცი	9	5	1	3	14:11	16	3	1	0	8:2	2	0	3	6:9
ფიურტი	9	4	4	1	9:6	16	2	3	0	3:0	2	1	1	6:6
ნიურნბერგი	9	5	1	3	15:13	16	4	0	0	10:4	1	1	3	5:9
ჰანოვერი	9	4	1	4	15:12	13	2	1	1	9:6	2	0	3	6:6
მაინცი	9	3	4	2	13:13	13	2	2	0	7:4	1	2	2	6:9
კიკერსი	9	3	3	3	10:14	12	3	2	0	8:4	0	1	3	2:10
გლადბახი	9	3	1	5	12:15	10	2	0	2	8:6	1	1	3	4:9
ფორტუნა	9	3	1	5	10:15	10	3	0	1	7:4	0	1	4	3:11
კარლსრუე	9	2	3	4	16:17	9	1	1	3	7:8	1	2	1	9:9
ვალდჰოფი	9	2	3	4	11:14	9	2	1	1	8:4	0	2	3	3:10
ბოხუმი	9	2	2	5	15:19	8	1	0	4	12:15	1	2	1	3:4
ობერჰაუზენი	9	2	2	5	10:15	8	2	1	2	8:9	0	1	3	2:6
ზტ. პაული	9	1	4	4	7:12	7	0	4	1	3:5	1	0	3	4:7
ოფენბახი	9	0	3	6	5:15	3	0	0	4	2:8	0	3	2	3:7

ინგლისი. პირველი დივიზიონი

სიტი	13	8	2	3	18:7	26	5	0	1	13:3	3	2	2	5:4
ჩარლტონი	12	8	2	2	23:13	26	6	1	0	14:4	2	1	2	9:9
ფულემი	13	6	6	1	16:8	24	4	1	1	7:2	2	5	0	9:6
იფსვიჩი	12	7	2	3	26:16	23	5	0	2	17:10	2	2	1	9:6
ჰადერსფილდი	14	6	4	4	25:18	22	5	2	0	20:8	1	2	4	5:10
ბირმინგემი	14	6	4	4	22:15	22	4	2	1	16:7	2	2	3	6:8
ბარნსლი	14	7	1	6	27:25	22	5	0	2	19:8	2	1	4	8:17
სტოკპორტი	14	6	4	4	16:18	22	4	2	0	10:5	2	2	4	6:13
ვულვზი	14	5	6	3	14:14	21	2	3	2	7:7	3	3	1	7:7
ქუინზ პარკი	12	5	4	3	16:12	19	3	3	0	9:5	2	1	3	7:7
ნორვიჩი	14	5	4	5	14:14	19	4	0	3	8:7	2	4	3	9:10
გრიმსბი	14	5	4	5	15:18	19	4	2	1	7:4	1	2	4	8:14
ნოტინგემი	13	4	5	4	19:15	17	3	3	0	12:5	1	2	4	7:10
ვესტ ბრომვიჩი	13	3	8	2	12:10	17	1	5	2	6:7	2	3	0	6:3
ბოლტონი	13	4	4	5	19:17	16	3	3	1	13:11	1	1	4	6:6
პორტსმუთი	13	4	4	5	16:20	16	3	2	2	11:6	1	2	3	5:14
შეფილდ იუნ.	14	4	4	6	18:24	16	3	3	1	12:7	1	1	5	6:17
ბლეკბერნი	12	3	5	4	14:13	14	2	2	1	6:3	1	3	3	8:10
კრ. პალასი	13	3	4	6	18:24	13	2	3	2	12:8	1	1	4	6:16
ქრიუ	13	3	4	6	15:22	13	2	2	2	5:6	1	2	4	10:16
ტრანმერი	15	3	4	8	18:27	13	2	3	2	10:12	1	1	6	8:15
სუინდონი	15	3	4	8	12:23	13	2	3	3	9:15	1	1	5	3:8
უოლსოლი	15	3	4	8	12:25	13	1	3	4	6:11	2	1	4	6:14
პორტვეილი	15	3	3	9	17:24	12	3	0	4	7:8	0	3	5	10:16

ინგლისი. მეორე დივიზიონი

ნოტსი	14	9	2	3	22:12	29	4	1	2	8:5	5	1	1	14:7
უიგანი	13	7	6	0	25:11	27	5	1	0	12:3	2	5	0	13:8
სტოკი	14	8	3	3	23:14	27	4	2	1	11:6	4	1	2	12:8
როვერსი	14	8	3	3	17:10	27	4	2	1	9:5	4	1	2	8:5
ბარნლი	14	7	5	2	17:9	26	5	1	1	13:6	2	4	1	4:3
პრესტონი	14	7	5	2	19:15	26	4	1	2	8:9	3	4	0	11:6
ბრენტფორდი	15	6	7	2	21:13	25	5	2	1	13:5	1	5	1	8:8
ლუთონი	14	7	3	4	20:15	24	5	2	0	16:8	2	1	4	4:7
ჯილინგემი	14	6	4	4	23:19	22	4	1	2	13:8	2	3	2	10:11
ბერი	13	5	5	3	25:18	20	4	2	1	17:12	1	3	2	8:6
უიკომბი	14	5	5	4	18:17	20	3	2	2	11:9	2	3	2	7:8
ბორნმუთი	13	5	4	4	18:15	19	4	2	1	12:5	1	2	3	6:10
მილუოლი	12	4	5	3	15:16	17	2	3	1	8:8	2	2	2	7:8
სკანთორპი	14	4	4	6	11:17	16	2	2	3	6:7	2	2	3	5:10
რექსჰემი	14	4	4	6	16:24	16	3	2	2	10:9	1	2	4	7:15
ბრისტოლი	13	3	5	5	14:16	14	2	5	0	10:5	1	0	5	4:11
კარდიფი	14	2	6	6	15:21	12	1	5	1	7:7	1	1	5	8:14
ჩესტერფილდი	13	2	5	6	10:13	11	1	2	3	5:7	1	3	3	5:6
ოლდემი	13	3	2	8	13:18	11	2	0	4	6:7	1	2	4	7:11
ოქსფორდი	14	3	2	9	13:20	11	2	1	4	8:9	1	1	5	5:11
რედინგი	12	3	2	7	17:25	11	2	2	2	7:8	1	0	5	10:17
კემბრიჯი	14	2	4	8	21:26	10	2	3	2	14:12	0	1	6	7:14
ბლეკპული	14	2	4	8	14:27	10	1	3	3	6:12	1	1	5	8:15
კოლჩესტერი	13	2	3	8	14:31	9	2	2	2	8:12	1	1	5	6:19

რუსეთი

სპარტაკი	29	21	6	2	72:24	69	11	2	1	36:9	10	4	1	36:15
ლოკომოტივი	28	19	5	4	59:29	62	10	2	2	30:13	9	3	2	29:16
ცსკა	28	14	9	5	51:27	51	10	3	1	34:12	4	6	4	17:15
ტორპედო	28	13	10	5	37:30	49	7	4	3	22:16	6	6	2	15:14
ალანია	28	12	6	10	52:40	42	9	3	3	39:18	3	3	7	13:22
დინამო	28	11	8	9	41:36	41	6	5	3	21:13	5	3	6	20:23
როსტსელმაში	28	10	8	10	30:33	38	7	4	3	20:16	3	4	7	10:17
ზენიტი	28	9	10	9	34:32	37	7	5	2	19:11	2	5	7	15:21
ურალანი	28	10	5	13	27:33	35	8	3	3	20:9	2	2	10	7:24
კრილია	29	8	6	15	38:48	30	6	2	6	23:19	2	4	9	15:29
სატურნი	28	7	9	12	27:37	30	6	5	3	21:14	1	4	9	6:23
ნ. ნოვგოროდი	28	8	5	15	29:45	29	4	4	6	14:17	3	2	9	15:29
როტორი	28	6	10	12	34:49	28	4	5	5	22:21	2	5	7	12:28
ჩერნომორეცი	28	7	7	14	27:45	28	6	5	3	16:13	1	2	11	11:32
ქემჩუჟინა	28	5	10	13	27:52	25	5	5	4	19:22	0	5	9	8:30
შინიკი	28	4	8	16	19:44	20	4	5	5	12:14	0	4	10	8:30

ინგლისი. მესამე დივიზიონი

ბარნეტი	15	9	4	2	22:13	31	4	2	1	14:9	5	2	1	8:4
როტერჰემი	14	8	2	4	25:10	26	6	0	1	17:1	2	2	3	8:9
ტორკი	14	8	2	4	19:15	26	3	2	2	10:7	5	0	2	9:8
პეტერბრო	14	8	2	4	18:14	26	6	1	0	12:5	2	1	4	6:9
დარლინგტონი	14	7	4	3	15:9	25	5	2	0	11:2	2	2	3	4:7
ჰალიფაქსი	14	7	2	5	18:14	23	4	0	3	11:8	3	2	2	7:6
ბრაიტონი	14	6	4	4	21:12	22	4	0	3	13:5	2	4	1	8:7
ლინკოლნი	14	6	4	4	20:17	22	4	2	1	9:4	2	2	3	11:13
ექსეტერი	14	6	4	4	18:15	22	4	2	1	9:8	2	2	3	9:7
როჩდეილი	14	6	3	5	11:6	21	1	3	3	2:4	5	0	2	9:2
საუთენდი	14	6	3	5	20:19	21	4	2	1	13:8	2	1	4	7:11
სუონსი	13	6	2	5	12:10	20	4	0	2	8:4	2	2	3	4:6
ნორთჰემპტონი	14	6	2	6	11:10	20	3	1	3	6:4	3	1	3	5:6
მაკლსფილდი	14	6	2	6	17:18	20	2	1	4	6:9	4	1	2	11:9
ჰარტლპული	14	6	1	7	18:16	19	4	0	3	9:5	2	1	4	9:11
პლიმუთი	13	4	5	4	17:17	17	3	4	0	13:6	1	1	4	4:11
იორკი	14	4	5	5	14:18	17	2	3	2	6:8	2	2	3	8:10
მენსფილდი	14	4	4	6	15:18	16	2	3	2	11:7	2	1	4	4:11
კარლაისლი	14	3	5	6	15:24	14	3	2	2	9:9	0	3	4	6:15
ჰალი	14	3	4	7	10:16	13	2	2	3	8:8	1	2	4	2:8
ჩელტენემი	13	4	1	8	7:13	13	2	1	4	4:8	2	0	4	3:5
შრიუსბერი	14	3	3	8	12:23	12	1	2	4	7:10	2	1	4	5:13
ლეიტონი	14	2	3	9	12:24	9	2	1	4	7:10	0	2	5	5:14
ჩესტერი	14	2	3	9	15:31	9	1	1	5	5:13	1	2	4	10:18

იტალია. სერია B

ატალანტა	8	6	1	1	15:7	19	4	0	0	10:4	2	1	1	5:3
ბრეშა	8	5	3	0	13:3	18	3	1	0	10:2	2	2	0	3:1
სამპდორია	8	4	3	1	9:6	15	2	2	0	5:3	2	1	1	4:3
ვიჩენცა	8	4	1	3	15:7	13	3	1	0	12:2	1	0	3	3:5
პესკარა	8	3	4	1	13:11	13	2	2	0	9:6	1	2	1	4:5
ნაპოლი	8	3	3	2	12:11	12	3	1	0	10:4	0	2	2	2:7
ტერნანა	8	3	3	2	8:10	12	2	2	0	5:3	1	1	2	3:7
ტრევზო	8	3	2	3	15:11	11	3	0	1	10:4	0	2	2	5:7
ალბანო	8	3	2	3	10:11	11	3	0	1	7:5	0	2	2	3:6
რავენა	8	2	4	2	10:8	10	2	1	1	7:4	0	3	1	3:4
ემპოლი	8	3	1	4	5:12	10	3	1	0	5:2	0	0	4	0:10
კიევო	8	3	0	5	11:12	9	3	0	1	6:3	0	0	4	5:9
კოზენცა	8	2	3	3	7:9	9	2	0	2	4:4	0	3	1	3:5
სავოია	8	2	3	3	9:13	9	2	2	0	5:3	0	1	3	4:10
ჯენოა	8	2	2	4	8:7	8	2	1	1	7:3	0	1	3	1:4
ჩეზენა	8	1	5	2	7:8	8	1	3	0	2:1	0	2	2	5:7
მონცა	8	1	4	3	7:10	7	1	3	0	3:2	0	1	3	4:8
პისტოიეზე	8	3	1	4	7:10	6	3	0	1	6:3	0	1	3	1:7
სალერნიტანა	8	1	3	4	9:16	6	1	3	0	5:3	0	0	4	4:13
ფერმანა	8	1	2	5	7:15	5	1	2	1	4:4	0	0	4	3:11

იტალია. სერია C1/a

სპალ	8	5	2	1	11:5	17	2	2	0	4:1	3	0	1	7:4
ჩიტადელა	8	4	4	0	11:6	16	2	2	0	7:4	2	2	0	4:2
სიენა	8	4	2	2	8:6	14	2	0	2	3:3	2	2	0	5:3
კარარეზე	8	3	3	2	9:7	12	1	3	0	5:3	2	0	2	4:4
პიზა	8	3	3	2	6:5	12	2	1	1	5:4	1	2	1	1:1
ბრეშელო	8	3	2	3	10:9	11	1	1	1	4:4	2	1	2	6:5
ლეკო	8	2	5	1	6:5	11	1	2	1	3:3	1	3	0	3:2
რეჯანა	8	3	1	4	7:6	10	2	0	3	4:5	1	1	1	3:1
ლუმეცანე	8	2	4	2	7:6	10	1	2	1	3:2	1	2	1	4:4
კრემონეზე	8	2	4	2	7:7	10	1	2	1	4:4	1	2	1	3:3
ალბინოლეფე	8	2	4	2	8:9	10	1	2	1	4:4	1	2	1	4:5
ლივორნო	8	2	3	3	8:10	9	1	1	2	4:5	1	2	1	4:5
ლუკეზე	8	2	3	3	9:13	9	2	1	1	5:5	0	2	2	4:8
მოდენა	8	2	2	4	8:9	8	0	2	2	2:4	2	0	2	6:5
კომო	8	1	5	2	6:8	8	0	4	1	2:5	1	3	1	4:3
ვარეზე	8	0	7	1	7:8	7	0	3	1	3:4	0	4	0	4:4
მონტევარკი	8	0	5	3	5:8	5	0	3	1	3:4	0	2	2	2:4
სანდონა	8	0	5	3	2:8	5	0	2	2	1:5	0	3	1	1:3

იტალია. სერია C1/b

ანკონა	8	6	0	2	12:4	18	4	0	0	9:2	2	0	2	3:2
კროტონე	8	4	4	0	17:8	16	3	1	0	11:3	2	2	0	6:4
კატანია	8	4	3	1	11:5	15	2	2	0	5:1	2	0	2	5:4
ასკოლი	8	4	2	2	18:6	14	3	0	1	12:1	1	2	1	6:5
პალერმო	8	3	4	1	6:3	13	1	3	0	4:2	2	1	1	2:1
სტაბია	8	2	5	1	10:6	11	1	2	1	7:4	1	3	0	3:2
ბენევენტო	8	3	2	3	4:10	11	3	0	1	3:2	0	2	2	1:8
არეცო	8	2	4	2	10:8	10	2	2	0	6:3	1	1	2	4:4
ნოჩერინა	8	2	4	2	7:8	10	2	1	0	3:1	0	3	2	4:7
ვიტერბეზე	8	3	1	4	12:14	10	2	1	1	7:5	1	0	3	5:9
დი სანგრო	8	2	4	2	8:11	10	1	2	1	4:5	1	2	1	4:6
გუალდო	8	2	3	3	8:11	9	2	2	0	6:4	0	1	3	2:7
ლოდიჯანი	8	2	3	3	8:12	9	2	1	1	4:4	0	2	2	4:8
აველინო	8	2	2	4	7:11	8	2	1	2	6:5	0	0	3	0:6
ჯულიანოვა	8	2	2	4	4:8	8	2	0	2	3:4	0	2	2	1:4
ფ. ანდრია	8	1	4	3	5:8	7	1	3	0	3:2	0	1	3	2:6
ატლეტიკო	8	1	3	4	5:7	6	1	1	2	3:3	0	2	2	2:4
მარსალა	8	1	2	5	4:16	5	1	2	1	3:4	0	0	4	1:12

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
სალამანკა	11	7	3	1	16:8	24	4	1	1	10:5	3	2	0	6:3
ესტრემადურა	11	7	3	1	14:8	24	5	1	0	9:2	2	2	1	5:6
ლას პალმასი	11	7	1	3	22:10	22	4	0	1	14:4	3	1	2	8:6
ლევანტე	11	5	4	2	19:15	19	5	1	0	12:3	0	3	2	7:12
ალბასეტე	11	5	3	3	11:10	18	2	2	2	5:6	3	1	1	6:4
ეიბარი	11	4	5	2	17:12	17	2	3	1	8:6	2	2	1	9:6
ბადახოსი	11	3	8	0	11:8	17	2	4	0	8:6	1	4	0	3:2
ოსასუნა	11	5	1	5	13:12	16	4	1	0	10:3	1	0	5	3:9
სპორტინგი	11	5	1	5	15:16	16	2	0	3	5:7	3	1	2	10:9
ტენერიფე	11	4	3	4	15:14	15	2	2	1	7:5	2	1	3	8:9
ელჩე	11	3	5	3	14:13	14	2	3	1	8:7	1	2	2	6:6
მერიდა	11	3	5	3	10:9	14	1	3	1	5:4	2	2	2	5:5
ლეიდა	11	4	2	5	15:15	14	2	2	2	8:6	2	0	3	7:9
კომპოსტელა	11	4	2	5	14:15	14	2	1	2	5:4	2	1	3	9:11
კორდობა	11	3	4	4	11:10	13	2	0	3	6:6	1	4	1	5:4
ვილიარეალი	11	3	4	4	13:14	13	1	3	2	6:8	2	1	2	7:6
ლოგრონიესი	11	2	6	3	17:17	12	2	3	1	13:11	0	3	2	4:6
უელვა	11	3	3	5	9:14	12	1	2	2	4:5	2	1	3	5:9
ხეტაფე	11	2	4	5	8:13	10	2	2	2	6:7	0	2	3	2:6
ატლეტიკო B	11	2	3	6	10:17	9	1	1	3	6:9	1	2	3	4:8
ტოლედო	11	1	3	7	6:17	6	0	1	4	1:9	1	2	3	5:8
ლეგანესი	11	0	5	6	7:20	5	0	3	2	3:5	0	2	4	4:15

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	5	5	0	0	17:1	15	2	0	0	8:1	3	0	0	9:0
პანათინაიკოსი	5	4	1	0	12:3	13	2	1	0	8:1	2	0	0	4:2
არისი	5	3	2	0	11:4	11	2	0	0	7:1	1	2	0	4:3
აეკ	5	3	1	1	12:9	10	1	0	1	4:4	2	1	0	8:5
ოფი	5	3	1	1	11:8	10	2	0	0	6:4	1	1	1	5:4
ირაკლისი	5	3	0	2	11:8	9	3	0	0	8:2	0	0	2	3:6
პაოკ	5	2	2	1	12:10	8	2	1	0	10:6	0	1	1	2:4
პანილიაკოსი	5	2	2	1	5:3	8	1	0	1	2:1	1	2	0	3:2
იონიკოსი	5	2	2	1	4:3	8	2	0	0	3:0	0	2	1	1:3
ქსანტი	5	1	3	1	2:2	6	1	1	0	1:0	0	2	1	1:2
ეთნიკოსი	5	2	0	3	5:8	6	1	0	2	3:5	1	0	1	2:3
პანაჰაიკი	5	1	2	2	5:6	5	1	1	0	4:2	0	1	2	1:4
კავალა	5	1	1	3	3:9	4	1	1	1	3:6	0	0	2	0:3
კალამატა	5	0	3	2	3:10	3	0	3	0	1:1	0	0	2	2:9
პანიონიოსი	5	1	0	4	5:16	3	1	0	2	4:6	0	0	2	1:10
აპოლონი	5	0	2	3	3:6	2	0	2	1	3:4	0	0	2	0:2
პრუდეფტიკი	5	0	1	4	3:10	1	0	1	2	0:4	0	0	2	3:6
ტრიკალა	5	0	1	4	4:12	1	0	1	1	2:3	0	0	3	2:9

უკრაინა

დინამო	10	9	1	0	22:6	28	6	0	0	15:2	3	1	0	7:4
კრივბასი	11	8	3	0	23:9	27	5	2	0	12:4	3	1	0	11:5
ვორსკლა	12	7	2	3	26:14	23	6	0	1	21:5	1	2	2	5:9
შახტარი	11	7	1	3	17:5	22	5	1	0	12:1	2	0	3	5:4
ზაპოროჟიე	12	6	3	3	17:12	21	4	1	1	12:8	2	2	2	5:4
მეტალისტი	12	6	2	4	14:13	20	4	1	0	7:2	2	1	4	7:11
მეტალურგი	13	5	4	4	17:14	19	4	1	1	13:6	1	3	3	4:8
კარპატი	12	6	0	6	20:16	18	5	0	0	14:0	1	0	6	6:16
მარიუპოლი	13	5	1	7	22:20	16

მსოფლიოს თასი

ლარკჰემი დებბეერს:
მოდი, დავვარტყათ!

სეჯრონის დასწყისში დაშავებული ავსტრალიელი დამრტყმელი სტეფან ლარკჰემი თანდათანობით იბრუნებს ჩვეულ ფორმას. შაბათს თვიქნეში გასამართ ნახევარფინალში სამხრეთ აფრიკასთან ის უეჭველად იქნება ძირითად შემადგენლობაში. ლარკჰემის არყოფნაში მის ადგილზე ჩვეულებრივ ცენტრში მოთამაშე ტიმ ჰორანი და დებიუტანტი როდ კაფერი გამოსცადეს „ვოლაბების“ ხელმძღვანელებმა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს. ავსტრალიას მთავარი დამრტყმელის ბრწყინვალე დარტყმები, მეტოქის დაცვის გარღვევები, ფეხით შესრულებული შშვენიერი პასები ძლიერ აკლდა.

AFP ლონდონი

სტეფან ლარკჰემი

25 წლის ლარკჰემი „ვოლაბებს“ 10 ოქტომბერს, მსოფლიოს თასის მეორე ტურში, ირლანდიასთან მატჩში დაუბრუნდა. თავიდან თითქოს ვერ აღიდგინა ადრინდელი ფორმა, თავადაც შიშობდა და ორჭოფობდა. მეოთხედფინალში უელსის წინააღმდეგ ლარკჰემს ისეთი გრძნობა დაუფლებია, თითქოს დებიუტანტი იყო. „ძალიან ვნერვიულობდი, რადგან იმ მატჩს მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი შეცდომის დაშვებაც კი არ მინდოდა. მთელი ტაიმი დამჭირდა საიმისოდ, რომ დავშშვიდებულიყავი, აუღელვებლად მეთამაშა“ — იხსენებს ლარკჰემი. მან შესვენებამდე თავისი თამაში ათქულიანი სისტემით სამიანზე შეფასა, რადგან ორი დარტყმა გააცუდა. მეორე ტაიმში თავის თავს შვიდიანი დაუწერა.

„სულ უფრო და უფრო კარგად თამაშობს“ — ამბობს სტეფანზე ავსტრალიელთა მწვრთნელი როდ მაკქუინი.

ისე, უელსთან მეორე ორმოცწუთიანი ლარკჰემმა მართლაც ძალიან ძლიერად ჩაატარა. „ვოლაბების“ მეორე ლელო კი მის მიერ ფეხით ბრწყინვალედ შესრულებული პასის შემდეგ გაიტანა ფრთა ბენ ტიუნმა. 1996 წლიდან ავსტრალიის ნაკრების წევრი ლარკჰემი აღიარებს, რომ კარდიფულ მეოთხედფინალში ძალიან გაიხარა: „ბევრი ჩვენგანისთვის ეს კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო. თუ წავაგებდით, მსოფლიოს თასს დავემშვიდობებოდით. ძალიან გაგვიჭირდა. როგორი ასატანია, ასეთი დონის შეხვედრაში მთელი სტადიონი მოწინააღმდეგეს რომ ქომაგობს. საბედნიეროდ, შაბათს სამხრეთ აფრიკას ნეიტრალურ მოედანზე ვხვდებით“.

შაბათის მატჩში ლარკჰემის პირადი მეტოქე ერთ მატჩში არეკვების გატანის ახალი რეკორდსმენი, ჯანი დე ბეერი იქნება. ამ ორი დამრტყმელის დაპირისპირებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ფინალისტის ვინაობის გარკვევა.

„დე ბეერი ინგლისთან დაცვაშიც და თავდასხმაშიც ძალიან კარგად გაისარჯა. ფეხითაც ბრწყინვალედ ითამაშა. ძალიან მინდა, მას ვაჯობო და ავსტრალიამ გაიმარჯვოს“ — „ვოლაბების“ დამრტყმელი მეტად მონდომებული ჩანდა.

ალბათ, იგივე სურს „ქურციკების“ მეათე ნომერსაც.

ათასიდან ერთი შანსი

შავების დასამარცხებლად მამლები ვარსკვლავებს შეეთამაშებიან

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს თასის ნახევარფინალში გააღწია. მისმა მენეჯერმა ჟო მაზომ კი იმდენი ინერვიულა, ჭამის მადა დაკარგა და ხუთი კილოც დაიკლო. მიუხედავად ამისა, ჟო მაზო მაინც მშვენიერ ხასიათზეა — მისმა გუნდმა ხომ პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. ფრანგულ გაზეთ „ლე პარიზიენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „მამლების“ მენეჯერი უკვე ჩატარებულ მატჩებზე და ახალზელანდიელებთან მომავალ დაპირისპირებაზე საუბრობს

სარბიელის არქივიდან

მადადკარგული ჟო მაზო

— მსოფლიოს თასის ნახევარზე მეტმა გაიარა. როგორ ფიქრობთ, აქამდე საფრანგეთის ნაკრებისთვის ყველაზე დიდი სირთულე რა იყო?

— ბევრი პრობლემა გვქონდა, მაგრამ უსაშველოდ არ გაგვჭირვებია. ნაკრების ხელმძღვანელობას რამდენჯერმე ხმის აწევა და ყვირილიც კი მოგვიხდა. მე ფიჯისთან „მერვედფინალის“ მეორე დღეს მოვთოკე ნერვები. „მერვედფინალს“ მიმიტომ ვამბობ, რომ მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გავდიოდით, თუ არა და, ინგლისს უნდა შევხვედროდით სტუმრად! მართალია, ნაკრებში ბევრი ნიჭიერი მორაგბეა, მაგრამ მათ ერთად თამაში უნდა ისწავლონ, თავი გუნდად უნდა იგრძნონ. ამიტომ უფრო მეტი უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, თორემ ფიჯისთან თამაში რას ჰგავდა? თუმცა არც არგენტინასთან მოგვიწყვეტია ციდან ვარსკვლავები. „პუმებთან“ დასაწყისში და მატჩის ბოლოს ჩინებულად ვითამაშეთ, მაგრამ შუაში ჩავარდნა გვქონდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩვენი უკანახაზელების გარჯით.

— არგენტინასთან „მამლების“ უკანა ხაზის თამაშში ბევრი სიახლე იყო და მორაგბეებმაც ნამდვილად კარგად გაართვეს საქმეს თავი. აქამდე რატომ არ სცადეთ იგივე გეკეთებინა?

— დიდხანს ვეძებდით ოპტიმალურ ვარიანტს. ბევრი მორაგბე გამოვცადეთ და ამას არც ვნანობთ. თითოეული მათგანი ნამდვილად იმსახურებდა იმას, რომ მათთვის შანსი მიგვეცა. თანაც, თამაშებს ყველანაირი შემადგენლობით ვიგებდით. ქამელეონივით ნაკრები გვყავს. შემადგენლობის შედგენის უამრავი ვარიანტი გვაქვს.

— ნახევარფინალში გახვედით, თუმცა, ალბათ, ისიც უნდა აღიაროთ, რომ ძალიან იოლად გასავლელი გზა გქონდათ. არც სამხრეთელი ბობოლებიდან (ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა) შეგხვედრიათ ვინმე და არც ევროპელებიდან (ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ირლანდია). ერთი სიტყვით, ძალიან გაგიმართლათ.

— კი, გაგვიმართლა, მაგრამ ჩვენი ბრალი ხომ არაა მეტოქეები შედარებით სუსტები რომ შეგვხვდნენ. ერთიცაა, ჩვენც ხომ სულ უფრო და უფრო უკეთ ვთამაშობთ? შეხედეთ ინგლისელებს. მათ „თავიანთი ფინალი“ ტურნირის დასაწყისშივე ითამაშეს ახალ ზელანდიასთან, წააგეს და მას მერე თამაშს სულ აუარესებდნენ. ჩვენ კი ასე არ მოგვივიდა. რამდენჯერმე საფრანგეთის ნაკრებმა თვითონ ჩაიგდო თავი საფრთხეში, მაგრამ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ უნდოდა, ძალიან კარგად და ლამაზად ეთამაშა. როგორც ვთქვი, ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ თამაშს და კვირას ახალ ზელანდიასთან ნამდვილად არ შევრცხვებით, როგორც ეს ზაფხულში დაგვემართა (26 ივნისს ველინგტონში ახალმა ზელანდიამ 54:7 გაანადგურა საფრანგეთი). თანაც, ახლა საფრანგეთის ნაკრები ფსიქოლოგიურად თავისუფალია. არგენტინასთან მოგების შემდეგ სასტუმროში პატარა ზეიმი მოვაწყვეთ, ბიჭები მღეროდნენ, მხიარულობდნენ... მეოთხედფინალმა ისინი გააერთიანა, ნახევარფინალმა უნდა აღაზევოს. „ოლ ბლექსის“ წინააღმდეგ გამარჯვების ათასიდან ერთი შანსი თუ გვაქვს, თუმცა, მის გამოსაყენებლად ყველაფერს გავიღებთ. ახალზელანდიელთა დასამარცხებლად ვარსკვლავებს უნდა შევეთამაშოთ. ვისაც არ სჯერა, ნახევარფინალში ჩვენი გამოსვლით გაოცდება. გაოცდება, რადგან ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს და ბიჭები თავს არ დაზოგავენ!

თარგმნა ბაბი გურულმა

ნახევარფინალი უმერთენსოდ?

AFP ლონდონი

ენდრიუ მერთენსის სავარაუდო შემცვლელი ტონი ბრაუნი

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ახალი ზელანდიის დამრტყმელმა ენდრიუ მერთენსმა შოტლანდიასთან მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში ტრავმა მიიღო, მუხლი ეტკინა, მაგრამ კვირას საფრანგეთთან ნახევარფინალში მაინც ითამაშებსო, იმედოვნებდნენ ახალზელანდიელები. გუშინ საღამოს კი მერთენსის ამ მატჩში მონაწილეობა საეჭვო გახდა.

ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში მას მუხლის სკანირება გაუკეთეს. აღმოჩნდა, რომ „ოლ ბლექსის“ ლიდერს მუხლში სითხე ჩასდგომია და ჰემატომაც წარმოქმნილა.

„რა თქმა უნდა, უარესი ტრავმაც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არც ესაა კარგი. თუ მერთენსის მდგომარეობა არ გამოსწორდა, იგი კვირის შეხვედრას გამოტოვებს. მისი ჯანმრთელობის საზიანოდ არანაირ რისკზე არ წავალთ. ის მხოლოდ მაშინ ითამაშებს, თუ ექიმები უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემენ“ — თქვა „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ ჰარტმა.

26 წლის ენდრიუ მერთენსმა შოტლანდიასთან პირველი ტაიმის ბოლოს დატოვა მინდორი. იგი „ოტაგო ჰაილანდერსის“ დამრტყმელმა ტონი ბრაუნმა შეცვალა. 37 სანაკრებო თამაშში 560 ქულის მომპოვებელ მერთენსს ვარჯიში ჯერ არ განუახლებია. სავარაუდოდ, მას მსუბუქი მოთელვის ჩატარების უფლებას ექიმები პარასკევს მისცემენ.

გაიოზ თალაკვაძე

პელუმ შეუდარებელი შეადარა

საფრანგეთის ნაკრების მორკინალი ფაბიენ პელუ ფიჯისთან შეხვედრისას ერთ-ერთ მეტოქეს ეუხეშა და ამისთვის დისკვალიფიკაციაც მიიღო. მას სასჯელის ვადა გაუვიდა და ნახევარფინალში ახალი ზელანდიის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, კვლავ „მამლების“ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ძნელი იყო ამ დღეების გადატანა. თითქოს ჩვეულებრივი მაყურებელი ვიყავი. თუმც ამას ჩემზე ცუდად არ უმოქმედია, რადგან ასეთი სიტუაციისთვის მომზადებული ვიყავი. საფრანგეთი — არგენტინის მეოთხედფინალის წინ ჩვენი ნაკრების მზადებაში არ ვმონაწილეობდი და თამაშის დროს არც გასახდელში ვყოფილვარ. იქ უჩემოდაც ძალიან ბევრი ხალხი იყო. სულ ორიოდ წუთით მივედი ბიჭებთან და წარმატება ვუსურვე“ — თქვა „ტულუზის“ წევრმა.

პელუ „მამლების“ ვარჯიშისასაც ერთგვარად ჩრდილში იყო და მხოლოდ „პუმების“ დამარცხების შემდეგ განაგრძო წვრთნა ჩვეული რიტმით. მას თავის მეგობარ და გუნდის კაპიტან რაფაელ იბანესთან ერთად ფრანგთა ნაკრებში ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება დაევალება ახალ ზელანდიასთან ნახევარფინალის დროს. ამიტომ საინტერესოა მისი აზრი ჯონა ლომუს წინააღმდეგ თამაშის თაობაზე: „ამ მხრივ რაღაც-რაღაცეები უკვე მოვიფიქრეთ. ლომუს წინააღმდეგ ინდივიდუალური მეურვის ტაქტიკაა საჭირო. ვიღაც მუდმივად უნდა იყო მის გვერდით, ხუთიათი მეტრის რადიუსში. მაშინაც კი, როცა ბურთი საპირისპირო ფლანგზეა. ამას შშვენივრად აკეთებდა ფილიპ სენტანდრე, როცა ლომუსთან უხდებოდა დაპირისპირება“.

AFP ლონდონი

მარკ ლიევრემონი (მარცხნივ), ფაბიენ პელუ (ბურთით) და კრისტოფ ლამეზონი ახალზელანდიელებთან საბრძოლველად ემზადებიან

თავისი დისკვალიფიკაციის მიზეზზე კი პელუ შემდეგს ამბობს: „რა თქმა უნდა, უხეშად ვითამაშე, მაგრამ საერთოდ უხეში არ ვარ. უბრალოდ, რაგბი ისეთი თამაშია, ხდება ასეთი რამეები“. შეგახსენებთ, რომ პელუ იმიტომ დასაჯეს, რომ ფიჯელთა კაპიტან გრეგ სმიტს ერთ-ერთ ზედახორაში თავზე ფეხი დაადგა.

„შავებთან“ რომ საფრანგეთის ნაკრებს გამარჯვების ძალიან მცირე შანსი აქვს, ამას არც „მამლების“ მორკინალი უარყოფს. მით უმეტეს, რომ ივნისში ახალ ზელანდიასთან 7:54 დამარცხდნენ. თუმცა პელუს პესიმიზმი ნამდვილად არ მისძალებია. „ფავორიტები არ ვართ. ალბათ, ეს ჩვენთვის უკეთესია, რადგან ფრანგებს უფრო სენსაციების მოხდენა გვიყვარს. და იმედია, ამჯერადაც არ ვუღალატებთ ტრადიციას. რაც შეეხება ველინგტონურ მარცხს, ისტორია მახსენდება. 1996 წელს „ოლ ბლექსმა“ „პარკ დე პრენსზეც“ თითქმის ისევე სასტიკად დაგვამარცხა, როგორც წლეულს. ჰოდა, იმ წაგების მერე გუნდი გარდაიქმნა და ხუთი ერის პირველობაზე ზედიზედ ორი დიდი სლემი შეასრულა. იმედი მაქვს, ახლაც შევძლებთ იმ მარცხის დავიწყებას“ — თქვა პელუმ.

თუმცა სად ხუთი ერის პირველობა და სად მსოფლიოს თასი?

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ᲝᲠᲘ ᲔᲭᲕᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲓᲝ



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲓᲝᲡᲢᲗᲐ ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲛᲝᲘᲰᲝᲕᲐ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲒᲘ, 73 ᲙᲘᲚᲝᲨᲘ ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚ 66-ᲨᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲰᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲡ. ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲣᲠᲘᲒᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲛᲐᲜᲪ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ — ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛᲓᲐ ᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ? ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲑᲘᲗ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ.

— ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲗ?

— ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ — 66-ᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲐᲡᲐᲠᲔᲑᲐ...

— ᲠᲝᲪᲐ ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲝᲛᲓᲘᲗ, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ — 73-ᲨᲘ ᲠᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲘᲗ?

— ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲘ. ᲛᲔᲓᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ 73-ᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲰᲘᲓᲐᲕᲘᲐ.

— 66-ᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ?

— ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲗ, ᲠᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ. ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲩᲔᲛᲔᲑ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘ — ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲬᲝᲜᲐᲐ. 73-ᲨᲘ ᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲨᲔᲯᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ 66-ᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲕᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲗᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲖᲔ ᲐᲛ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲧᲔᲜᲑᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲓᲝᲛᲓᲘ. ᲗᲣ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲪ ᲒᲐᲕᲘᲓᲝᲛᲓᲘ, ᲮᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ.

— 73-ᲨᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲘᲓᲐᲗ. ᲔᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲗ?

— ᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ 66 ᲙᲘᲚᲝᲖᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲝ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔᲪ ᲐᲛ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ. ᲯᲔᲠ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲛᲝᲕᲘᲰᲝᲕᲝᲗ. 73-ᲨᲘ ᲘᲝᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲙᲘ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ 66 ᲛᲐᲘᲜᲪ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲬᲝᲜᲐᲐ. ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔᲐ ᲓᲐ ᲘᲥ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲪ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ.

— ᲘᲡᲔᲕ ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲔᲚ ᲯᲘᲛ ᲞᲔᲓᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ. ᲒᲙᲝᲜᲓᲐᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐ?

— ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲭᲘᲪᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲡ... ᲗᲐᲗ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲔᲒᲝ, ᲛᲔᲠᲔ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘᲪ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡᲨᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐᲗ.

— ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲣᲒᲔ. ᲞᲔᲓᲠᲝᲪ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲛᲐᲠᲪᲔᲑᲘᲜᲐ, ᲪᲘᲢᲧᲚᲝᲓᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲭᲘᲠᲓᲐ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ.

— ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲡ, ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚ ᲙᲔᲜᲫᲝ ᲜᲐᲯᲐᲛᲣᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲡᲫᲚᲘᲐᲗ?

— ᲓᲘᲐᲮ. ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲫᲚᲘᲐᲠᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐᲖᲔ ᲓᲐᲕᲐᲒᲓᲔ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲡᲔᲐ — ᲮᲐᲜ ᲛᲝᲘᲒᲔᲑ, ᲮᲐᲜ ᲬᲐᲐ�გᲔᲑ.

— ᲛᲔᲠᲔ, ᲞᲔᲓᲠᲝ ᲜᲐᲯᲐᲛᲣᲠᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲒᲘᲫᲔᲚᲔᲚᲓᲐᲗ?

— ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲐᲐ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠ ᲡᲢᲘᲚᲨᲘ ᲕᲭᲘᲓᲐᲝᲑᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲛᲘᲫᲜᲔᲚᲓᲐ.

— ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲐᲬᲧᲝᲑᲗ.

— ᲯᲔᲠ 66-ᲨᲘ ᲡᲐᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲰᲓᲐᲕᲔᲑ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲥᲪ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲪᲓᲔᲑᲐ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚ ᲘᲥ, ᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲗᲣ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲕᲔᲓᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔᲪ 66-ᲨᲘ ᲕᲘᲰᲓᲐᲕᲔᲑ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲐᲥ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲢᲝᲢᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲩᲔᲛᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ. ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲪ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ 66 ᲙᲘᲚᲝᲨᲘ ᲕᲘᲰᲓᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲨᲘᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘᲡ ᲠᲐᲖᲛᲐ ᲛᲐᲚᲢᲐ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲣᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲮᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲜᲒᲘ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲠᲕᲐᲜᲘᲪ ᲮᲜᲐᲕᲔᲜᲝ, ᲮᲝᲛ ᲒᲐᲒᲘᲒᲘᲐᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲚᲘᲐ, ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲮᲕᲔᲭᲔᲜ ᲐᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲚᲘᲗᲝᲜᲡ. ᲐᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲐᲚᲢᲐᲨᲘ, ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲡᲐᲛᲑᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔᲪ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲮᲣᲗᲛᲐ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲛ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲗ.

57 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲣᲠ ᲡᲐᲮᲕᲐᲫᲔ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ, ᲡᲞᲔᲪᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲖᲛ „ᲝᲛᲔ�გᲐᲡ“ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲐ. ᲐᲛ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡ — ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲓᲐᲜᲐᲓ ᲘᲮᲔᲠᲮᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲔᲠ, ᲛᲐᲚᲢᲐᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ ᲛᲝᲘ�პᲧᲠᲝᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ. ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲜᲘᲭᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲦᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲭᲐᲠᲛᲐᲒᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲣᲚᲘ ᲤᲘ�გᲣᲠᲐᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ. ᲐᲮ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲛᲐ, ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲐ ᲞᲐᲜᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲚᲢᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲔᲡ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ:

— ᲛᲐᲚᲢᲐᲨᲘ 19 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 130 ᲡᲐᲛᲑᲘᲡᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ. ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲮᲣᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲪ — ᲛᲔ, ᲐᲜᲖᲝᲠ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲣᲚᲘ (100), ᲝᲗᲐᲠ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲫᲘᲛᲔ), ᲣᲨᲐᲜ�გᲘ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ (74).

ᲛᲔ 82 ᲙᲘᲚᲝᲨᲘ ᲕᲭᲘᲓᲐᲝᲑ. ᲛᲐᲚᲢᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔ ᲝᲗᲮᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲔᲚᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲑᲘᲡᲢᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲛᲝᲕᲣᲒᲔ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲔᲓᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲯᲝᲑᲔ ᲠᲣᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲣᲑᲘᲚᲘᲜᲡ. ᲞᲠᲩᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ, ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲗᲐᲒᲐᲜᲣᲒᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐᲪ. ᲛᲐᲗ ᲝᲗᲮ-ᲝᲗᲮᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ. ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ — ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲓ. ᲝᲗᲐᲠ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ — 73-ᲨᲘ ᲠᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲘᲗ?

— ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲘ. ᲛᲔᲓᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ 73-ᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲰᲘᲓᲐᲕᲘᲐ.

— 66-ᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ?

— ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲗ, ᲠᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ. ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲩᲔᲛᲔᲑ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘ — ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲬᲝᲜᲐᲐ. 73-ᲨᲘ ᲘᲝᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲙᲘ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ 66 ᲛᲐᲘᲜᲪ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲬᲝᲜᲐᲐ. ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔᲐ ᲓᲐ ᲘᲥ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲪ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲨᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐᲗ.

— ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲣᲒᲔ. ᲞᲔᲓᲠᲝᲪ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲛᲐᲠᲪᲔᲑᲘᲜᲐ, ᲪᲘᲢᲧᲚᲝᲓᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲭᲘᲠᲓᲐ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ.

— ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲐᲬᲧᲝᲑᲗ.

— ᲯᲔᲠ 66-ᲨᲘ ᲡᲐᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲰᲓᲐᲕᲔᲑ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲥᲪ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲪᲓᲔᲑᲐ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚ ᲘᲥ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲢᲝᲢᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲩᲔᲛᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ. ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲪ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ 66 ᲙᲘᲚᲝᲨᲘ ᲕᲘᲰᲓᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲨᲘᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ

ᰰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘ ᲗᲐᲘᲡᲝᲜᲡ ᲘᲪᲐᲕᲡ

მაიკ ტაისონი



ევანდერ ჰოლიფილდი

ᲓᲘᲓᲘ ამბავია ატეხილი მაიკ ტაისონის მორიგი ოფოფის გამო — ლას ვეგასში გონგსშემდგომი დარტყმით რომ დასცა ორლინ ნორისი.

ახლა ლაპარაკია, რომ პარასკევს დილიდანვე შეიკრიბება ნევადის შტატის ათლეტთა საქმეების კომისია, რომელიც ტაისონს დაკითხავს და მერე განაჩენსაც გამოუტანს.

მედიასაც მეტი რა უნდა — თაფლი თქვი და ბუზი ბაღდადიდან მოვა.

კომისიის წევრები ჟურნალისტებს უცხადებენ, რომ ტაისონთან ბევრი შეკითხვა აქვთ და ამ შეკითხვებზეა დამოკიდებული მათი განაჩენი. ექსპერტთა აზრით, მაიკს კარგი არაფერი ელის და თავისუფლად შეიძლება, რომ მას მოკრივის ლიცენზია ჩამოართვან და ჰონორარიც (ათი მილიონი დოლარი) გაუყინონ.

მეორე მხრივ, ყველას ახსოვს, რომ ამავე ნევადის კომისიამ ორი წლის წინათ ევანდერ ჰოლიფილდის ყურის მოჭმისთვის გაასამართლა მაიკი, აართვა ლიცენზია და სამი მილიონი დოლარი. გონგის შემდეგ დარტყმა კი უმსგავსოებით ნაღდად ვერ გაუტოლდება ყურის მოჭმას. მაშ, რატომ უნდა იყოს პარასკევის განაჩენი უფრო მკაცრი, ვიდრე ორი წლის წინანდელი?

კომისიის თავკაცი მარკ რიტხერი სიმშვიდისკენ მოუწოდებს საზოგადოებას, რა გაყაყანებთ, ვიდეოფირს ვნახავთ, მაიკს გავესაუბრებით და ჩვენი სამართლიანობის ამბავი ხომ ისედაც მოგეხსენებათო.

ტაისონის მდგომარეობას ართულებს ის, რომ იგი ვერ დაიცავს თავს იმის მომიზეზებით, აქაოდა ფიცხელ ბრძოლაში ჩართულმა გონგის ხმა ვერ გაიგონეო. ყველამ დაინახა, რომ მაიკსა და ნორისს შორის რეფერი რიჩარდ სტილი ჩადგა და „ბრეკ"-ო, შესძახა. ეს კი წმინდა ბრძანებაა მოკრივისთვის და ბრძოლა უნდა შეწყდეს. ტაისონმა სწორედ ამის შემდეგ მოიქნია ჭუკი.

ლას ვეგასში ხომ ეს ამბავია და ჰიუსტონიდან სკანდალს გამოეხმაურა ორი ქამრის ჩემპიონი, ტაისონის ორჯერ დამმარცხებელი, ყურწაკვნეტილი ევანდერ ჰოლიფილდი. რახან ჰოლიფილდი ერთი ზანგური ეკლესიის ქრისტიანულ დოგმათა მიმდევრობაზე დებს თავს, მარად სიყვარულს და გაჭირვებულის დახმარებას ქადაგებს.

ახლაც, ევანდერმა დაიცვა ტაისონი: ჩვე, მოკრივეებიო, ისე ჩავერთვებით ხოლმე ბრძოლაში, რომ იქედან უეცარი გამოსვლა გვიჭირსო. მაიკსაც ასე დაემართა და ამის გამო მისი შერისხვა უზნეობად მიმაჩნიაო. ჰოლიფილდის აზრით, ნორისი უფრო უზნეოა, ვიდრე ტაისონი, რადგან ნაღდად შეეძლო ბრძოლის გაგრძელება.

„ჰეი, ბიჭებო, მაიკმა დაარტყა, მაგრამ ეს ის დარტყმა იყო, კაცს რომ გაშხლართავს?" — იკითხა ჰოლიფილდმა — „ნორისი იოლად წამოდგა და მერეღა მოაფიქრდა, რომ ასე უფრო იოლას გავიდოდა".

მართლაც, ნორისმა ფული (რვაასი ათასი) აიღო, ტაისონი კი ჯერჯერობით უჰონორაროდაა.

ყველა კომისიის დღეს ელის.

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეოფილო სტივენსონი

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲡᲝᲜᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲙᲣᲑᲘᲡ სიამაყე, ფიდელ კასტროს ძმაკაცი, ლეგენდარული სამგზისოლიმპიური ჩემპიონი თეოფილო სტივენსონი მაიამის აეროპორტში დაკავეს.

საძულველი ამერიკის ყველაზე კუბური ქალაქის აეროპორტში სტივენსონს მავანი იქაური მუშაკისთვის ცხვირ-პირში თავი ჩაურტყამს, რას ჩაგიხერგავს ეს გასავალი, დროზე გამტარეო. მუშაკს წინა კბილები ჩაემტვრა. კუბიდან კი საჩქაროდ მოვიდა საკარიმო თანხა, 12500 დოლარი. ქვეყნის სიამაყეც იმავე საღამოს გამოუშვეს და ჰავანაში გააფრინეს. აბა, ეროვნულ გმირს იქ ხომ არ დატოვებდნენ?

ᲠᲐᲤᲢᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲐᲚᲞᲔᲚᲘ

ᲞᲐᲢᲠᲘᲙ ᲠᲐᲤᲢᲔᲠᲘ, უდიდესი სურვილის მიუხედავად, დევისის თასის ფინალში ფრანგებთან ვერ ითამაშებს — კვირას მას ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია გაუკეთეს.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს მოწოდებისა და ბადესთან თამაშის დროს ტკივილები ზაფხულის დასაწყისიდან აწუხებდა, თუმცა ტკივილგამაყუჩებლებითა და ათასგვარი მცირედი წამლობით აგვისტომდე მოახერხა ასპარეზობა.

თავიდან ტრავმას სერიოზულად არავინ თვლიდა, მაგრამ ორკვირიანი დასვენების მიუხედავად, კიკინინამ ოზმა აშშ-ის ღია პირველობაზე პირველი წრის მატჩიც კი ვერ დაასრულა. დაწვრილებით გამოკვლევის შედეგად რაფტერს მხრისა და მკლავის შემაერთებელი კუნთის ნაწილობრივ გაწყვეტა დუდგინეს, ტრავმა, რომელმაც ბევრ ვარსკვლავს დაასრულებინა კარიერა დროზე ადრე.

წესით, ავტრალიელს ოპერაცია მაშინვე უნდა გაეკეთებინა, მაგრამ რაკი დევისის თასზე სურდა თამაში, არჩია დაეცადა, იქნებ ტრამა თავისით მორჩენილიყო.

„გვითხრეს, რომ გამოჯანმრთელებას სამი კვირა დასჭირდებოდა. ექვსი კვირა ვუცადეთ, რათა ბოლომდე დავრწმუნებულიყავით, მაგრამ კუნთი მხოლოდ ნაწილობრივ მორჩა. ამდენი მკურნალობისა და შესვენების შემდეგაც კი არაფერი გამოსწორდა" — განაცხადა ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა გასულ კვირაში.

ასე რომ, რაფტერსაც აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ქირურგებისთვის მიემართა. კვირას მელბურნში ექიმმა გრეგ ჰოიმ, რომელმაც შარშან მოკრიკეტე შეინ უორნის მხარი აწყო თავიდან, ჩოგბურთელს 45-წუთიანი ოპერაცია ჩაუტარა.

„ვფიქრობ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მან შეიძლება ავსტრალიის ღია პირველობაზე შეძლოს თამაში" — აღნიშნა ექიმმა მოგვიანებით.

თავად რაფტერი მაინცდამაინც კარგ ხასიათზე არ გახლდათ: „მე და ჩემმა მწვრთნელმა მარკ უოტერსმა შეცდომა დავუშვით, რომ ამდენი ხნით გადავდეთ ოპერაცია. ახლა დევისის თასზე თამაშზე საუბარიც კი ზედმეტია. იმედი მაქვს იანვარში შინაური ტურნირებისთვის მაინც გამოვჯანმრთელდები. ძალიან დამწყდება გული, თუ მათი გამოტოვება მომიწევს, მაგრამ თუ მზად არ ვიქნები, კარიერას საფრთხეში არ ჩავიგდებ".

რაფტერი უახლოესი 6-8 კვირის მანძილზე ჩოგანს ვერ მიეკარება და ვარჯიშს მხოლოდ დეკემბრის ბოლოს თუ განაახლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიის დევისის თასის გუნდის კაპიტანი ჯონ ნიუკომბი ფინალში მხოლოდ 18 წლის ლეიტონ ჰიუიტისა და კოჭის ტრავმის შემდეგ არცთუ კარგ ფორმაში მყოფი მარკ ფილიპუსისის იმედად იქნება.

„მარკმა დროულად უნდა მოახერხოს საქმის გამოსწორება და თავდაჯერების დაბრუნება, თორემ ფინალში ამხელა ზეწოლის გაძლება ძალიან გაუჭირდება" — იწინასწარმეტყველა რაფტერმა.

ყველაზე საშიში მეტოქის გზიდან ჩამოცილება, გარეგნულად მაინც, არც ფრანგების კაპიტან გი ფორჟეს გახარება: „ძალიან სამწუხაროა, რომ იგი ვერ ითამაშებს, ეს ფინალს პეწს და პრესტიჟს დააკლებს. სედრიკ პიოლინს პატრიკთან გაჯიბრება სურდა. ცუდია ისიც, რომ ტრავმა ძალიან სერიოზული ჩანს".



პატრიკ რაფტერი მხრის ტრავმამ შეაწუხა

ანდრე აგასიმ და შტეფი გრაფმა შტუტგარტში ერთად ივარჯიშეს

ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲛ ᲣᲙᲐᲠ ᲓᲐᲘᲙᲘᲐ

ᲝᲠᲘᲝᲚ კვირის წინ სერენა უილიამსის თხოვნას კაცების ტურნირზე უაილდ-ქარდის გამოყოფის შესახებ დიდი აყალმაყალი მოჰყვა.

ერთმა გერმანელმა გაზეთმა მკითხველებს აუწყა, შავკანიან ამერიკელს ქალებთან თამაში მოსწყინდა და განაცხადა, კაცებსაც ვაჯობებო. ძლიერი სქესის აღშფოთებულმა წარმომადგენლებმა — ბორის ბეკერმა, ანდრე აგასიმ, ნიკოლას კიფერმა უილიამსი მასხრად აიგდეს და მას სრული კრახი უწინასწარმეტყველეს.

ძნელი სათქმელია, პოლემიკა რითი დასრულდებოდა, მაგრამ ალბათ სიცოცხლეში პირველად, უილიამსმა გაცლა ამჯობინა. ჯერ სერენამ ქალების ჩოგბურთის შეურაცხმყოფელი განცხადების ჩაფარცხვა მოიწადინა.

„არასოდეს მითქვამს, ქალებთან თამაში მოსაწყენია-მეთქი. პირიქით, ჩვენ ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერი ჩოგბურთელი გვყავს, მოსაწყენი ქალების კი არა, კაცების ჩოგბურთია".

სერენამ აღიარა, რომ შტუტგარტის კაცთა ტურნირზე თამაშის სურვილი მართლაც გამოთქვა, მაგრამ მხოლოდ ხუმრობით.

„მე ერთი თვის წინ ტურნირის დირექტორის გვერდით ვიჯექი და მას უაილდ ქარდი ვთხოვე. მიპასუხა, ამაზე ყველას შევატყობინებო. ჩვენ მხოლოდ ვხუმრობდით" — აღნიშნა უმცროსმა უილიამსმა, რომელმაც ისიც დასძინა, საუკეთესო კაც ჩოგბურთელებს მაინც ვერ ვაჯობებო.

„მე ძალიან თავდაჯერებული ვარ, მაგრამ ძალები არათანაბარი იქნება. პირველ წრეში შეიძლება მარკ ფილიპუსისს შევხვდე. ათ წუთში წავაგებ. ან ანდრე აგასის. საერთოდ არ გამოცხადდები შეხვედრაზე".

თუმცა ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, ამაზე ითქმის — შტუტგარტის ტურნირის თავკაცმა მარკუს გიუნტარდმა რამდენიმე დღის წინ სერენასგან წერილობით თხოვნა მიიღო. „არაჩვეულებრივი იქნება, თუ ერთეულებში ან თუნდაც წყვილებში თამაშის შესაძლებლობას მომცემთ, მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან ერთად — დარწმუნებული ვარ, ჩემი მეწყვილე არ ინანებს".

უილიამსის განცხადება გიუნტარდმა ამჯერადაც უპასუხოდ დატოვა, თუმცა შტუტგარტის ცენტრალურ კორტზე სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების თამაში მაინც შედგა.

ყველასათვის მოულოდნელად, სამშაბათს შუადღით მატჩებს შორის ანდრე აგასის დაგეგმილ ვარჯიშზე მისი არანაკლებ ცნობილი გელფრენდი შტეფი გრაფი გამოცხადდა. ჩოგბურთის სუპერვარსკვლავებმა 20 წუთის მანძილზე წაითამაშეს, რამაც ტრიბუნები თვალის დახამხამებაში შეავსო და გაახალისა.

შტეფიმ, ალბათ, მისი ხათრით თავგადაუხოტრავი აგასი თავისი მძლავრი ფორჰენდით საკმაოდ არბენინა კორტის ერთი კიდიდან მეორეში, მერე კი ადგილი მსოფლიოს პირველი ჩოგნის მწვრთნელ ბრედ ჯილბერტს დაუთმო.

შტუტგარტი. გერმანია.
EUROCARD OPEN. დარბაზი,
ხალიჩა. საპრიზო 2,45 მილიონი $

პირველი წრე: მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — **ჯანლუკა პოცი** (იტალია) 6:4, 4:6, 7:5; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) 6:7 (3:7), 7:6 (7:4), 6:1; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — **რაინერ შუტლერი** (გერმანია) 3:6, 7:6 (7:4), 6:2; **დანიელ ვაცეკი** (ჩეხეთი) — **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) 6:1, 2:1 — **ტრავმა; ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) 6:2, 3:6, 7:6 (7:2); **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) 7:6 (9:7), 3:6, 6:2; **ჯიმ კურიე** (აშშ) — **მარკ როსე** (შვეიცარია) 4:6, 7:6 (8:6), 6:2; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — **ვინსენტ სპედა** (აშშ) 6:4, 3:6, 6:1; **უეინ ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) 6:4, 4:6, 6:4.

ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲒᲐᲜᲘᲫᲔ

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს ძმის ᲖᲠᲘᲓᲝᲜ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ გარდაცვალების გამო.

4 ტური

საუკეთესო მოთამაშე

ირაკლი ხოშტარია -სდასუ-



ტურამ დოლეზგაბელის ფოტო

სდასუ — თსუ-ს შეხვედრის დროს მაყურებელი ერთობ გაკვირვა სდასუ-ს ლიდერის, ირაკლი ხოშტარიას მოედანზე გამოჩენამ, რომელსაც წინადღით ქორწილი ჰქონდა და ჯერ კიდევ აუშლელი სუფრიდან მოაშორა ვერის ბაღს თანაგუნდელთა დასახმარებლად. სურვილი ერთია და შედეგი — მეორე. ხოშტარიამ მართლაც მშვენივრად ითამაშა და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა, რითაც საკუთარ თავს დიდებული საჩუქარი მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ იგი 32 ქულით ბომბარდირთა დავაშიც საუკეთესო იყო.

— გასულ წელს „დინამოში“ ყოფნისას თქვენ ხელის მოუშუშებელი ტრავმით ითამაშეთ თსუ-ს წინააღმდეგ და მაშინაც 32 ქულით ტურის საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე გახდით. „სარბიელთან“ საუბრისას თქვენ აღნიშნეთ, რომ გაგაწაწყენათ თსუ-ს ხელმძღვანელობის საქციელმა, როცა „დინამო“ — თსუ-ს შეხვედრა გააპროტესტეს, „დინამომ“ ულიკენზიო ირაკლი მაისურაძე ათამაშაო და რადგან მოგებული თამაში წაგებად ჩაგითვალეს, მომდევნო წრეში რევანშის მიზნით ხელის ტრავმასაც კი არ მოერიდეთ. მაშინდელი წყენა ჯერაც არ გაგნელებიათ თუ კიდევ რაიმე სხვა მიზეზმა გაიძულათ, საკუთარი ქორწილი მიგეტოვებინათ?

— მაწყენინეს და როგორ. ნამდვილად არ მეგონა, თუ თსუ-ს ხელმძღვანელები ასე მომექცეოდნენ. დაბადების დღე ხომ არ ყოფილა, ქორწილზე იყო საუბარი, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. მომავალში რაც არ უნდა მოხდეს, რომ ვკვდებოდე და სიარული შევძლო, თსუ-ს წინააღმდეგ მაინც ვითამაშებ.

— ირაკლი, თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ, თსუ-ს რომელ ხელმძღვანელს გულისხმობთ. ასეთი რა გაწყენინა, რომ გულში ჩაგრჩათ?

— რადგან თსუ და სდასუ ექვსეულში გასვლის პრეტენდენტებად ითვლებიან, ჩვენი გუნდის თავკაცობამ წერილობით მიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას და ჩემი ქორწილის გამო მატჩის გადატანა სთხოვა. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა მითხრა, შენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგან თსუ-ს პრეზიდენტი ვლადიმერ უგრეხელიძე შეხვედრის გადადების სასტიკი წინააღმდეგიაო.

— სდასუ-ს მიზეზი გასაგებია, მაგრამ უგრეხელიძემ რაო, შუა კვირაში კალათბურთელები ლექციებს ვერ გააცდენენო და თავი ამიტომ შეიკავა?

— ზუსტად არ ვიცი, რა მოიმიზეზა უგრეხელიძემ, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ალბათ, იფიქრა: ხოშტარია არ იქნება, ქორწილის მეორე დღეს კი სდასუ-ს კალათბურთელებს თამაშის თავი აღარ ექნებათ და მოგებაც არ გაგვიჭირდებაო. სხვა მიზეზს მე ვერ ვხედავ. უგრეხელიძის მოქმედებამ კი ჩვენს ბიჭებზე საპირისპირო გავლენა იქონია. თანაგუნდელები ქორწილის პირველ დღეს ადრე დამეშვიდობნენ, ხოლო მეორე დღეს საერთოდ არ მოსულან. პრინციპის ამბავი იყო, ამიტომ მეც ავდექი სუფრიდან და პირდაპირ თამაშზე წამოვედი. ძალიან, ძალიან მინდოდა, მოგვეგო და მადლობა ღმერთს, რომ გავიმარჯვეთ.

— სდასუ-მ განსაკუთრებით ძლიერად შეხვედრის მეორე ნახევარი ჩაატარა. მიზეზს ვერ გვეტყვით?

— წინა სეზონისგან განსხვავებით, გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთად ვვარჯიშობთ და ყველას კარგად არც კი ვიცნობ. არასტაბილური თამაში შეუთამაშებლობის ბრალია და დროთა განმავლობაში ამასაც მოევლება.

— ნაწილობრივ კი ვხვდებოდით ბოლო დროს ხოშტარიას უვარჯიშებლობის მიზეზს, მაგრამ თქვენი ნათქვამი მაინც სულ სხვაა... სად და როდის გაიცანით თქვენი მომავალი მეუღლე?

— სხვათა შორის, წარმოშობით ისიც სამტრედიელია, მაგრამ ორი წლის წინ თბილისში გავიცანი, რადგან სამტრედიაში ბოლო დროს იშვიათად მიწევს ჩასვლა.

— სახელს არ გვეტყვით?

— მაკა იაშვილი, მომავალი სტომატოლოგი, სწავლობს მესამე კურსზე. ჩემი უმთავრესი მიზანი ოჯახის შექმნა იყო. მომავალში ძირითად დროს კალათბურთს დავუთმობ.

— სდასუ-ში თუ გაქვს ისეთი პირობები, რომ ოჯახის რჩენაც შეძლოთ?

— გუნდში თავს ყველანაირად კარგად ვგრძნობ.

— ცნობილი ფაქტია, რომ თქვენ და სდასუ-ს მთავარ მწვრთნელს, ბატონ ლევან მოსეშვილს ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გაქვთ. მიუხედავად იმისა, რომ სხვა გუნდებიც გეპატიჟებოდნენ, თქვენ სდასუ-ში თამაში ამჯობინეთ. ეს ბატონი ლევანის დამსახურებაა, თუ...

— როგორც ბატონი ლევანის, ისე სდასუ-ს ხელმძღვანელების, რომლებმაც ჩემთვის სასურველი პირობები შემომთავაზეს. მოსეშვილთან უბრალო ურთიერთობა არ მაკავშირებს, ჩვენ ოჯახებით ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან.

— მაშინ რით აგხსნათ თქვენი „დინამოდან“ წამოსვლა გასული სეზონის ბოლოს, როდესაც ჯერ კიდევ მოსეშვილი იყო გუნდის მთავარი მწვრთნელი?

— ბატონმა ლევანმა გუნდს გამოუცხადა — ფინანსური პრობლემებია და როგორც გინდათ, ისე მოიქეცითო. მეც ავდექი და წამოვედი. პატარა ხომ აღარ ვარ, გასართობად ვითამაშო.

— „აზოტში“ თამაშზე რაღას გვეტყვით?

— მატერიალური დაინტერესების გამო ნამდვილად არ ჩამიცვამს „აზოტის“ მაისურა. როდესაც დამიკავშირდნენ, ვუპასუხე — დიდი ხნის უვარჯიშებელი ვარ და თუ მაინც გჭირდებით, დაგეხმარებით-მეთქი.

— რუსთავში საბოლოოდ დარჩენაზე საუბარი არ ყოფილა?

— იყო, როგორ არა, მაგრამ ფინანსებზე ვერ შევთანხმდით. მიუხედავად ამისა, „აზოტს“ არ დავტოვებდი, ჩემს გამო კატასტროფის წინაშე რომ დამდგარიყო. უკანა ხაზზე მათ ნაკრების რამდენიმე კანდიდატი ჰყავთ და ჩემი იქ დარჩენა ამტომაც არ მივიჩნიე მიზანშეწონილად.

— შეხვეული ხელით თამაში თითქმის ტრადიციად გექცათ. ამ ბოლო დროს კი მუხლიც შეიხვიეთ. რა მოხდა, სერიოზული ხომ არაფერია?

— ფეხი „ვითასთან“ შეხვედრის დროს დავიზიანე. მუხლის იოგები გამიმიზეზდა და დაჭიმული მქონდა. ხანდახან მტკივა და, ალბათ, ნელ-ნელა გამივლის. მართალია, საშიში არაფერია, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით სამუხლის გაკეთება მირჩიეს. რაც შეეხება ხელს, ძველი, მოშუშებული ტრავმა და აღარ მაწუხებს. მიუხედავად ამისა, მაინც ვიხვევ, რადგან ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

როლანდ ლაბუჩიძე

საგამოფენო მატჩი

სტეფანიამ 9 ქულა გამოფინა

მის ანგარიშზე 4 მოხსნა და 1 დაფარებაცაა

26 ოქტომბერი

სიეტლი 133:128 საკრამენტო

სიეტლი: პეიტონი (17 ქულა, 12 პასი), ბერი (4), პატერსონი (18), ბეიკერი (31), გრანტი (11); ლუისი (15), მაქსველი (12), **სტეფანია** (9 ქულა, 4 მოხსნა), ვილიამსი (8), მაკკოი (6), შეფლერი (2), პერსონი, ფოსტერი, ბორელი, ვინსონი

საკრამენტო: ვილიამსი (7), ანდერსონი (12), ვილიამსონი (6), ვებერი (17), დივაცი (9); სტოიაკოვიჩი (19), ჰოლარდი (14), მარტინი (14), დელკი (12), კორბინი (11), ფანდერბურკი (5), ბერი (2), რობერტსონი

ვლადიმერ სტეფანიას გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსი“ ბოლოსწინა, საერთოდ კი თავისი მეშვიდე საგამოფენო მატჩის გასამართად კალიფორნიას, ქალაქ საკრამენტოს ჩაფრინდა და იქაური „კინგზი“ დასცა. „საკრამენტო კინგზი“ შარშანდელი სეზონის აქეთ კერკეტი გუნდის სახელით იწონებს თავს. მართალია, სეზონთაშორის პერიოდში „საკრამენტომ“ გუნდიდან გაუშვა გამოცდილი ვეტერანი ვერნონ მაქსველი, რომელიც „სიეტლს“ მიეკედლა და ახალ გუნდს საკმაოდ კარგადაც შეეწყო, მაგრამ სამაგიეროდ რამდენიმე კარგი კალათბურთელი აიყვანა და კიდევ უფრო მოლონიერდა. ამდენად გასაკვირიც იყო „კინგზის“ მარცხი საკუთარ კედლებში, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ეს მხოლოდ საგამოფენო თამაში გახლდათ, სადაც გუნდები თავიანთ ძალას და სეზონისთვის მზადყოფნას ამოწმებენ, ამავდროულად მომავალ მეტოქეებს ზვერავენ.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ მოგებულ თამაშში თავისი მოკრძალებული წვლილი ჩვენებურმა ვლადიმერ სტეფანიამაც შეიტანა. სტეფანიამ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე საგამოფენო მატჩებს შორის და ეს გარკვეულწილად თამაშის ოქმშიც აისახა. კოვამ მოედანზე გატარებული თექვსმეტი წუთის განმავლობაში თამაშიდან ექვსჯერ ესროლა და აქედან ოთხჯერ წარმატებით, და ერთიც შედეგიანი გადაცემა გაახერხა. საგულისხმოა ის, რომ სტეფანიამ არცთუ დიდი ხანია, რაც მუხლის ტრავმა გადაიტანა და, ბუნებრივია, მოფრთხილება მართებს, მაგრამ ქართველი მაინც ლომივით იბრძოდა ფარქვეშ, სადაც წესით ისეთ გიგანტებს უნდა ებატონათ, როგორებიც არიან მეტოქე გუნდის ლიდერები კრის ვებერი, რომელიც შარშანდელ სეზონში პირველი მომხსნელი იყო ლიგაში და იუგოსლავიელი ვლადე დივაცი. მაგრამ სტეფანია მათ არ შეეპუა და ოთხი მოხსნა გაახერხა თავისი გუნდისთვის, აქედან სამი მეტოქის ფარზე. ამასთან ერთხელ მეტოქის სროლას დაუფარა და ორჯერაც მასზე დაჯარიმდნენ, თუმცა ვოკამ ოთხი სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო.

მეტოქეებმა ერთმანეთს გახსნილი და სანახაობრივი თამაში შესთავაზეს და სწორედ ამიტომაც ეს შეხვედრა წლეულს ჩატარებულ საგამოფენო მატჩებს შორის ყველაზე უხვშედეგიანი აღმოჩნდა. მეორე მეოთხედში თანდათან გამოიკვეთა, რომ „სიეტლი“ დაცვაში უკეთ ირჯებოდა და უკეთესადაც ესროდა ბურთს. სტუმარმა გუნდმა პირველი ნახევარი 72:67 მოიგო და ტაიმებს შორის შესვენებაზე ხუთქულიანი უპირატესობით წავიდა.

მესამე მეოთხედის მეოთხე წუთისთვის სუპერსონიქსი 81:75 იგებდა, როცა ვინ ბეიკერი აფეთქდა და თორმეტწუთიულის დარჩენილი დრო 26:13 მოაგებინა თავისიანებს. სიეტლი უკვე 19 ქულით იყო წინ, მაგრამ სათადარიგო „მეფეებმა“, რომლებიც იმ დღეს სულაც არ ჩამოუვარდებოდნენ ძირითადებს, იქამდე იომეს, სანამ სხვაობა ხუთ ქულამდე არ შეამცირეს. ამის მეტი ვეღარ შეძლეს. „სიეტლმა“ კი მეშვიდე მატჩში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა.

ირაკლი ფირაზვილი

სარბიელი

საუკეთესო ფიბა ევროპელი

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონანილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასნვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

☐ ალესანდრო აბიო	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ ფრაგისკოს ალვერტისი	საბერძნეთი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ალბერტო ანგულო	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ ვლადოსლავ ბერიჩი	იუგოსლავია	უგუნდოდ
☐ ჯესეინ ბეფოჟე	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	ვილერბანი (საფრანგეთი)
☐ დავიდე ბონორა	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ პრედრაგ დანილოვიჩი	იუგოსლავია	კინდერი (იტალია)
☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი	იუგოსლავია	რეალი (ესპანეთი)
☐ გინტარას ვინიკისი	ლიტვა	ცსკა (რუსეთი)
☐ ნიკოს ეკონომუ	საბერძნეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰარუნ ერდენაი	თურქეთი	ულქერი (თურქეთი)
☐ ვინჩენცო ესპოზიტო	იტალია	იმოლა (იტალია)
☐ ლორან ფუარე	საფრანგეთი	ტაუ (ესპანეთი)
☐ გრეგორ ფუჩკა	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ტორბიორნ გერკე	შვედეთი	პლანია (შვედეთი)
☐ გორდან გირიჩეკი	ხორვატია	ციბონა (ხორვატია)
☐ ალბერტო ერაროსი	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ოდედ კატაკი	ისრაელი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ მიხაელ კოხი	გერმანია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ დენის მარკონატო	იტალია	ბენეტონი (იტალია)
☐ ანდრეა მენეგინი	იტალია	ვარეზე (იტალია)
☐ მარკო მილიჩი	სლოვენია	ოლიმპია (სლოვენია)
☐ ველკო მრეზიჩი	ხორვატია	უნიკახა (ესპანეთი)
☐ დამირ მულაომეროვიჩი	ხორვატია	ეფესი (თურქეთი)
☐ მარტინ მიუურსეპი	ესტონეთი	ავკ (საბერძნეთი)
☐ კარლტონ მაიერსი	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ პეტარ ნაუმოსკი	მაკედონია	უგუნდოდ
☐ ხუან კარლოს ნავარო	ესპანეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ საშა ობრადოვიჩი	იუგოსლავია	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
☐ პაულუ პინტუ	პორტუგალია	პორტუ (პორტუგალია)
☐ დინო რაჯჯა	ხორვატია	ზადარი (ხორვატია)
☐ უელკო რებრაჩა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ეფტიმიოს რენციასი	საბერძნეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰენრიკ როდლი	გერმანია	ალბა (გერმანია)
☐ დრორონ შეფერი	ისრაელი	მაკაბი (ისრაელი)
☐ მატიაუ სმოდიში	სლოვენია	კრკა (სლოვენია)
☐ მუსტაფა სონკო	საფრანგეთი	ვილერბანი (საფრანგეთი)
☐ საულიუს შტომბერგასი	ლიტვა	კინდერი (იტალია)
☐ ერიკ სტრიულენსი	ბელგია	რეალი (ესპანეთი)
☐ დრაგან ტარლაჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ მილან ტომიჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ დომინიკ ტომჩიკი	პოლონეთი	პეკაესი (პოლონეთი)
☐ ალექსის ზასარიუ	კვიპროსი	აპოელი (კვიპროსი)
☐ ირუი ზიდეკი	ჩეხეთი	ჟალგირისი (ლიტვა)
☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი	ლიტვა	ჟალგირისი (ლიტვა)

სიაში არმოხვედრილი ევროპელები	არაევროპელები

სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გაკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,

ან საფოსტო მისამართზე:

თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. V ტური. 27 ოქტომბერი

B ჯგუფი

ალბა 54:73 პანათინაიკოსი

D ჯგუფი

ციბონა 71:69 ეფესი

ფორტიტუდო 83:58 პო ორტეზი

ყველანი არჩევნებზე. კალათბურთი მოიცდის

ისევ როგორ იქნებოდა, წინასაარჩევნო ციებ-ცხელებას ჩვენს კალათბურთზეც არ ემოქმედა. ამ არჩევნებმა ეროვნული პირველობის მომდევნო ტური შუაზე გაყო, რომელიც წესისა და რიგის მიხედვით შაბათ-კვირას უნდა გამართულიყო. ფედერაციას ბევრი აღარ უფიქრია, შაბათი დღის კალენდარი ხელუხლებელი დატოვა, მეორე დღეს არჩევანი გააკეთეთო და კვირის მატჩები ორშაბათისთვის გადადო. დღე კი შეიცვალა, მაგრამ შეხვედრების დაწყების დრო უცვლელი დარჩა.

მაშ ასე. ორშაბათს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

გორი — თსუ. ვერის ბაღი. 13.00

შევარდენი — მაკაბი. ვერის ბაღი. 14.45

აზოტი — სტუ. რუსთავი. 14.00

მინი-კალათბურთი ბიზნესმენს ჩააბარეს

გუშინწინ კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა ცეკავშირის შენობაში. დღის წესრიგში სამი საკითხი იდგა, რომლთაგანაც პირველი მინი-კალათბურთს ეხებოდა. აღმასკომის წევრებმა ერთბაშად დაუჭირეს მხარი საქართველოში მინი-კალათბურთის განვითარების პროგრამას და საგანგებო კომიტეტიც ჩამოაყალიბეს.

ამიერიდან მინი-კალათბურთის საქმეებს ყოფილი კალათბურთელი ბესიკ გოგელია გაუძღვება, რომელიც ბოლო დროს ბიზნესში მოღვაწეობს. ცნობისათვის, ბესიკ გოგელია რევაზ გოგელიას ვაჟია. ეს უკანასკნელი კი 60-იანი წლების „დინამოს იმ ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენელია, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის მოგებით ქართულ კალათბურთს განუმეორებელი წარმატება მოუტანა.

აღმასკომმა დაავალა ბესიკ გოგელიას, უახლოეს მომავალში შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და კომიტეტის შემადგენლობასთან ერთად ერთი თვის შემდეგ აღმასკომის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინოს.

შემდეგი თემა მწვრთნელთა ატესტაციას შეეხებოდა. უკლებლივ ყველა აღმასკომის წევრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოში მომუშავე მწვრთნელებს აუცილებლად ტესტირება უნდა ჩაუტარდეს. სულ მალე დაინიშნება ვადები და შემდეგ სემინარებიც მოეწყობა. დაახლოებით აპრილ-მაისისთვის მწვრთნელები გასაუბრებას გაივლიან, რის შემდეგაც შესაბამის ლიცენზიებს მიიღებენ. ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჩახავას დაევალა.

ბოლოს აღმასკომის წევრებმა ბავშვთა კალათბურთისთვისაც მოიცალეს. ითქვა, რომ სადღეისოდ ბავშვთა ლიგაში ოთხმოცამდე გუნდია ჩაბმული. ყოველივე ეს დიდი მექანიზმია და ამის ორგანიზებას ერთი და ორი კაცი ვერ გასვწდება. აღმასკომმა თამაზ ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით დამხმარე ჯგუფიც ჩამოაყალიბა, რომელსაც ბავშვთა ლიგაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა დაევალა.

გიორგი გიკაშვილი

უცნობი უცნობილესი ფასდაკლ...

ბიბლიოთეკა

26 ოქტომბერი

ატლანტა — კალგარი 2:1

1:1 1:0 0:0

1:0 ემერსონი 7'55 (2), 1:1 უილმი 9'42 (2), 2:1 ბრიუნეტი 21'30 (5)

ოთხმა მარცხიანმა საშინაო მატჩმა ატლანტელ ქომაგებს საყვარელ გუნდზე გული აუცრუა. ამიტომაც იყო, რომ „ფილიპს არენა" პირველად არ შეივსო ბოლომდე. თუმცა მათ, ვინც სტადიონზე არ მივიდა, ალბათ, ძალიან ინანეს, რომ დებიუტანტის პირველ საშინაო მოგებას არ დაესწრნენ. გამარჯვების სულისჩამდგმელი კი მეკარე დამიენ როუდსი გახლდათ. „როუდსი შეუდარებელი იყო. მან ისეთი დარტყმებიც კი მოიგერია, რომლებსაც ვერ ხედავდა" — გორდი მერფი აღფრთოვანებული იყო პარტნიორის თამაშით. მართლაც, რომ არა როუდსი, ატლანტა სასურველ ანგარიშს ვერ შეინარჩუნებდა. მესამე პერიოდში სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო (მათ დარტყმებით 14:1 ავჯობეს მასპინძლებს), მაგრამ ატლანტის გოლკიპერმა თავი არ დაზოგა, მაჩტის დასრულებამდე 9 წამით ადრე კი ჯერომ იგინლას დარტყმული შაიბაც სასწაულებრივად მოიგერია.

REUTERS-ის ანგელოზებიდან

რაღა აკლდა ლოსანჯელესელ იან ლაპერეს ვაშინგტონელ ოლაფ კოლციგის კარში გატანამდე, მაგრამ...

ფილადელფია — ვანკუვერი 2:5

2:2 0:2 0:1

1:0 რეკი 1'39 (4); 1:1 ჰენდრიკსონი 13'13 (1), 1:2 შეფერი 16'21 5); 2:2 რენბერგი 17'40 (1); 2:3 შეფერი 21'03 (6); 2:4 ნესლუნდი23'05 (5); 2:5 მესიე 58'48 (4)

ვანკუვერელებმა ფილადელფიელთა მეკარე ჯონ ვანბისბრუკს შეუდარებელი სამმატჩიანი მშრალი სერია შეუწყვიტეს, თანაც კერძოდ ვინ — ჰოკეის ქომაგთათვის სრულიად უცნობმა ახალბედამ.

1995 წლის დრაფტის 66-ე ნომერმა, მავანმა პეტერ შეფერმა ნჰლ-ს სრულიად დაავიწყა ვუნდერკინდებად შერაცხული ძმები სედინების სახელი. 22 წლის ახალგაზრდა მართლაც ჩინებულად თამაშობს და მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა, რომ დღესდღეობით ვანკუვერი სატურნირო ცხრილის ზედა საფეხურზე იმყოფება. შეფერი 12 (6+6) ქულით დებიუტანტთა შორისაც ლიდერობს, ხოლო ბოლო 2 თამაშში 4 გოლი გაიტანა. მეტიც, მწვრთნელები მას უკვე ისე ენდობიან, რომ უმცირესობაშიც კი აყენებენ. ის კი არა, შეფერი დაცვასაც ეხმარება და გოლებიც გააქვს. სწორედ მისი პასის შემდეგ დალაშქრა დარბი ჰენდრიკსონმა ვანბისბრუკის თითქოსდა აუღებელი კარი, ხოლო მერე ახალბედა ორჯერ თავადაც გამოირჩა, თანაც პირველი შაიბა უმცირესობაში შეაგდო.

ედმონტონი — ფინიქსი 3:1

0:1 1:0 2:0

0:1 გრინი 2:10 (6); 1:1 მორო 37'08 (1); 2:1 ბერანეკი 44'53 (2); 3:1 სელეზნოვი 54'33 (6)

ფინიქსმა ხუთმატჩიანი ხერიანი სერია დაასრულა. სამი წაგებით გააფთრებული მასპინძლები ვერც „კოიოტთა" მეკარე მიხაილ შტალენკოვმა შეაჩერა. „მუდამ მეორე" რუსი წლეულს ნიკოლაი ხაბიბულინის საკონტრაქტო დავის გამო დაწინაურდა და ჯერჯერობით ამართლებს მწვრთნელთა ნდობას.

ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი 5:2

1:2 1:0 3:0

0:1 ბონდრა 11'29 (7); 0:2 იუპანსონი 14'21 (2); 1:2 რობიტაილი 15'44 (9); 2:2 ოდეტი 27'46 (3); 3:2 ბლეიკი 48'16 (5); 4:2 სმოლინსკი 48'49 (3); 5:2 ოდეტი 51'44 (4)

ახალთახალი „სტეპლს სენტრი" „მეფეთათვის" იღბლიანი გამოდგა. მათ თავიანთ ახალ არენაზე ორივე მატჩი მოიგეს. ამჯერად მასპინძელთაგან საუკეთესო მეორე სამეულში მოთამაშე დონალდ ოდეტი (2+1) და ბრაიან სმოლინსკი (1+2) იყვნენ.

კრივილე, როსი და...

რიო დე ჟანეიროსთან ახლოს ნელსონ პიკეს სახელობის ავტოდრომზე ორმა იღბლიანმა შამპანურითა და სხვა რამე-რუმეებით აღნიშნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მოტოსპორტში. ერთი იტალიელი იქროს ბიჭად წოდებული ვალენტინო როსი იყო, მეორე — ესპანელი ალექს კრივილე. პირველი კლას 250-ში დაეუფლა სანუკვარ ჯილდოს, მეორე 500-იანებში. გასარკვევი 125-იანებში ჩემპიონის ვინაობაღა, რომელსაც კვირას არგენტინის დიდ პრიზზე ასპარეზობა დაასახელებს. აქ თითქმის თანაბარი შანსები აქვთ ესპანელ ემილიო ალზამორას (2207 ქულა) და იტალიელ მარკო მელანდრის (201), თუმცა ამ ორის წარუმატებლობის შემთხვევაში ჩემპიონის ტიტულს შესაძლოა იაპონელი მასაო აზუბაც დაეპატრონოს.

ბრაზილიის დიდი პრიზი კი ასეთი შედეგებით დასრულდა:

AP რიო დე ჟანეიროდან

ალექს კრივილე საჩემპიონო შამპანურით

500 კბ/სმ

1 ნორიკ აბე (იაპონია) — 45.24,308 წთ
2 მაჭა ბიაჯი (იტალია) — 45.24,469
3 კენი რობერტსი (აშშ) — 45.24,555

საერთო ჩათვლა

1 ალექს კრივილე (ესპანეთი) — 255 ქ
2 ტადაუკი ოკადა (იაპონია) — 211
3 კენი რობერტსი (აშშ) — 195

250

1 ვალენტინო როსი (იტალია) — 42.17,893 წთ
2 ტორუ უკავა (იაპონია) — 42.19,221
3 ლორის კაპიროსი (იტალია) — 42.19,837

საერთო ჩათვლა

1 ვალენტინო როსი — 293 ქ
2 ტორუ უკავა — 241
3 ლორის კაპიროსი — 209

125

1 ნობორუ უედა (იაპონია) — 42.14,647
2 მარკო მელანდრი (იტალია) — 42.14,778
3 ემილიო ალზამორა (ესპანეთი) — 42.19,624

საერთო ჩათვლა

1 ემილიო ალზამორა — 207 ქ
2 მარკო მალანდრი — 201
3 მასო აზუმა (იაპონია) — 190

ჟიუნო იაშინს შეცვლის

დღითიდღე მცირდება ოტაველთა სუპერფორვარდ ალექსეი იაშინის გუნდში დაბრუნების შანსი, ამ დღეებში „სენატორთა" მიერ ახალი ჰოკეისტის ყიდვამ კი ეს შესაძლებლობა თითქმის მოსპო. მიუხედავად იმისა, რომ ოტავამ სეზონი ჩინებულად დაიწყო, შემადგენლობის გაძლიერებაზე მაინც იზრუნა და ცნობილ ცენტრფორვარდ ჯო ჟიუნოსთან ორწლიანი, სავარაუდოდ 4,4-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ცხადია, ჟიუნო იაშინი არ არის, მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: 1992-93 წლების საღებიუტო სეზონში 102 (32+70) ქულის მომგროვებელი ჟიუნო (100-ქულიანი ზღვარი პირველ წელს მხოლოდ სამ ახალბედას დაულაშქრავს) ამომავალ ვარსკვლავად შერაცხეს. მართალია, ფორვარდმა მთელი პოტენციალი ვერ გამოავლინა, ერთი პირობა ლამის მიატოვა კიდეც ჰოკეი და როკ-ჯგუფის ჩამოყალიბებას შეუდგა, მაგრამ ყინულს მაინც დაუბრუნდა და აგერ ბოლო სეზონში ძალიანაც გამოადგა ბუფალოს სათასო ბრძოლაში. თუმცა თავისუფალ აგენტად ქცეულ ჰოკეისტთან თანამშრომლობის გაგრძელება ბუფალომ აღარ მოისურვა და იგი ოტავას გადაულოცა. შესაძლოა უნივერსალი ჟიუნო კანადელებმა ფრთაზეც გამოიყენონ, რადგან ბოლო თამაშში „სენატორთა" წამყვანი გარემარბი დანიელ ალფრედსონი მძიმედ დაშავდა და ორივე თვე დაკარგავს.

ჯო ჟიუნო

ამასობაში ნიუ ჯერსი [illegible] ოგორც იქნა, მიაღწია შეთანხმებას გაფიცულ პატრიკ [illegible]იაშსა და ბრენდან მორისონთან და მათ შესაბამისად სამი და ერთწლიანი კონტრაქტები გაუფორმა. გასულ სეზონში ელიაში (17 გოლი და 33 პასი) გუნდის ლიდერ ბობი ჰოლიკთან იყო შეამხანაგებული, მორისონმაც ჩინებულად ჩაატარა საღებიუტო სეზონი ლიგაში და 46 (13+33) ქულით ახალბედათა შორის მეორე ბომბარდირი გახდა. თუმცა ერთსაც და მეორესაც ძირითადში მოხვედრა ერთობ გაუჭირდება, რადგან მათ ადგილებზე მოთამაშე ახალბედებმა — სკოტ გომესმა და ბრაიან რაფალსკიმ უკვე მოასწრეს თავის გამოჩენა

კვირის მოთამაშე

ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია)



ზედიზედ მეორე კვირაა, ლაურეატი მეკარე ხდება. ფილადელფიელ ჯონ ვანბისბრუკს, ისევე, როგორც წინა კვირას სანხოსელ სტივ შილდსს, კონკურენტი არ ჰყავდა. „ბიზერმა" სამივე მატჩში მშრალად შეინახა კარი და 76-ივე დარტყმა მოიგერია. აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებში მხოლოდ სამ გოლკიპერს მიუთვლია ზედიზედ სამი შათაუტი, ასე რომ, ეს ურიგო მიღწევა როდია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მეკარის წარმატებამ ფილადელფიას სასტარტო ჩავარდნის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა გამოასწორებინა. ვანბისბრუკი თავის 17-წლიან კარიერაში ამგვარად მეოთხედ გამოირჩა.

საუკეთესო ექვსეული. 18-24 ოქტომბერი

ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია, 1); *კრის პრონგერი* (სენტ ლუისი, 1) — *დენ მაკკინლისი* (ფილადელფია, 1); *პეტერ შეფერი* (ვანკუვერი, 1) — *პიერ ტარჯონი* (სენტ ლუისი, 1) — *კლიფ რონინგი* (ნეშვილი, 1)

დაანებეთ ჩემს ტვინს თავი!

ტორონტოელი ბრაიან ბერარდი სენტლუისელ ჯეფ კურტნოლს ეუხეშა, რისთვისაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ახალგაზრდა მცველმა ეს შემთხვევა აინუნშიც არ ჩაუგდო, ხოლო ჯეფს ერთობ ძვირად დაუჯდა. ფორვარდმა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში უკვე მეორედ მიიღო ტვინის შერყევა და, როგორც ჩანს, კარიერის დასრულებაც მოუწევს. შარშან ტრავმის გამო მან 58 თამაში გამოტოვა, წლეულს თითქოს მომჯობინდა, თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ...

სამველ ღარიბიანი



REUTERS ტოკიოდან

ლიდერი ტოკიოში

ტოკიოში ჩასულა „ფერარისა“ და ფორმულა 1-ის წლევანდელი ლიდერი ედი ირვინი. კვირას იაპონიის დიდ პრიზს გაირბოლებენ, ირვინი კი აშკარად კარგ ხასიათზეა — სასჯელი მოუხსნეს, ქულებიც დაუბრუნეს და იაპონელი გოგოშკებიც თავისებურად ლაშაზები არიან.

REUTERS ლონდონიდან

ორდენი კრეიგს

ბრიტანეთის დედოფალი, მისი უდიდებულესობა ელისაბედ მეორე აშკარად აფასებს ფეხბურთის ხალხს და მათ ნაირგვარ საიმპერიო ჯილდოებს ურიგებს. ამასწინათ „არსენალისა“ და „უიმბლდონის“ კაპიტნები ტონი ადამსი და რობი ერლი დააჯილდოვა. ახლა კი ჯილდო სქოთთა ნაკრების მწვრთნელ კრეიგ ბრაუნსაც რგებია ბუკინგემის სასახლეში.



REUTERS ოქლენდიდან

წინ, პრადა!

ოქლენდის ახლო, ზელანდიის წყლებში კვლავაც გრძელდება ვუიტონის თასისთვის ბრძოლა იახტებს შორის. ბოლო ხანია ყოჩაღობს იტალიური „პრადა“ (ფოტოზე), რომელსაც შეჯიბრის მეექვსე დღეს ამერიკული „აბრაკადაბრა 2000“ დაუჯაბნია. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ვუიტონის მომგები ახალ ზელანდიას ამერიკის თასზე წარადგენს, რაიც, მგონი, უძველესი სპორტული შეჯიბრია მსოფლიოში.

ინგლისი

გადადებული მატჩი

ლივერპული 1:0 ვესტ ჰემი

1:0 ტატი კამარა (43)

I დივიზიონი. XIV ტური

ნოტინგემი 1:1 ბოლტონი ; ქუინზ პარკი 2:2 ბირმინგემი; მანჩესტერ სიტი 1:0 იფსვიჩი

ჰოლანდია

ტვენტე 3:2 სპარტა

1:0 ვენეგორი (9), 2:0 პიერმასი (24), 2:1 ელ ხატაბი (29), 2:2 მგიზარტი (57), 3:2 ვენეგორი (71)

ჰერენვენი 2:0 გრაააფსხაპი

1:0 იფსენი (11), 2:0 პალპლაცი (16)

ვალვაიკი 4:2 ნაიმეგენი

0:1 ვან პუტენი (13), 1:1 ბოგენდორფი (133), 1:2 რენფურში (39), 2:2 ვან ვანროი (49), 3:2 ბოგენდორფი (56), 4:2 დე გრაიფი (71)

შოტლანდია

სელტიკი 0:1 მოზერუელი

0:1 ტუადლი (15)

ჰარტსი 2:2 კილმარნოკი

0:1 მაკფერსონი (63), 1:1 კამერონი (83), 2:1 პერეი (90), 2:2 კოკარი (90)

სენტ ჯონსტონი 0:1 დანდი იუნ.

0:1 დოდსი (70)

პოლონეთი

გადადებული მატჩი

ლაკს 2:3 ვიძევი

იტალია

თასის II ეტაპი. საპასუხო მატჩები

ტორინო 2:1 ატალანტა (13); პიაჩენცა 2:0 რეჯინა (0:0); პერუჯა 1:1 ტერნანა (2:1); ვენეციი 1:0 პესკარა (0:0); ვერონა 1:2 რავენა (1:2)



REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ვესტ ჰემი 1:0. ლივერპულელებმა ჯეიმი რედნაპმა (მარცხნივ) და დევიდ ტომპსონმა „ჩაქუჩი“ ჯო კოული მოიმწყვდიეს

ლეიბოვიცის ქალები

REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონში დიდი ფოტოგამოფენაა — სულის თავისუფალ შემოქმედს (ასე ეძახდა ფოტოგრაფებს სალვადორ დალი) ამ გამოფენისთვის „ქალი“ დაუთქმევია. გამოჩენილ ქალთა ფოტოპორტრეტები მართლაც რომ კარგი საცქერია. ჩვენს ფოტოზე აღბეჭდილი ქალბატონიც განთქმული ვინმეა — მისნაირი ფოტოპორტრეტისტი მსოფლიოში ძნელად საპოვნია. ამ ქალს ანი ლეიბოვიცი ჰქვია და თავის ნამუშევრებთან მდგომი იძლევა ინტერვიუს. მის ზურგს უკან კი ვხედავთ მისავე ნამუშევრებს — ბეისბოლისტი ქალის ილა ბორდერსის პორტრეტს. ილა პირველი ქალი ყოფილა, ვისაც პროფესიონალ ბეისბოლისტად უთამაშია კაცთა შორის და ჩრდილოეთის ლიგაში თამაშიც მოუგია. სერენა და ვინუს უილიამსებს, ჩოგბურთის შავ მარგალიტებს ხომ ყველა კარგად იცნობს.

REUTERS ვაშინგტონიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე; მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli